619
1955.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 9 სექტემბერი 1955



ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 9 (50) სექტემბერი 1955 წ.

გამომცემლობა „კომუნისტი“
გამოცემის V წელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

4664



მცხეთის რაიონი, სოფ. წეროვანი. კომბაინით სიმინდს იღებენ ტრაქტორისტი გ. ირემაშვილი და კომბაინერი გ. სოხაშვილი.

ფოტო ვ. ჯეირანოვისა

— „თბილისის ზღვა“ ღელავს! ფოტო ვლ. გინზბურგისა

თბილისის სახ. საქ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭებმა „ამ ვიღაც მეტიჩარა გოგოს“ პასუხიც არ აღირსეს. მანქანაში ჩაჯდომა რომ ნდომებოდათ, განა ავტობუსის ფულს ვერ იშოვიდნენ. შუბლ ქვემოდან ჩუმად გამოგვხედეს, გზა ისევ დინჯად განაგრძეს. მათი ჭაბუკური შეუპოვრობა და თითქოს რაღაც აუხდენელის ჯიუტი ოცნება უცებ ვიგრძენი...

ბიჭებმა გზა მოკლედ ასჭრეს და, გორაკებს იქით თვალს რომ მიეფარნენ, ჩემს რენოს მხოლოდ მაშინ მოვხედე.

— სულელები! — თქვა მათი უკმეხობით განაწყენებულმა გოგონამ და ცალი მხარი ჯიუტად აიქნია.

ამ გულლაზოს და თავნებას, ეშხით სავსე ლამაზი სახე შუბლიანად ისე შეჭმუხვნოდა, თითქოს თვალებში მზე ჩასცქეროდა, ტუჩები ბრაზით დაბუსხვოდა და გაბუტული ხმას არ იღებდა. მართალია, რენო ბავშვი იყო და დიდხანს სიჩუმე ამიტომაც აკი ვერ შესძლო, უცებ მომიბრუნდა:

— მერე, ძია, მერე?

და მეც განვაგრძე. განვაგრძე იმიტომ, რომ თბილისის ზღვა თვალწინ უცებ გადამეშალა და იმის მოყოლა, რაც ოდესმე აქ მინახავს, მეც მახარებდა. მე ვუამბობდი, რაც თვალს ოცნებით ესახებოდა. ამ თვალუწვდენ ტაფობში, სადაც ახლა ივრის წყალი დაგუბებულა, სამი პატარა ტბა იდგა და მათ ირგვლივ ძეძვის, ელღუნისა და გრაკლის ბუჩქნარებს გარდა, არაფერი ხარობდა. ტბები ზაფხულში შრებოდა და მათ ადგილას გლაუბერის მარილის თეთრი ფიფქი რჩებოდა. და ვაციწვერაც ამ მარილივით თეთრად, გულის გამაწყალებლად ფამფარებდა. გვალვით დახეთქილ-დაღრაკნული და წყალს მონატრებული მიწა ერთ ტანმაღალ და შუახნის ლამაზ კაცთან ერთად ამ მარილისფერ ცას ნაღვლიანად შესცქეროდა.

— ის ლამაზი კაცი ვინ იყო? — მეკითხება პატარა რენო გაფაციცებით.

— ის კაცი ინჟინერი პეტრე მამრაძე იყო. მე მაშინ პატარა ვიყავი და „ბატონი პეტრე“ ქართულ გიმნაზიაში მათემატიკას მასწავლიდა. რა ვიცოდი მაშინ, თუ მას ამ ქართული მიწის ოცნება გულში ასე ჩასთესლებოდა.

ამ მუდამ მშვიდმა და მუდამ ჩაფიქრებულმა კაცმა თავისი ოცნება თავისივე მოწაფეების დახმარებით შემდგომ ნახაზებში გადაიტანა, მაგრამ მის განხორციელებას ვეღარ მოესწრო. ცოტაც რომ ეცოცხლა, თავისი თვალით დაინახავდა, ხალხის ოცნება ჩვენმა პარტიამ სინამდვილედ როგორ აქცია. ვისაც მაშინ მატარებლით უმგზავრია, ალბათ, ახსოვს საქართველოს ყოველ კუთხიდან დაძრული ეშელონები კოლმეურნე გლეხებისა, თავისი მშობლიური ქვეყნის დედაქალაქის დასამშვენებლად და ვახტანგ გორგასალის ნაომარ მინდორ-ველის ასაყვავებლად

**თბილისის ზღვამ განა მარტო პურისა და ხილეულის, თევზის მოსავალიც „მოიყვანა“.**





**დემნა შენგელაია**

შუა ზაფხულის მცხუნვარე მზე ამ კვირა დილით ისე მწარედ იკბინება, ჰაერიც ისე ჩამოიხუთა, რომ დღეს წვიმა უსათუოდ მოვა. სიცხით მოხალულს და გაბეზრებულს გულმა ქალაქგარეთ გამიწია. ჩემი ყურის მეზობლის გოგონა, შვიდი წლის თვალჟუჟუნა რენო, ეზოში თავისივე ირგვლივ დატრიალებულ თოკზე რომ ხტოდა, მანქანაში უცებ ჩავისვი და სიხარულის წივილ-კივილით გავიტაცე. რკინიგზის ხიდქვეშ ისე სწრაფად გავიჭერით, რომ პატარა რენომ გონს მოსვლაც ვერ მოასწრო.

ჩემი ბავშვობა, სიყრმე აქაურ მუშათა სახლებს, პატარა ეზოებსა და ამ მთაგორებს ისე შეხორცებია, რომ მისი ქუჩების დანახვაზე გული სიხარულისგან ამიძგერდა. ძველი ნაძალადევი აწ გადაშენებული ისაკა მედუქნითა და ბოტეს ერთადერთ სამსართულიანი სახლით თვალწინ ნათლად დგებოდა. ცხრაასხუთი წლის ხალხმრავალ მიტინგებს და ცხრაასშვიდი წლის თავაშვებულ თარეშს შავრაზმელ ყაზახებისა, თითქოს თვალით ვხედავდი, ვხედავდი სამრევლო სკოლის მერხებზე დასვენებულ ცხრა ძმას, იმ ზამთრის შავბნელ ღამეში ჟანდარმებისაგან ჩახოცილებს. ახლად გაჭრილი და ასფალტით მოფენილი გზა მათგან ნაომარ და მათივე სისხლით მორწყულ თბილისის ზღვის მიდამოებში, ტყით შეფენილ გორაკებს შორის ახლა მდინარესავით მიიკლაკნება.

მოულოდნელი მგზავრობით აგზნებული და ენად გადაქცეული რენო რაღაც მომხიბლავ აბდაუბდას გაუთავებლად ტიტინებს. მის ტიტინს მე ადგილადგილ ვისმენ, კვერსაც ყოველ შემთხვევისათვის ადგილადგილ ალალბედად ვუკრავ და ხშირად თვითონაც არ ვიცი, რაში ვეთანხმები.

ეტყობა არც რენოს მიაჩნია სავალდებულოდ, რომ მას ყურს უსათუოდ უგდებდნენ და რახან ერთი ატიტინდა, განაგრძობს... განაგრძობს...

ვარდისფერი კაბა, წაბლისფერი თმის ორ ნაწნავში უზარმაზარ პეპლებივით ჩატანებული ორი ბანტი და ქალაქურად ფერმკრთალი და ნაზი სახე ოდნავ ასწითლებია. ბავშვურად გამხდარი შიშველი მკლავები და მთელი მისი ნაზი, თითქოს სუსტი აღნაგობა იმდენად მიამიტია და თან ისეთი დაიმედებით მომნდობია, რომ ხშირად ჩემს უნებლიეთ ვეალერსები.

საუბარმა გეზი თანდათან იცვალა და რენო ახლა როდი ლაპარაკობს, კითხვას კითხვაზე მაყრის და პასუხს უსათუოდ ელის. ეს კითხვები მე ხშირად უხერხულ მდგომარეობაში მაყენებენ, რადგან ყოვლისმცოდნე არ ვარ, მაგრამ რენოს ასეთი ვგონივარ და არ მინდა ბავშვს ეს წარმოდგენა გავუფანტო.

აქედან ზღვამდე ხუთი კილომეტრიც არ იქნება და ზოგიერთნი ამიტომაც ფეხით მოდიან. ის ორი ახალგაზრდაც, თხუთმეტ-თექვსმეტი წლის რომ იქნებიან, გზის პირად განივრად, დინჯად მიაბიჯებენ და ტანთ მხოლოდ შავი ტრუსები აცვიათ. მათი ახლად დაწნულ კალათივით დრეკადი გულ-მკერდი და შოლტივით მოქნილი, ძარღვიანი შიშველი ხელ-ფეხი მზეზე ბრინჯაოსავით ელავს.

— ბიჭები! საწყალი ბიჭები! — დაიძახა რენომ და უცებ მომიტრიალდა, ხვეწნანარევი დაჟინებით მეუბნება:

— ჩავსვათ მანქანაში, რაა!..

და ჩემს თანხმობას არც მოუცადა, მანქანის ვიწრო სარკმელში თავი გაჰყო, ბიჭებს ეძახის:

— მოდით! მოდით, ჩასხედით! მანქანით წაგიყვანთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

აქეთკენ რომ მოეშურებოდნენ. არხებსა და გვირაბებს სჭრიდნენ, დიუკერებსა და აკვედუკებს აგებდნენ, რაბებსა და ელსადგურებს აშენებდნენ.

მე და რენომ ზღვის პირად იმდენი ვიარეთ, რომ შუადღე თავს როგორ წამოგვადგა არ გაგვიგია. ბავშვი დაიღალა და იქვე ზღვაზე გადადგმულ რესტორანში შევიყვანე. მუდამ უმადო რენო ერბოკვერცხით მადიანად ილუკმება და თან თვალებში მომჩერებია, თავისი მადა თვითონ მასვე აკვირვებს.

ამ საუკუნის გარიჟრაჟზე, 1901 წელს საპირველმაისო წითელი დროშის აქ, ამ ადგილას, პირველად აფრიალებისა და მის შემდეგ სწორედ ნახევარი საუკუნის გასვლის შემდეგ, 1951 წელს აქ მოგდებულ არხით ივრის წყლის მოვარდნის ამბავს ისეთი გატაცებით ვუყვები, რომ მას ჭამა ავიწყდება და პირი უჩერდება. ყურს დიდივით მიგდებს და ზღვის პირად მოფენილ წყლის ლამაზ სადგურებს, კიოსკებსა და საჩრდილობელ ქოლგებს ოცნების თვალით გასცქერის. თვალყურს ადევნებს ხალხი ზღვაში როგორ ჭყუმპალაობს: ზოგი ცურავს, ზოგი თევზაობს და ზოგიც კატარღით დასეირნობს. იქ კი, შორს თეთრი აფრა ობლად ფრიალებს...

მიუხედავად იმისა, რომ მზე საწვიმრად იკბინება და შავად წამოშლილ ღრუბლებთან ერთად ნიავიც თითქოს ქარად იქცა, სიცხე მაინც არ გვაწუხებს, ორთქლმავალთა და ვაგონთა შემკეთებელი ქარხნის საწყლო სადგურის პატარა გემში ხალხი სხდება და მიხარია, რომ ეს ზღვა რენოს თაობის საბედნიეროდ ჩემმა თაობამ შექმნა. გემის ეკიპაჟს რენოსავით პატარა ბიჭები წარმოადგენენ და ყოველ მათგანს წესისამებრ მეზღვაურის თეთრი ტანისამოსი აცვია.

— გინდა, რენო, გემით გავისეირნოთ? — შევეკითხე ჩემს პატარა მეგობარს, როცა მაძღარმა თეფში იქით გასწია.

— მინდა, ძია, როგორ არ მინდა! — წამოიძახა გოგონამ და ფეხზე ერთბაშად წამოიჭრა.

მასთან საუბრით გართულს არ შემიტყვია, ღრუბლებს მზე როგორ მიეფარა.

სანამ გემბანზე მოვეწყობოდით, შავი ღრუბლები მთელ ზღვას ბნელად წამოეფარა. აი იელვა და მას დამაყრუებელი ჭექა-ქუხილი მოჰყვა, კოკისპირულ წვიმასთან ერთად ქარმაც იმატა.

ნაპირს რომ გავშორდით, თბილისის საგაზაფხულო აშარმა წვიმამ ამ შუა ზაფხულში ისეთნაირად დაგვიშინა, რომ ჩვენ ყველამ კაიუტაში შესვლა ვიკადრეთ. წვიმა აზვირთებულ ტალღებზე ათამაშდა, ირგვლივ ყველაფერს წყლის რიდე ჩამოეფარა და კაიუტის მინაზე სახურავიდან ჩამოდენილი ანკარა წყალი ალივლივდა.

ჩემი რენო ისე შეკრთა, რომ საბავშვო წიგნებში ამოკითხულ დიდ ოკეანეთა დიდნი ღელვანი, მეზღვაურთა განსაცდელები და ვაჟკაცობა თითქოს თვალებში ეხატება. სულგანაბული სველ მინას იგი ისე მჭიდროდ აჰკვრია, რომ პატარა ცხვირი ზედ მისჭყლეტია და იქ, შორს, ქარით გაბერილ თეთრ აფრას ხარბად გასცქერის, თვალს არ აშორებს. უცებ იჭექა, თითქოს ცა ჩამოინგრა და ჭექა-ქუხილის შემდეგ უეცრად ჩამოვარდნილ სიჩუმეში რენოს ყვირილი შემზარავად გაისმა:

— აფრა წაიქცა! ნავი გადაბრუნდა!

ზღვა ბობოქრობდა. ტალღები გემს ეხლებოდა და ჩვენ საშველად **იქით** გავეშურეთ. ცოტა ხანიც და დავინახეთ, ზღვაში გადაბრუნებულ ნავს **ორი** ბიჭუნა ხელით როგორ ჩასჭიდებოდა. ერთი მათგანი გემის დანახვაზე **ნავს მოშორდა** და ცურვით ჩვენკენ წამოვიდა. გემს რომ მოუახლოვდა — „თოკი, თოკი თუ გაქვთო“, — ამოგვძახა. მზემოკიდებულ და ბიჭურად ხმელი ტანით ზვირთზე კალმახივით რომ შეინავარდა, მაშინვე ვიცან, ისიც ვიცანი, შუა წყალში ნავს რომ ჩასტანებოდა. ეს ბიჭები ისინი იყვნენ, დღეს რომ გზაში წამოვეწიეთ.

არ ვიცი როგორ მოხდა, ამ თავსხმაში რენო გემბანზე როგორ გაჩნდა. დღევანდელი განაწყენება მას ახლა სულ დავიწყებოდა და პატარა ბიჭებს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გასძახოდა:

— არ შეგეშინდეთ! აქა ვართ!

პატარა მეზღვაურებმა გემთან მოცურებულ ბიჭს თოკი გადაუგდეს.



ვინ იფიქრებდა რომ სამგორის ველზე ნოთარეშე ქარი თეთრ აფრებს დაჰბერავდა ოდესმე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ამ დროს გარეთ მეც გავიჭერი და გაწუწული ბავშვი ხელში ავიტაცე, კაიუტაში შემოვიყვანე. ის კი მაინც არ ისვენებდა, სარკმელს ისევ სახით აეკრა. სიცივისაგან მთელი ტანი უკანკალებდა და წყალში მყოფ ბიჭებს თვალს ერთი წუთით არ აშორებდა. ნავს თოკი კიჩოში რომ ჩააბეს, გემისკენ როდი წამოვიდნენ, პირიქით, როგორც ეს მამაც მეზღვაურებს სჩვევიათ, დაზიანებულ ხომალდზე დარჩნენ და ნაპირისაკენ მასთან ერთად ამ თავსხმასა და სიცივეში ვაჟკაცურად წამოვიდნენ.

ამ ბიჭუნების მამაცობამ და პატარა რენოს თავგანწირულებამ ყველა აღტაცებაში მოიყვანა. გოგონას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ხან იცინოდა, ხან ტიროდა და სიცივისაგან მობუზული ვიღაცისაგან სახელდახელოდ მოწოდებულ საზაფხულო პალტოში გახვეულს კბილები უკაწკაწებდა.

მე შემეშინდა. ბავშვს ვეალერსებოდი, გულში ვიკრავდი და თან ვფიქრობდი: ვინ იცის, იქნებ თავის სიცოცხლის ხანგრძლივ გზაზე ჩემი რენო და ეს ბიჭუნები ერთმანეთს სადმე ისევ შეხვდნენ და ამ წარმტაცმა წუთმა მათი ბედი ისე განაგოს, რომ მისი სიდიადე მაშინ იგრძნონ.

თბილისის ზღვა.
24 ივლისი.







# დები

**ნაზი კილასონია**

ფოტო რ. აკოფოვისა




თეთრად შეფეთქილი, განიერ აივნიანი სახლი... მწვანე ეზო ვაშლისა და ალუბლის ხეებში. ღობის იქით იწყება სანიმუშოდ მოვლილი, ნამყენი ვაზის ვენახი. ღობესთან კი წითლად ღაღანებენ ხავერდის ვარდები. შორს, ცის ციაგში ნელინელ ჰქრებიან კავკასიის იისფერი ქედები.

ახმეტელები გზისპირს ჩავლისას სიყვარულით გადახედავენ ხოლმე ამ კარ-მიდამოს. დიასახლისებს კი უფრო მეტი სიყვარულით ესალმებიან. აივანზე თუ ეზოში მუდამ დაინახავთ მოფუსფუსე გოგონებს. ისინი ზაფხულის არდადეგებით სარგებლობენ. ხშირად მოდიან აქ, რათა საქმეში ხელი წააშველონ საყვარელ პედაგოგებს, დებს — ელენე ფარეულიძესა და ეკატერინე ლუკოვსკაიას. ლამარა ქიბროწაშვილს, ანტისა სალავიოვას, იზოლდა და ნათელა დავიდოვებს აქ იზიდავთ მათი ტკბილი საუბარი. პატივცემული მასწავლებელი — „დეიდა ელენე" მთელი გულით ხვდება ამ გოგონებს, ამეცადინებს, ცდილობს ყოველმხრივ დაეხმაროს მათ დიდი რუსი ხალხის ენისა და ლიტერატურის დაუფლების საქმეში. მეორე და — ეკატერინე ლუკოვსკაია ხშირად უყვება ამ გოგონებს თავიანთი ცხოვრების შესახებ, იმ სიძნელეების შესახებ, რომელიც თან სდევდა მეფისდროინდელ სკოლასა და პედაგოგიკას. იგი ხომ 1904 წლიდან ემსახურება სახალხო განათლების საქმეს. მშრომელი ხალხი სიყვარულით პასუხობდა მის ამაგს. ეს იყო 1918 წელი. 14 წლის თავდადებული შრომის შემდეგ ქვემო ალვანელმა თუშებმა სიყვარულით გამოაცილეს იგი და საჩუქრად ძვირფასი ოქროს საათი მიართვეს. ამ ამბის მოგონებაზე ეკატერინეს თვალები მუდამ სხივოსნდებიან. თითქმის ბავშვური ღიმილით აჩვენებს იგი თანამოსაუბრეს ამ ძვირფას საჩუქარს. საათის ოქროს ხუფს ლამაზი, ქართული წარწერა ამშვენებს: „ჩალმა თუშებისაგან ძვირფას მასწავლებელ ეკატერინეს. 1918 წ., 31 მაისი".

ვაშლის ხეების ჩრდილში ვზივართ. ტკბილ საუბარს აგერ ერთი საათია თავი მოვაბით. შევყურებ მის კეთილ თვალებს, და ვგრძნობ, თუ რაოდენ ალალი უნდა იყოს ეს სიყვარული, რომელიც ნახევარი საუკუნეა თან სდევს სახალხო განათლების ფრონტის ამ უმწიკვლო მუშაკს. „პირველ ხანებში გლეხები უნდობლად ეკიდებოდნენ სკოლას. მე და ჩემი და ელენე ფარეულიძე მინდვრად გავდიოდით, ფეხდაფეხ მივდევდით ხოლმე გუთნისდედას თუ მეხრეს და ისე ვარწმუნებდით, გამოეგზავნათ ბავშვები სკოლაში", — ჰყვება ეკატერინე ლუკოვსკაია. ახლა კი იგი, ღვაწლმოსილი პედაგოგი, ხალხის ნდობით აღჭურვილი პიროვნებაა:

ახმეტის მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ 1950-53 წლებში ეკატერინე ლუკოვსკაია ერთხმად აირჩია სასოფლო საბჭოს დეპუტატად. პარტიამ და ხელისუფლებამ 1949 წ. დამსახურებული პედაგოგის სახელწოდება მიანიჭა და ლენინის ორდენით დააჯილდოვა. ეკატერინეს ენერგიას წლები ვერაფერს აკლებენ. იგი ხალისით განაგებს, როგორც ახმეტის დაწყებით რუსულ სკოლას, ასევე... მეტეოროლოგიურ სადგურს! ჭეშმარიტად საინტერესოა მისი ცხოვრება. აი, თუნდაც რად ღირს ის სიხარული, როდესაც მის მიერ გაზრდილი, აწ დამსახურებული მასწავლებელი, ლენინის ორდენოსანი ხარიტონ მურთაზაშვილი ეკატერინესთან შეხვედრისას ქალარა თავს ხრის და ეუბნება: „სალამი მასწავლებელო"...

ეზოს სიგრილე ეპარება. აივანზე შავებით მოსილი ქალი გადმოდგა. მაღალი, ლარივით ამართული, ერთი შეხედვით მკაცრი, თითქმის ქედმაღალი. მაგრამ როგორ გვატყუებს თვალი ზოგჯერ! საკმარისია დაგელაპარაკოთ იგი, მთელს რაიონში ცნობილი, დამსახურებული პედაგოგი — ელენე ფარეულიძე, რომ დაგატყვევოთ ადამიანური სილბოთი.

კიბეებზე დინჯად ჩამოვიდა და პირდაპირ ჩვენსკენ გამოემართა. მისი თალხი სამოსელის დანახვისას მეხსიერებაში ელვასავით გამირბინა თბილისში, ვერის ხიდთან დატრიალებულმა ტრაგედიამ, რომლის შესახებაც არა ერთხელ მსმენია: ავაზაკის ხანჯალმა სასიკვდილოდ დასჭრა მოსწავლე გოგონა — იზა ფარეულიძე... ეს იყო ოცი წლის წინათ. ამის შემდეგ თითქოს დედის სიცოცხლე აღარ ღირდა. დღეებიც ძაძასავით ჩამოითალხნენ. მაგრამ გაწამებული დედის გულს სხვა ბავშვების წკრიალა ხმები ეძახდნენ. იგი კვლავ დაუბრუნდა თავის საყვარელ საქმეს, ახმეტის სკოლას. ახლა მერხებზე ჩამომსხდარი ბაღღები ერთიათად ძვირფასნი შეიქნენ მისთვის. ისინიც ხომ იზას თვალებით შეჰყურებდნენ დედას. ოცი წლის განმავლობაში ზრდიდა ელენე ფარეულიძე ამ ბარტყებს, ცხოვრების დიდ გზაზე გამოჰყავდა ისინი და შემდეგ იზას მაღალი ოცნებისაკენ — უმაღლესი სასწავლებლისაკენ აცილებდა მათ. არა მგონია, ვინმე ისეთი სიყვარულით სარგებლობდეს მთელს რაიონში, როგორიც ერგო ამ ქალარით მოსილ ქალს. ახლაც ახმეტის გზატკეცილს ერთად მივყვებით და წამდაუწუმ აჩერებენ მას შემხვედრები, ესალმებიან და რამდენიმე წუთში მაინც ასწრებენ თავიანთი სიხარულისა თუ საზრუნავის გაზიარებას.

— დეიდა ელენე, დეიდა ელენე! — მოგვძახის ვილაც ქალი და ელენეც მშვიდად ჩერდება. „გაგრის საგზურს მაძლევენ, მე კი ბორჯომში მირჩევნია. იქნებ რამე მომიხერხოთ, თავს შემოგევლე"-ო. მე ეს არც გამკვირვებია. ელენე ფარეულიძე ხომ ახმეტის მშრომელთა რაიონული საბჭოს მეოთხე მოწვევის დეპუტატია. იგი პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. ამომრჩევლები ხშირად ნახულობენ, ეკითხებიან რჩევა-დარიგებას, და შემდეგ გულმშვიდად ბრუნდებიან უკან, რადგან იციან, რომ მათი საქმე საიმედო ადამიანის ხელშია. ელენე ფარეულიძე გულისხმიერად ეკიდება მათ უმცირეს თხოვნასაც კი, და ზრუნავს მათი დაკმაყოფილებისათვის.

წვიმა წამოგვეწია, ჯერ ნელნელ ფაჩუნობდა გზის გასწვრივ ხილნარებში. მერე კი ნამდვილი ზაფხულის ღვართქაფი წამოვიდა. რაიონის პატარა სასადილოს შევაფარეთ თავი. სასადილოს გამგე მაშინვე მიეგება ელენეს, განზე გაიყვანა და სასადილოს მეურნეობის შესახებ დაუწყო ლაპარაკი. მოსადილეებმაც იცნეს ელენე და ხალისიანად ჩაებნენ საუბარში. როგორც ქი გადაიღო წვიმამ. თუმცა სჯობდა კი, რომ მთელი დღე ეწვიმა. „ასეთი გვალვა არ ახსოვს რაიონსო"— ამბობდნენ წელან კოლმეურნეები. ამ გვალვის გამო მიეშურება ელენე მარქსის სახელობის კოლმეურნეობის კანტორისაკენ. იგი რაიონის პარტიული კომიტეტის მიერ ყოველ წელსაა მიმაგრებული კოლმეურნეობაზე, მოსავლის აღებასთან დაკავშირებით. „ეს ერთი კვირაა თელავში ვიმყოფებოდი და არ ვიცი, კოლმეურნეობის სიმინდის ნათესები რა დღეშია. — წუხს ელენე. — ვაითუ დროზე ვერ მიუგდეს წყალი, ვაითუ დაიჩაგრა სიმინდი". მაგრამ უსიამოვნების ჩრდილიც მალე მოშორდა მის სახეს, როდესაც კანტორაში, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვასილ შჩეპოტინმა აცნობა, რომ ყველაფერი რიგზეა, სიმინდი დროზე მოირწყო, ნამყენი ვაზის ზვრებს, ალბათ, ბადალი არ ჰყავს მთელს რაიონში, აბრეშუმის პარკის პირველი მოსავალი უდანაკლისოდ ჩააბარეს და ახლა მეორე მოსავლისათვის ზრუნავენ. შემდეგ საუბარი უფრო შინაურულ ხასიათს იღებს. ვასილ შჩეპოტინი აღტაცებით ჰყვება იმ შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც მოსკოვის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ მოახდინა მასზე.

კანტორის გვერდით ელენეს მშობლიური რვაწლიანი სკოლაა ამართული. ლურჯად შეღებილი კარ-ფანჯარა, თეთრი კედლები. სკოლის პედაგოგიური კოლექტივის ზრუნვის შედეგად სკოლა დროულად შეკეთდა ახალი სასწავლო წლისათვის. ელენემ შემოუარა გარს სკოლას, ნაკვეთშიაც გადაიხედა.

— იცით, ამ სკოლის დირექტორი სიმონ დავიდოვი ჩემი ყოფილი მოსწავლეა,—მეუბნება სახე გაბრწყინებული. და განა მარტო სიმონი, რაიონის რომელ კუთხეში არ ნახავთ დღეს მის გაზრდილებს. ისინი — ინჟინრები, პედაგოგები, ექიმები, სოფლის მეურნეობის მუშაკები, თავდადებით ემსახურებიან ჩვენს დიდ სამშობლოს. და დღესაც სიყვარულით იხსენებენ იმ ადამიანს, ვინც პირველმა შეასწავლა დიდი რუსი ხალხის ენა, ჩაუნერგა უსაზღვრო სიყვარული ამ ენისადმი. აი, რას ამბობს ელენე ფარეულიძე: „მთელი ჩემი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე მე ვისახავდი ერთ მიზანს: აღმეზარდა სამშობლოს ღირსეული შვილები, პატრიოტები. სამშობლოს სიყვარული, მისთვის თავდადების გრძნობის დანერგვა ჩემი მუშაობის მთავარი მიზანია. ბევრმა მათგანმა დიდი სამამულო ომის დროს თავი დადო სამშობლოსათვის. ბევრი ახლაც მხარში მიდგას პედაგოგიური მოღვაწეობის ასპარეზზე: მარიამ ბოდველი, ნინო მზიაშვილი, სონია გაბიტაშვილი და სხვ. მე ყოველთვის ვცდილობ გავუზიარო მათ ჩემი გამოცდილება, დავეხმარო შეძლებისამებრ".

მართლაც, ელენე ფარეულიძე ერთგულად ეხმარება მასწავლებელთა ახალგაზრდა კადრებს; ხელმძღვანელობს რუსული ენის მეთოდკომისიას, ხშირად აწყობინებს ღია გაკვეთილებს, სადაც პრაქტიკულად ხდება მასწავლებლის პედაგოგიური მუშაობის გაანალიზება. ნაკლოვანების გამომჟღავნება, მასზე მითითება დიდად უწყობს ხელს პედაგოგებს რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების საქმეში.

ყველა ამ ღირსების გარდა, ელენე ფარეულიძე მორიდებული და ჩუმი მუშაკია. იგი საერთოდ ძუნწად ლაპარაკობს თავის შესახებ. იძულებული ვხდები, ისევ, მის მოსიყვარულე დას — ეკატერინეს მივმართო. ვათვალიერებ პრესას, სადაც წერია ამ თვალსაჩინო პედაგოგის ამბები. აი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო სიგელი, რომელიც ელენე ფარეულიძემ 1947 წელს მიიღო; აი ორდენის წიგნაკი, მედალი „1941-45 წლებში სამამულო ომის დროს მამაცური მუშაობისათვის". ასევე ბევრს მიყვება ელენე ფარეულიძის შესახებ მის მკერდზე მიბნეული ნიშანი: „სახალხო განათლების წარჩინებული".

არა, რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა ავალაპარაკო პატივცემული ელენე.

დამსახურებული მასწავლებელი ელენე ფარეულიძე ესაუბრება თავის მოწაფეებს სკოლის ეზოში.





სკოლიდან ბრუნდებიან ელენე ფარეულიძე და მის მიერ აღზრდილი მასწავლებლები: ნინო მჭიაშვილი, მარიამ ბოდველი და სიმონ დავიდოვი (სკოლის დირექტორი).

— მიამბეთ კიდევ რაიმე თქვენი ცხოვრების შესახებ, — თითქმის ხვეწნით ვეუბნები მას. წამოდგა. ფანჯარა გამოაღო. კედელზე ატოტებული სურო ღია სარკმელში იჭრება, მას თან ნაწვიმარი მთის ჰაერი მოჰყვება.

ელენე ფარეულიძე თვალებს ხუჭავს და ერთი მეორეს ენაცვლებიან მისი საინტერესო ბიოგრაფიის ფურცლები:

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების დღიდან იგი თავდადებით ემსახურებოდა სახალხო განათლების საქმეს. 1924 წელს მისი ინიციატივით გაიხსნა ს. ახმეტის წერა-კითხვის უცოდინართა სკოლა, სადაც ქ. თელავის პოლიტგანყოფილების მიერ იგი გამგედ იქნა დანიშნული. 1926 წელს მისი ინიციატივითვე დაარსდა პროფსკოლა მოზრდილ ქალთათვის.

პედაგოგიურ მოღვაწეობას იგი ყოველთვის უთავსებდა საზოგადოებრივ საქმის სამსახურს.

ახმეტელები ხშირად ირჩევდნენ მას კოოპერატივის სარევიზიო კომისიის წევრად, ჰიგიენის კომისიის წევრად, კულტსექციის ხელმძღვანელად, ქალთა კუთხის გამგედ, დრამატული წრის ხელმძღვანელად და სხვ. 1936 წ. იგი თბილისიდან ბრუნდება და კვლავ ახმეტის სკოლაში ვხვდებით.

მას შემდეგ კიდევ მრავალი დღე და წელი პატიოსანსა და უანგარო შრომაში აქვს გატარებული.

— ელენე, გენაცვა, შენთან არიან, — ღია კარიდან შემოძახა ეკატერინემ და ელენეც წელგამართული გაეშურა სტუმრებისაკენ.

ზაფხულის ღამეა, აივნის კიბეებზე ჩამოვჯექი. ელნათურების შუქი ზღაპრული სილამაზით აბრწყინებს ხილნარს. ჭრიჭინას განუწყვეტელი სიმღერა ავსებს მთელს ეზოს. გული თითქმის სინანულით მევსება. უკვე მივეჩვიე ამ ოჯახს, რომელმაც ეს რამდენიმე დღეა ასე ტკბილად მიმიღო. ხვალ მივდივარ, ვტოვებ ლამაზ ახმეტას, ალაზნის ველს, ბახტრიონის ნანგრევებს და ამ კარგ ადამიანებს.

ახმეტის რაისაბჭოს დეპუტატი ელენე ფარეულიძე რჩევა-დარიგებას აძლევს თავის ამომრჩევლებს — მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრებ'ს — ნადეჟდა მაისურაძეს და გიო ბითოშვილს.



თამაზ ჭილაძე

## იშლებიან ალუბლები

სწორედ ამ დროს შარშან,
სწორედ ამ დროს შარშან
შევხაროდით ერთად ალუბლების გაშლას,
მივყვებოდით ქუჩებს, მდინარეს და ბაღებს.
გაზაფხულის ზეიმს, ლამაზ პარადებს.
და გულიდან მაღლად ავარდნილი ქაღალდი
მიფრინავდა მაღლა, მთაწმინდაზე მაღლა.
უხდებოდათ ისე ქუჩებს სხივი დილის,
რომ ველები ჭრელი,
ვეფხვებივით ჭრელი,
აწყდებოდნენ თბილისს.
იშლებიან უკვე ალუბლები გზებზე,
თბილი თოვლი მოდის, მოვდივარ და გეძებ.
მოვდივარ და გეძებ, ასე ვფიქრობ — იქნებ
სხვა ღიმილით მიცქერ და სხვა სახელს ირქმევ.
იქნებ გვერდით მყავხარ, იქნებ ცა ხარ თვითონ,
იქნებ რტო ხარ,
სულში გინდა გაიკვირტო.
არ წასულხარ არსად,
სულში ხარ და მღერი,
იმოსები ახალ გაზაფხულის ფერით...

## ჩქარა მესამეც

ნაწვიმარი ბაქანი,
წითელქუდა მორიგე,
— როდის მოვა, როდის?
— ჩქარა, — მშვიდად მომიგებს.
სადგურს იქით ყანა,
ეჭვნიანი ციკნები,
ისევ ისე დგანან
მუხები და წიფლები,
სადგურს იქით სკოლა,
ბავშვობა და წიგნები.
ქვეყნად გზაა ბევრი,
გაუვლელი მინდვრები,
ფიქრით გასაფრენი
სიხარულის ზვირთები.
მოვიდა და მოვარდა,
მხოლოდ წამით თითქო —
დამენანა ნავარდი
და ტოლების სითბო.
მოვიდა და მოვარდა,
დავინახე მთები,
ზღვაზე გემი ბოლავდა,
თუ ქალაქი მთელი.
დავინახე უცებ
სილამაზე უცვლელი,
წვიმებიც და ქარიც
და ახალი ფურცლებიც.
შემხვდებიან ახალი,
მეგობრები, ტოლები
და რუსთავის ქარხნების
ცეცხლში გავიბოლები.
ვიცი გზაზე იქნება
სიხარული, ღიმილი
და ახალი სიმღერა,
როგორც მამლის ყივილი.
გამაღვიძებს ყრმობიდან;
სიმღერები მეტყვიან:
— ვაჟკაცობა მოვიდა,
ბიჭო, ხელი მოიტა.
გზა მაქვს შორზე შორი,
ფიქრო, შემომეცალე,
ზარი ერთი, ორი,
— ჩქარა, ჩქარა მესამეც...



# სიმყუდროვის მაძებარი

მხატვარი კ. მახარაძე

## რევაზ ჯაფარიძე

არაფერი არ შეცვლილა. ანდა რა უნდა შეცვლილიყო რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში! ალაგ და ალაგ მეხს და გრიგალს დაულეწია ორიოდე თვალ-შეუდგამი წიფელი, დანარჩენები კი კვლავინდებური ზვიადობით დგანან და თავიანთ დღეს ელიან.

თიბათვის მცხუნვარება სადღაც ხრამში გადაჩეხილა. უღრანი ტყის მაცოცხლებელი ნიავი ჰქრის. აქაურობა ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს ადამიანს ფეხი არ დაედგას ამ არემარეზე. არც ცულის ნაცოდვილარი შეიმჩნევა სადმე, არც სახედრის საპალნედ მოგროვებული ფიჩხი. მხოლოდ ეს გზა, მთის პაწია ბილიკი მოწმობს იმას, რომ ნადირის ჯოგებთან ერთად ადამიანიც ხანგამოშვებით გაივლის აქ, რათა რკინიგზამდე მისასვლელი გზები შეიმოკლოს და რიყრაყზე წიფლარში გამოვლილი, დროით მიადგეს სადგურს.

არა, თითქმის არ შეცვლილა არაფერი.

წიფლის ტოტებს ძველებურად დაჰკიდებია ხავსი. ხავსი ნებიერად ნანაობს ნიავის ყოველ შემოქროლებაზე. ირგვლივ სიჩუმეა, რასაც ოდნავადაც ვერ არღვევს ფოთლებში შეფარებული შაშვის სტვენა. ესეც თითქოს მხოლოდ იმისთვისაა მოგონილი, რომ პირველყოფილ სიჩუმესაც მიეცეს რაიმე აზრი.

ისევ დაცვარული ხმელი ფოთლები მდელოზე, ისევ მაღალი, ჩრდილში დავაუკაცებული მწვანე გვიმრა, მიწაზე გაკრული შქერი და ვეებერთელა ქვებზე შემომჯდარი ჭყორის ბუჩქები.

სიჩუმეა, მაგრამ ტყე მაინც თავისებური სიცოცხლით ცხოვრობს. თუ ყურს კარგად დაუგდებ, მოგეჩვენება, რომ ხეებიც სუნთქავენ, ფოთლები ჩურჩულებენ რაღაცას, ნოტიო მიწაც სუნთქავს, მკერდი ებერება და ნებიერად გულალმა გაშოტილი მოწმენდილ ცას შეჰყურებს, ნაჭერ-ნაჭერ რომ გაიკიაფებს ტოტსა და ტოტს შუა. ყველაფერს თავისებური ენა აქვს, ყველაფერი თავისებურად შეჰხარის სიცოცხლეს, ყველას რაღაც უყვარს, ყველა რაღაცას გაუტაცნია.

ნუგზარი ფრთხილად მიაბიჯებს ბილიკზე, თითქო ეშინია, ძალი არავის გაუფრთხოო. მთელი მისი არსება რაღაც დიდი მოკრძალებითაა განმსჭვალული. ეს შეუცნობელი მოკრძალება კი ისე სასოებით ევლება გულზე, ისე უმსუბუქებს გზის სიძნელეს, თითქო ფრთები უნდა გამოესხას და სადღაც გაფრინდესო. ამ წუთს მისთვის შეუმჩნეველი რჩება გვიმრაც და შქერიც, წიფელიც და ხავსიც. კიდეც რომ ეცადოს, გამოცალკევებით ვერას დაინახავს, რადგან ყოველივე ერთ არსებად, ერთ სულდგმულად ქცეულა.

აი, კიდევ გაისმის მოულოდნელი ტკრციალი. დამფრთხალი ჩხართვი თუ აფრინდა სადღაც მახლობლად და ჩვეული ქახქახით კენწეროებს შემოევლო.

მაგრამ რა არის ეს, ეს რა ხმა ისმის?

ნუგზარმა სული განაბა და სმენა იქით მიაპყრო, საიდანაც გულის მომტაცი, სევდის მომგვრელი და ბედნიერების ჰანგით შთაგონებული გალობა მოესმოდა. მრავალჯერ გაევლო მას ეს ადგილები, მრავალჯერ დამტკბარიყო ტყის იდუმალი სტვენა-გალობით, ასეთი რამ კი არასოდეს არ გაეგონა. მუდამ რაღაც აკლდა ბუნების ამ მარადიულობას, მუდამ რაღაც დიდი არ აგვირგვინებდა ამ სრულქმნილობას ბუნებისას.

ამიტომ შეაკრთო მოულოდნელმა ხმამ ნუგზარი, ამიტომ დაავიწყდა ყოველივე ის, რაც გარეშემო იყო და სმენად იქცა.

სადღაც შორს ჟღერდნენ ვერცხლის ზარები და ეს სიზმარეული ჰანგი ცისარტყელის რკალივით ჩამოშვებულიყო ამ სიწყნარისა და სიწმინდის სამეფოში.

ნუგზარი მიხვდა:

სადღაც მოშორებით, ასიოდე ნაბიჯზე, გატაცებით და დაუდევრად მღეროდა ადამიანი. მღეროდა ისე, როგორც იცოდა, მღეროდა ზღვებზე, მღეროდა მდინარეებზე, მღეროდა იმაზე, რომ მაღალი და მიუწვდომელია ჩვენი ტკბილი სამშობლოს მთები. მარად თოვლიანი, ბრწყინვალე და ცად აღმართული არიან მისი მყინვარები. ისინი მედიდურად გადმოსცქერიან მთელ დედამიწას, მაგრამ მათზე კიდევ უფრო მშვენიერი და მაღალია ადამიანი, ადამიანი — მფლობელი და ბატონ-პატრონი ბუნებისა; იგი ყველაფერზე მაღლა დგას...

მღეროდა იმას, რომ უნაპირო და თვალგაუდევნებელია სივრცე ლურჯი ზღვისა. მისი ტალღები აწყდებიან მშობელი მიწის ნაპირებს, მაგრამ ამაზე უფრო მშვენიერი და ყოვლის მომცველია ადამიანის გული და გონება, ადამიანი — მფლობელი და ბატონ-პატრონი ბუნებისა; იგი ყველაფერზე მაღლა დგას.

გარინდებული იდგა ნუგზარი. ბედნიერებით ნათელმოსილი მზერა ტყის სიღრმისკენ მიეპყრო. ის ახლა მიმხვდარი იყო, რა აკლდა წინათ ბუნების სიტურფის სრულქმნილობას. უეცარმა სიხარულმა გამსჭვალა იგი. გზიდან გადაუხვია, ტყეში შევიდა და იქით გაემართა, საიდანაც ეს ზღაპრული გალობა სწვდებოდა სმენას. დიდხანს იარა ნუგზარმა ტყეში. ხმელი ფიჩხი ტკაცუნებდა ფეხქვეშ. დამფრთხალი ფრინველები დაწრიალებდნენ წიფლის ფოთლებში.

უეცრად ტყე გამოილია და ის თითქო დედამიწის კიდეზე აღმოჩნდა. აშოლტილ წიფლებს მწვანე ხეივანში მოექციათ პაწია ველობი. ველობი მთის ნაირ-ნაირი ყვავილებით და ასკილის ბუჩქებით იყო მოფენილი. შუაგულში აღმართულ ხავსიან ტინზე ორი თუ სამი ბროლის ნაკადი გადმოსჩქეფდა, მერე უსწორმასწორო კალთებზე ეშვებოდა და მზის სხივებზე ბრწყინავდა ანკარა წყლის კამარა. კამარები ერთიმეორეს ერწყმოდნენ და მდელოზე მოედინებოდნენ სიცოცხლის მომნიჭებელ წყაროს ნაკადად.

„ბავშვები!“ — გულის სიღრმიდან აღმოხდა ნუგზარს და შეჩერდა.

ბავშვებს ყვავილები დაეკრიფათ. ბროლის კამარებით მოხატული ხავსიანი ტინი თაიგულებით შეემკოთ. იქვე იდგა ნორჩი ფოთლებით თავდახურული კალათა. ბავშვებს ფეხთ გაეხადათ და ნახევრად შიშველნი წყაროსთან ცელქობით ტკბებოდნენ.

აი, საიდან ილვრებოდა ტყეში ის ზღაპრული გალობა, აი, რა აკლდა ადრე ბუნების დიდებულ სურათს.

ბავშვებმა ფეხის ხმა შეიცნეს. თვალი მოავლეს იქაურობას.

სიმღერა შეწყდა.

ნუგზარი უძრავად იდგა. ყოყმანობდა, გამოჩენილიყო თუ არა. დაენანა, რომ უნებური ჩქამით დაარღვია პატარების თავდავიწყება. სხვა გზა არ იყო, უნდა გასცლოდა აქაურობას, მაგრამ ბავშვები შენიშნავდნენ და იქნებ შეშინებოდათ კიდეც. ამას წყაროსთან მისვლა სჯობდა. მას თითქო ჯერ კიდევ ჩაესმოდა ის ტკბილი ხმა, რომლის გაგონებამაც აქეთ წამოიყვანა და, სურდა, განუზომლად სურდა ერთხელ მაინც განმეორებულიყო იგი.

ბევრი აღარ უფიქრია. ასწლოვან ხეებს გვერდი აუარა და მთელი ტანით გამოჩნდა ველობზე.

ბავშვები წამოიშალნენ.

— დილა მშვიდობისა, ყმაწვილებო! — ფარული მღელვარებით წარმოთქვა ნუგზარმა და წყაროსთან ხელახლა შეჩერდა, — კარგი ადგილისთვის მიგიგნიათ. შორი გზიდან მოვდივარ, მეც წყლის დასალევად ამოვუხვიე.

ბავშვები დააბნია უცნობი ადამიანის გამოცხადებამ. ისინი ოთხნი იყვნენ, ერთი შავტუხა ბიჭი და სამიც გოგონა. ყველაზე პატარამ კალათთან მიირბინა, ჭიქა ამოიღო.

— გაიზარდე! — წარმოთქვა ნუგზარმა, როცა წყურვილი დაიცხრო და ბროლის ცვრებით აბრწყინვებული ჭიქა კვლავ ფეხშიშველ გოგონას გაუწოდა.

წუთით დუმილი სუფევდა. სადღაც ნეტარებით გალობდა შაშვი.

ახლა ყველაფერს მიხვდა ნუგზარი: ზემოთ, ტყის ნაპირას, სადაც მაღალი კლდეები იწყება, მახლობელი სოფლის სათიბებია.

„ბავშვებმა სადილი ჩამოუტანეს მამას, — გაიფიქრა მან, — ახლა შინ წავლენ“. ნუგზარს ვერ გამოეთქვა თავისი სურვილი, თუმცა ძალზე უნდოდა მისი გამხელა: მას უნდოდა ერთხელ კიდევ გაეგონა ტკბილი გალობის ხმა, აქვე ყოფილიყო, მთის ანკარა წყაროსთან. მაგრამ, როგორც ჩანდა, ბავშვები უკვე წასვლას აპირებდნენ და, რა თქმა უნდა, აღარც იმღერებდნენ. წამოჯდა. აბგას თავი მოხსნა და ის ფეხშიშველი გოგონა მოიხმო, რომელმაც ჭიქა მოაწოდა გოგონამ უმალვე მოირბინა.

— რა გქვია, გოგონი?

— მარინეს მეძახიან.

— მერე, აგრე ლამაზი როგორ გაჩნდი?

ბავშვი აილეწა. მეგობრებისაკენ გააპარა თვალი, თითქო იმის კითხვა უნდოდა, ვუპასუხო თუ არაო.

— ვისი ხარ? — გაუმეორა კითხვა ნუგზარმა.

— მალხაზ იაძის შვილი ვარ, ბიძია.

— ყველა იმისი ხართ?

— დიახ, ყველა.

— ახლა ეს მითხარი, შენ უფრო კარგი მომღერალი ხარ, თუ შენი დაძმები?

ბავშვი კვლავ გაწითლდა. მალულად უფროსებისაკენ გაიხედა, თითქო კიდევ უნდა იკითხოს, ამაზე რა ვუთხრაო.

— რა ვიცი...

— როგორ არ იცი, მაშ ვინ იყო, ახლა რომ მღეროდა?

მარინეს დარცხვენა მის და-ძმებსაც გადაედო. უხერხულად აიწურნენ, მაგრამ ნუგზარმა მაინც იპოვნა მდგომარეობიდან გამოსავალი. პირმოხსნილ აბგიდან პატარა უუუუნასათვის წამოღებული ტკბილეულობა ამოიღო და ბავშვებს დაურიგა.

— შენ უმცროსი ხარ? — ჰკითხა ისევ მარინეს.

— არა. უმცროსი გოგია არის, — გათამამდა გოგონა.

— აბა აქ მოდი, გოგი!

შავტუხა ბიჭი გაუბედავად მიუახლოვდა. მას ფეხზე ჩაცმაც მოესწრო.

— საჩუქრები კიდევ მაქვს, — დაიწყო ნუგზარმა და ბიჭს ნამცხვარი გაუწოდა, — წეღან რომ მღეროდით, ის იმღერეთ.

შავტუხა ყმაწვილი ამაყად იდგა მის წინ. საჩუქრის გამორთმევა ვერ გადაეწყვიტა.

— იმღერეთ, გოგი, ერთხელ იმღერეთ, — უჩვეულო მუდარით მიმართა ახლა მას ნუგზარმა, — შენ დიდი ბიჭი ხარ. ხომ იცი მგზავრსა და სტუმარს პატივს სცემენ ჩვენს ქვეყანაში, სურვილს უსრულებენ... იმღერეთ!

გოგონებს მოსწონდათ ძია. მარინე მოკრძალებით მისჩერებოდა ძმას.

— ვიმღეროთ, გოგი.

უზომო სიყვარულსა და სათნოებას გამოხატავდნენ გოგონას აზრიანი თვალები. ორი დანარჩენიც ასეთივე მუდარით შესცქეროდა გაჯიუტებულ ძმას. ბიჭი მოლბა. ასკილის ბუჩქთან მოიკალათა, მგზავრს ზურგი შეაქცია და მარინეს ანიშნა, შენ დაიწყეო.

მიწყნარებული მიდამო კვლავ აივსო ბედნიერებით სავსე ხმით. სიმღერა ტკბილი იყო, წრფელი, მაგრამ ერთი რამ მაინც გულზე მოხვდა ნუგზარს. წეღან მას ეს სიმღერა ერთ მთლიანად ეჩვენა, ერთი გულიდან გადმოღვრილად, შეხმატკბილებულად. ახლა კი სიმღერას მთლიანობა დაჰკარგვოდა, იგრძნობოდა, რომ გალობდა ამ საქმეში გამოუცდელი ოთხი ბავშვი, მიუხედავად იმისა, რომ ოთხივე მათგანი ცდილობდა სიმღერა უკეთესი გამოსულიყო.

ნუგზარი მოგონებამ წაიღო. მას უნდოდა არა ამის გაგონება, არამედ იმისა, რომელმაც წეღან გული აუძგერა და ფრთები შეასხა.

როცა სიმღერა მიწყდა, მას თავი არ აუწევია. ცოტა ხანმა ასე გასტანა. მხოლოდ ორიოდე წუთის შემდეგ ასწია თავი და მიიხედ-მოიხედა. წყარო რუკრუკებდა იქვე, სადღაც ისევ გალობდა შაშვი.

პატარები აღარსად ჩანდნენ.

მდელოზე თვალი მოჰკრა მიტოვებულ ტკბილეულს. ეს იმ შავტუხა ბიჭის წილი იყო.

ნუგზარი ზეზე წამოიჭრა.

— ეჰეე, გოგი! მარინეე! — გასძახა ტყეს და თავისსავე ხმას ყური მიუგდო. ხმა ტყემ მოიტაცა, ხუილით გაიმეორა და შთანთქა.

ბილიკს ბავშვების ნაკვალევიც აღარ ეჩნეოდა.



# დიდი რუსი მხედართმთავარი

## მ. ი. კუტუზოვის დაბადების 210 წლისთავის გამო.

დიდი რუსი ხალხის სახელოვანი მხედართმთავარი მ. ი. კუტუზოვი დაიბადა 1745 წლის 18 სექტემბერს, პეტერბურგში. 16 წლის მიხეილმა არმიაში დაიწყო სამსახური. მან პრაქტიკული სამწყობრო, ხოლო შემდგომ საბრძოლო სკოლა დიდი რუსი მხედართმთავრის სუვოროვის ხელმძღვანელობით გაიარა.

პირველი საბრძოლო ნათლობა კუტუზოვმა პოლონეთში მიიღო, სადაც მამაცი და ნიჭიერი ოფიცრის სახელი მოიხვეჭა. კუტუზოვის სამხედრო დაოსტატების მნიშვნელოვან სკოლას წარმოადგენდა 1770 წლის საბრძოლო კამპანია თურქეთის წინააღმდეგ. ახალგაზრდა ოფიცერი კუტუზოვი ამ სახელოვანი ბრძოლების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო. იგი 25 წლის იყო, როდესაც კორპუსის შტაბის უფროსად დანიშნეს. მისმა შემოქმედებითმა ნიჭმა, სამხედრო საქმის ღრმა ცოდნამ განსაკუთრებით თავი იჩინა იზმაილის ცნობილი იერიშის დროს, სადაც გაარღვია თურქეთის მრავალრიცხოვანი არმიის გრიგალისებური ცეცხლი და ხიშტებით გაკაფა გზა სიმაგრის ცენტრისაკენ.

სუვოროვი გამარჯვების შესახებ გაგზავნილ დეპეშაში წერდა: „იგი მიდიოდა ჩემს მარცხენა ფრთაზე, მაგრამ ჩემი მარჯვენა ხელი იყო“-ო.

კუტუზოვი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ოფიცერთა სამხედრო მომზადების დონის ამაღლებას. რუსეთის მთავარი სამხედრო სასწავლებლის — სამხედრო კადეტთა კორპუსის გენერალ-დირექტორად ყოფნის დროს მან სასწავლებელში საგრძნობლად გააუმჯობესა სწავლების ხარისხი, გააფართოვა სასწავლო პროგრამა. ის დიდ ყურადღებას აქცევდა ტაქტიკისა და სამხედრო ისტორიის სწავლებას. ამ დისციპლინებში იგი თვითონ კითხულობდა ლექციებს. 1800 წელს, სუვოროვის გარდაცვალების შემდეგ, კუტუზოვი დარჩა რუსეთის სამხედრო ხელოვნების მთავარ წარმომადგენლად.

მეფე ალექსანდრე პირველი ყოველნაირად სდევნიდა და ავიწროვებდა მას, რის გამოც კუტუზოვმა მიანება თავი სამხედრო სამსახურს და თავის მამულში ხელი მიჰყო სოფლის მეურნეობას.

ალექსანდრე პირველი კარგად ხედავდა ნაპოლეონთან ომის საშიშროებას და ამიტომ ცდილობდა დროულად დაემთავრებია ომი თურქეთთან, რომელიც რამდენიმე ხანს გაგრძელდა. მეფე იძულებული შეიქნა ეს საქმე კუტუზოვისათვის დაეკისრებია. 1807 წლის 7 აპრილს კუტუზოვი მოქმედ არმიაში ჩავიდა. მან სასტიკად დაამარცხა თურქეთის არმია და აიძულა ხელი მოეწერა ქ. ბუქარესტში რუსეთისათვის ხელსაყრელ საზავო პირობებზე. მშვიდობიანობის პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა. 1812 წლის 24 ივნისს ნაპოლეონი 600.000-იანი არმიით თავს დაესხა რუსეთს და მოკლე დროში შეძლო მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია. ქვეყანა აშკარა საფრთხის წინაშე იდგა. მთელი ხალხი და არმია ერთსულოვნად მოითხოვდა მთავარსარდლად გამოცდილი მხედართმთავრის კუტუზოვის დანიშვნას. ხალხი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მხოლოდ კუტუზოვის დიდ მხედართმთავრულ გენიას შეეძლო სასტიკი დარტყმები ეგემებინა ფრანგი დამპყრობლებისათვის.

ხალხი არჩევანში არ შემცდარა. სამხედრო საქმის გამოცდილმა ოსტატმა მ. კუტუზოვმა, იკისრა რა რუსეთის არმიის სარდლობა, აწონ-დაწონა მტრისა და თავისი ძალები, შეიმუშავა სამშობლოს დაცვის ბრწყინვალე გეგმა და დაიწყო მისი თანმიმდევრული განხორციელება.

სამხედრო საქმის ისტორიაში დაუვიწყარი ფურცლები ჩაწერა რუსეთის არმიამ კუტუზოვის ხელმძღვანელობით ბოროდინოსთან წარმოებულ ბრძოლებში. აქ რუსეთის არმიამ მოიპოვა უძლეველობის სახელი.

ბოროდინოსთან დამარცხებით დაიწყო ნაპოლეონის არმიის აღსასრული და რუსეთის არმიის გამარჯვების გზა. კუტუზოვმა გენიალურად განჭვრიტა აქტიური უკანდახევითი ტაქტიკით მტრის ძალების დასუსტება, ხოლო შემდგომ თავისი არმიის შეტევაზე გადაყვანა.

ფრანგმა დამპყრობლებმა შეძლეს რუსეთის გულის — მოსკოვის აღება. მაგრამ შემდეგ იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ მოსკოვი და გაქცეულიყვნენ. კუტუზოვი დაედევნა ნაპოლეონის არმიას და გაანადგურა იგი.

რუსეთის არმია იყო ის ძალა, რომელმაც წელში გასტეხა ევროპის დამპყრობელი ნაპოლეონის არმია და გაათავისუფლა აღმოსავლეთ ევროპის ხალხები ფრანგ დამპყრობლებისაგან.

იმ დროს, როდესაც ახლოვდებოდა საფრანგეთის დედაქალაქში რუსეთის ძლევამოსილი არმიის შესვლის დღე, მოხუცი ფელდმარშალი კუტუზოვი ქ. ბუნცლაუს მახლობლად გაცივდა და ლოგინად ჩაწვა. ავადმყოფის ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა. სიკვდილის წინ ის ინახულა ალექსანდრე პირველმა და თხოვა, ეპატიებია მისთვის ის დევნა და შეურაცხყოფა, რაც მას სიცოცხლეში მიაყენა. — მე, თქვენო უდიდებულესობავ, მიპატიებია, მაგრამ არასოდეს არ გაპატიებთ რუსეთი! — უპასუხა მას მომაკვდავმა მხედართმთავარმა.

1813 წლის 28 აპრილს სახელმოხვეჭილი სარდალი გარდაიცვალა. კუტუზოვის ცხედარი პეტერბურგში ჩამოასვენეს და ყაზანის ტაძარში დაკრძალეს.

მ. ი. კუტუზოვის ცხოვრება და სამხედრო ღვაწლი არის სამშობლოსათვის თავდადებისა და ერთგული სამსახურის ბრწყინვალე მაგალითი.

ელგუჯა ქვათაძე

# ნახევარი საუკუნე

# დაზგასთან


ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ის დაზგა, რომელთანაც ნახევარ საუკუნეზე მეტი გაატარა სამსონ წეროძემ.

1896 წლის აპრილში მოვიდა ამ სახელოსნოში სამსონ წეროძე. აგერ უკვე მესამოცე წელიწადია!... ახლა მას ყველა სამსონ-ძიას ეძახის.

მოხუცდა სამსონ წეროძე, მაგრამ არ გატყდა, ჯერ კიდევ ყოჩაღად გამოიყურება და ახალგაზრდული ხალისით განაგრძობს მუშაობას. ან კი როგორ უნდა მოსცილდეს თავის საყვარელ სახარატო დაზგას, სადაც ნახევარ საუკუნეზე მეტი გაატარა და რომელზე მუშაობითაც ასე დიდი სახელი და პატივი მოიპოვა?

მხოლოდ ერთხელ მოუხდა სამსონს ამ დაზგის მიტოვება რამდენიმე თვით, მაგრამ მიზეზი საპატიო იყო — ხარატი წეროძე დეპოს ადმინისტრაციამ 1905 წელს მოხსნა სამუშაოდან, როგორც რევოლუციური გამოსვლებისა და რკინიგზელთა გაფიცვების აქტიური მონაწილე.

იმ ხანებში წეროძე ჩაბმული იყო დეპოში არალეგალურად მოწყობილ რევოლუციურ წრეში. ამხანაგებთან ერთად მან არა ერთხელ იგემა პოლიციელთა მათრახი და მუშტი. მას ახლაც აჩნევია ზურგზე თოფის კონდახის ნარტყმევი. ეს ნიშანი სამსონს დარჩა იმ დღის სახსოვრად, როდესაც ხუდადოვის ტყეში შავრაზმელებმა ვერაგულად დახვრიტეს რევოლუციონერი რკინიგზელები—მთვარაძე, დვალი და მაისურაძე...

სტიქიურად მოეწყო საპროტესტო დემონსტრაცია. დემონსტრანტების პირველ რიგებში სამსონ წეროძე მიდიოდა..., მაგრამ დიდი მანძილის გავლა არ აცალეს... თავს დაესხნენ ცხენოსანი სტრაჟნიკები და მათრახებითა და კონდახებით დაარბიეს უიარაღო მუშები.

ბევრი რამ საინტერესო ახსოვს ამ მხცოვან მუშას, იგი თბილისის საორთქლმავლო დეპოს ცოცხალი მატიანეა.

— როდესაც სოფლიდან ჩამომიყვანეს, აქ მთელ დეპოში მხოლოდ 9 ორთქლმავალი იყო, — ამბობს წეროძე, — ახლა ორთქლმავლები ასობითაა, თანაც როგორი ორთქლმავლები... ჩვენი, საბჭოთა, მძლავრები და სწრაფები. კვეხნით არ ვიტყვი, მაგრამ ჩვენს დეპოში იშვიათად თუ შეხვდებით ისეთ ორთქლმავალს, რომელსაც ჩემი ხელი არ შეხებია...

არც ერთი რემონტი, არც ერთი, თუნდაც სულ უბრალო შეკეთება აქ არა ხდება ხარატი წეროძის მონაწილეობის გარეშე.

სამსონ წეროძე ყველაზე უფრო დახელოვნებულია ვესტინჰაუზის მუხრუჭისა და ინჟექტორების ნაწილების გამოჩარხვაში. ვის შეუძლიან მასზე სწრაფად და ზუსტად დაზიანებული ნაწილის შეკეთება?..

თავისი მაღალი ოსტატობით სამსონ წეროძემ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი დიდი სამამულო ომის წლებში.

ცნობილია, რომ ვესტინჰაუზის მუხრუჭის მილაკი ძალიან მალე ცვდება და გამოცვლას საჭიროებს. ომის დროს, მასალის ნაკლებობის გამო, ახალი მილაკების გამოჩარხვა გაძნელებული იყო. წეროძემ ნახა გამოსავალი. მან გამოიგონა თავისებური კონსტრუქციის პრესი, რომელიც ამორტიზებულ მილაკს მოსწურავდა და კვლავ განაახლებდა. ამით წეროძემ ჩვენს რკინიგზას მასალის დიდი ეკონომია მისცა.

უფრო მეტად კი წეროძემ თავი ისახელა გაცვეთილი ნაწილების (გამომწოვი ღერძების) შეკეთების საქმეში. მან გამოიგონა ამორტიზებული ღერძების აღდგენის მეტად ორიგინალური მეთოდი. წინათ ოდნავ გაცვეთილ ღერძს გადააგდებდნენ ხოლმე და ახლით სცვლიდნენ. წეროძემ ასეთ ღერძებს გაუგრძელა სიცოცხლე. მან შემოიღო ლითონის მხოლოდ დაზიანებულ ადგილებზე დადუღება, რის შემდეგაც ღერძი კიდევ დიდხანს წევდა თავის სამსახურს.

ხარატ წეროძის ამ მეთოდს დღესაც ფართოდ იყენებენ რკინიგზაზე და არა მარტო თბილისის დეპოში...

ბუნებრივია, რომ მრავალი ათეული წლის განმავლობაში სამსონ წეროძემ ბევრი მოწაფე გამოზარდა. ზოგიერთი მათგანი ამიერკავკასიის რკინიგზაზე ცნობილი ადამიანი გახდა. ვინ არ იცნობს, მაგალითად, მოწინავე მემანქანეს ვასო გოზალიშვილს, ან ნიჭიერ ინჟინერს მიხეილ ნემენჩუკს, ანდა ამავე სახელოსნოში მომუშავე სახელოვან ხარატს არჩილ გეჯაძეს? ყველა ესენი სამსონ წეროძის მოწაფეები არიან.

ახალგაზრდების სწავლება, ცოდნის, ოსტატობის და მდიდარი გამოცდილების გადაცემა — წეროძის მოთხოვნილებად გადაიქცა.

საინტერესოა, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში წეროძემ გამოიწვია მასსავით უძველესი დეპოელი მირონ სიმონის ძე ლიტვინოვი, რომელსაც ვალდებულებათა მთავარ მუხლად გამოცდილების ფართოდ გადაცემა დაუსახა.

ორივე მოხუცი პირნათლად ასრულებს ამ მუხლს. მრავალწლიანი ურყევი მეგობრობა ახასიათებს ამ ორ ადამიანს.

საპატიო რკინიგზელი მირონ ლიტვინოვი ამ დეპოში 1904 წლიდან მუშაობს. ორმოცდაათი წლის განმავლობაში ყოველდღე დილის 8 საათზე ერთსა და იმავე ადგილზე ხვდებიან ერთმანეთს ძველი მეგობრები:

— გამარჯობა სამსონ! — ამბობს ლიტვინოვი.

— გაგიმარჯოს, მირონ! — უპასუხებს წეროძე. ასე ყოველდღე 5 საათზე, მუშაობის დამთავრებისას, იმავე ადგილზე გაისმის:

— ნახვამდის სამსონ!

— ნახვამდის, ჩემო მირონ!

ტკბილი, ლამაზი სიბერე აქვთ ორივეს.

ლიტვინოვი პირველი კლასის მემანქანე ინსტრუქტორია. ასაკი დიდი ხანია აძლევს დასვენების უფლებას, მაგრამ იგი სამსახურს არ ტოვებს. ბევრი მრავალწლის სტაჟიანი, გამოცდილი მემანქანე მოდის მასთან კონსულტაციის მისაღებად.

— გახსოვდეთ, რომ საბჭოთა მემანქანე მსოფლიოში ყველაზე უკეთესი უნდა იყოს, — ყოველთვის დასძენს ხოლმე ლიტვინოვი კონსულტაციის შემდეგ.

საბჭოთა ტრანსპორტის ზუსტი მუშაობისათვის არ ზოგავს თავის შრომასა და ცოდნას თბილისის საორთქლმავლო დეპოს ვეტერანი სამსონ წეროძე.

გეგმის შესრულების მაჩვენებლების დაფაზე სახელოვანი ხარატის გვარის გასწვრივ ყოველთვის 180-200 პროცენტია აღნიშნული. მოდი, და ამის შემდეგ მას მოხუცი უწოდე!

ი. ფანიანელი

ამ ადგილზე ორმოცდაათი წლის განმავლობაში ყოველდღე ხვდებიან ერთმანეთს ძველი მეგობრები.



ფოტო ნ. ნაგორნისა

ივანე თარბა

# პოემა უსათაუროდ

როცა ავიდგი ფეხი პატარამ,
დედას იმედით გული აევსო;
ჯერ თურმე სავსე მთვარეს მადარა,
შემდეგ მიწოდა მზე, საალერსოდ.
მაგრამ დღედაღამ ვინაც მლოცავდა,
ვისმა მზრუნველმა ხელმაც მარწია,
იგი სიკვდილმა ადრე მომტაცა,
უდედოდ დავრჩი ბავშვი პაწია.
იმ დღიდან გული ჩუმად კვნესოდა,
წამლად სჭიროდა ზრუნვა დედური,
ხალხში ჩურჩული ხშირად მესმოდა
— ობლად იზრდება ეს უბედური.
მათი ჩურჩული, ობოლს ყოველთვის
ჩამაფიქრებდა სევდა-ვარამზე.
წლები წავიდნენ... და გამოვედი
მოსწავლის ჩანთით ნათელ შარაზე.
პატარა გული იმ ნათელ დღიდან
აავსო სითბომ, აავსო შუქმა,
მშობელ დედაზე ვარამის ზიდვა
მოსწავლის ჩანთამ შემიმსუბუქა.
და სკოლამ ობლის სვე ამაცილა,
ჩვენ გვზრდიდნენ, როგორც
ნერგებს მებაღე.
ოთხი წლის შემდეგ, მახსოვს,
ყმაწვილმა,
რომ ინტერნატის კარი შევაღე.
ის ინტერნატი წინ მიდგას დღესაც,
ის ზღვისპირეთი გარკვევით მახსოვს,
ზღვის ტალღა შლიდა ნაფეხურს
ჩემსას,
როგორც დაფაზე დაწერილ ასოს.
რა დამავიწყებს იმ ნორჩ არწივებს
ვისთანაც ჭერი მქონდა ზიარად,
მყოფადის შუქი გავინაწილეთ,
ვიძენდით ცოდნას, როგორც იარაღს.
რა დამავიწყებს ინტერნატს, სადაც
სამშობლომ, როგორც დედამ, მახარა,
და მეგობრობის ნერგმა დიადმა
სადაც პირველი ყლორტი აჰყარა.
მართლაც თვალები მან აგვიხილა,
მან აგვაყვავა, როგორც მაისმა,
ჩვენ ინტერნატმა — დედამ კეთილმა,.
ინსტიტუტისკენ გზები გაგვიხსნა...
თვისი ცხოვრებით უკმაყოფილო,
ახლა ჩვენ შორის ვინმე თუ კია,
თავს დააბრალოს ჩემო ძმობილო,
ჩვენთვის ხომ ზრუნვა არ დაუკლიათ.

* * *

იმ მეგობრებზე მღელვარე ფიქრებს
გულით ვატარებ მარად და მარად.
ყველას ხომ წერილს ვერ მივწერ,
იქნებ
ზოგიერთს შავი სამარე ფარავს.
ერთურთს დავშორდით და მაინც
ყველა
ერთმანეთს ურყევ მეგობრად
ვთვლიდით,
შეგვაერთებდა წერილი ხელად,
როგორც ორ ნაპირს აერთებს ხიდი.
ზოგისგან წერილს ამაოდ ველი...
და აიშლება ფიქრები მწველი:
ვინაც ბერლინთან ეკვეთა ვერაგს
და რაიხსტაგზე ვინც მიაწერა
მგზნებარე სიტყვა საკუთარ სისხლით,
როგორ ვიწამო სიკვდილი მისი?!
ვერ დაუბრუნდნენ მშობლიურ
კერას...
და მაინც მათი სიცოცხლე მჯერა.
აი ოთახში მისი სურათი:
ვინაც ძმა იყო და ამხანაგი,
ჩემი სიცოცხლის დასასრულამდე
რამ დამავიწყოს მისი ამაგი!
იგი მიღიმის კვლავ ცოცხალივით,
თვალები ასე რამ გაუნათა?!
ისე ერთი დღეც აღარ გაივლის,
რომ არ ჩავფიქრდე მე ამ სურათთან.
მისებრ უბადლოს, მისებრ გამბედავს,
ჩვენგან წასულად როდი ჩათვლიან.
მკერდზე შეხედეთ: შარავანდედად
ოქროს ვარსკვლავის შუქი ანთია.
თითქოს იგონებს ცეცხლს და
შეტევას,
თითქოს ჩარჩოდან მყოფადს
გასცქერის,
მაგრამ ჩარჩოში სად ჩაეტევა
მისი სიცოცხლე — შმაგი ჩანჩქერი.
მგონია, იგი ერთი წამი და
ჩარჩოდან დაბლა ჩამოვა მართლა,
მეტყვის: — რამდენი წელი წავიდა
რაც საუბარი არ გაგვიმართავს!
კვლავ ცოცხალია, ჩვენი ლვიძლია,
ჩვენთან დარჩება სუსხშიც, დარშიაც,
აი ამიტომ არ შემიძლია
სურათს მოვავლო შავი არშია.
გარდაცვალება ვინ თქვა მამაცთა,
კვლავ ცოცხალივით ყველას
ვიხსენებთ:
გმირის სიკვდილი ვისაც არ აცდა,
საძმო საფლავში ვინაც ისვენებს.
დედებს ხსენება იმ მებრძოლების
ახლაც ცრემლებით თვალებს
უსველებს.
თასს რომ ავილებთ, ვიტყვით
ტოლები:
— მარადი ხსოვნა შინმოუსვლელებს.
ვამბობ, სიმდიდრე ძმობაზე დიდი,
არ გააჩნია ამ ჩვენს პლანეტას.
ჩვენი ცხოვრება მარად წინ მიდის —
მას მეგობრობა აქვს ფუნდამენტად.
უმეგობრებოდ რა არის კაცი?
— ხე უდაბნოში ეულად მდგარი,
რომელსაც გვალვა გაახმობს მკაცრი
ანდა დალეწავს უდაბნოს ქარი.
ვინც ძმაბიჭობა არჩია ძმობას,
ვინც თბილ ადგილას ამოეფარა,
ის ეულ ხეს ჰგავს და დაემხობა
თუკი ოდნავად დაჰბერა ქარმა.
— მყავს მეგობრები, — ვამბობ
ამაყად, —
მე უთვალავი ძმა მეგულება,
რაც დრო გავიდა, უფრო ამაღლდა,
მათი სიმტკიცე და ერთგულება.
ინჟინერია ერთი მათგანი —
დღეს ურალელი მეტალურგია.
ერთმა მთებიდან დასძრა მადანი —
გოლიათ ტყვარჩელს ბჭე შეუნგრია.
ერთი მათგანი მუდამ მთაშია,
დადის ჯიხვების ნაბილიკარით,
სადაც ბინდისას კარავს გაშლიან,
მისი სახლ-კარი სწორედ იქ არის.
გეოლოგია, დაჰყავს ლაშქარი,
ერთი ფიქრი აქვს ზამთარ-ზაფხული;
განძი მონახოს, დღემდე რაც არის
მთების სიღრმეში გადანახული.
ერთიც ქირურგი არის რჩეული,
შორს გავარდნილა მისი სახელი,
იგი სიკვდილთან ომს შეჩვეული,
მართლაც სიცოცხლის არის
დამხსნელი.
ერთიც აღმზრდელი არის ნამდვილი,
დადის ბილიკით თოვლშიც, ქარშიაც,
როდი არჩია შარა ადვილი,
ბილიკს ასფალტი როდი არჩია.
მთაში პატარებს ანბანს ასწავლის —
არის ლამპარი სხივთა გამშლელი,
უყვარს პატარებს ის მამასავით.
მას შვილებივით უყვარს ბავშვები.
ბევრი მათგანი სოფლის ბურჯია,
გატაცებული ახლის ძიებით,
ზღვისებრ ვრცელია,
ზღვისებრ ლურჯია,
მათი მოვლილი პლანტაციები.
ერთი, განთქმული არის მებაღე,
ერთი თამბაქოს ნერგებს დაჰხარის,
იდუმალების კარი შეაღეს,
შექმნეს ჯიშები ახალთახალი.
ერთიც ქარ-ყინვას გადაელობა —
შექმნა ციტრუსი ყინვის ამტანი...
მართლაც ერთი დღე აღარ მეყოფა,
რომ ჩამოვთვალო ყველა მათგანი.
როცა პარტიამ — ხალხის სარდალმა,
ყამირებისკენ ჩვენ მოგვიწოდა,
ადგნენ გვარდიულ რაზმთა სადარად,
გმირმა ყოყმანი როდის იცოდა.
და აფხაზეთი დატოვეს გუშინ —
მართლაც ზღაპრული გადასახედი.
ვიცი, მათ ასჯერ დალოცავს გულში,
მიწა ციმბირის და ყაზახეთის.
ჩვენში გმირები რა ურიცხვია!
გმირთა დედაა დედა ყოველი,
მათ მეგობრობის ფასი იციან,
მათგან სიახლეს მუდამ მოველით.
მიყვარს, ვაფასებ ყველა მეგობარს
დიდი მომავლის ერთგულ მსახურებს,
მე წელიწადიც აღარ მეყოფა,
თუ ყველა მათგანს მოვინახულებ.
მაგრამ უთვალავ ტოლს და ამხანაგს
გამორევია ზოგიც ულირსი,
თითქოს ისინი ქაფი გამხდარან
ჩვენი ცხოვრების ნამდვილ დუღილში.
ჩვენზე გახწიეს ამაგი დიდი;
გვზრდიდნენ, გვატარეს ნათელ
შარაგზით,
დღეს, ზოგიერთი მრუდე გზით მიდის,
არ დააფასა ქვეყნის ამაგი.
აგრონომია ერთი მათგანი
და პროფესიას ზურგი აქცია,
დარჩა ქალაქში, თითქოს აქ არის
მისთვის ბაღნარი და პლანტაცია.
ხიბლავს ქალაქის მზე და ფერები,
სოფელს მშობლიურს არ ეკარება.
საწყობს განაგებს, „ბედნიერების“
შუქი აჩვენა მისმა კარებმა.
ამბობს „ტალახით რად გავისვარო,
სოფლად რა დარი დამადგებოდა?
მერქვა ვაჟკაცი, ისევ ის ვარო,
თუმც მაქვსო მცირე თანამდებობა“.
მყუდრო ადგილი, ვით საბუდარი,
გამონახა და რა აქვს სადარდო
მეურნეობაც აქვს საკუთარი,
როგორც იტყვიან: ლაღად ნავარდობს.

* * *

მეორე უფრო განზე გამდგარა,
ის აგარაკში მებუფეტეა,
თვლის სასადილოს თავის
სახლ-კარად,
სავსე ყანწებთან უყვარს შეტევა.
მუდამ ღვინისგან გაწითლებული,
ნაცნობს რომ ნახავს იბნევა ოდნავ:
— დახეთ, სადა ვარ დღეს
მიგდებული!
ალბათ ასეთი იღბალი მქონდა.
მე მის თვალებში სიყალბეს ვხედავ,
სირცხვილის ნაცვლად აწითლებს
ღვინო,
ის განზრახ ჩივის, თორემ აქედან
ვერ შეძლებ ფეხი მოაცვლევინო.
ჩვენ ინსტიტუტში ერთად ვიყავით,
ჩვენ ინსტიტუტმა გზა დაგვილოცა...
მან დაიძვრინა საქმისგან თავი
და დაიკავა საქმე ღვინოსთან.
ლუდს გამოგიწვდის,
ქაფს სანახევროდ,
მართლაც უქაფოდ რა ეშველება?
თუმცა არ ამბობს „სარფა ვნახეო“,
ხომ წამოჭიმა სახლი ვეება!
უყვარს სხვის ხარჯზე
ლხინის გამართვა,
ღვინოს, ვით კოლო, არ მოსცილდება.
თუ აირჩევენ სადმე თამადად,
ეს მიაჩნია სახელ-დიდებად.

* * *

მესამე მხოლოდ მლიქვნელს აფასებს,
ყმად მიაჩნია ხელქვეითები,
თუ არ შეაქე დღეში ათასჯერ,
საქმის მოყვარედ არ ჩაითვლები.
როცა მის სახლში ძღვენით მოდიან,
თავისთავს განზრახ უწყებს
მტკიცებას:
— ეს ყოველივე ქრთამი როდია,
ეს არის მხოლოდ პატივისცემა.
„ცხოვრებას მეტი მოსტაცო უნდა,
თორემ ყველაფერს აქვს დრო და
რიგი,
საკუთარ თავზე იზრუნე მუდამ!“
— ასე კარნახობს თავისთავს იგი.

* * *

„მოიცათ, — აი ერთის რეცეპტი, —
სიჩქარე საქმეს ავნებს ბიძია, .
მოიცათ, სანამ გვეტყოდეს ცენტრი,
იქ ცენტრში ჩვენზე მეტი იციან.
თორემ შევცდებით, საქმე წახდება,
გვეტყვიან:—ოფლი ფუჭად გიღვრიათ.
მას ნუ დავიწყებთ, რის შესახებაც,
ჯერ მითითება არ მიგვიღია“.
მისთვის დრო ასე ზანტად წავიდა,
რადგან საქმისთვის არ ხარჯავს ძალას,
იგი ბევრ რამეს შეისწავლიდა;
ცოტა, რომ ბევრად არ ჩაეთვალა.
კარგად აცვია, კარგად ახურავს,
არ ეკარება დარდი რამ გულზე,
ვრცელ კაბინეტში ზის ამაყურად
და ყველა საქმეს ფანჯრიდან
უმზერს.
დღემდე არ სჯიან მას არაფერზე,
სხვა მის ადგილზე თავს წააგებდა.
ვიღაც შეფი ყავს და ეს აქეზებს,
ფრთა დააფარეს ამხანაგებმა.
სახლში ტირანი არის ნამდვილი,
ცოლი აიკლო მისმა მუქარამ,
ცხარობს, ღრიალებს, როგორც
ნადირი,
ძალას ამაში ხარჯავს უქნარა.
მისი ფეხის ხმა ოჯახს აშინებს,
რისხვაა მისი შინ დაბრუნება,
ბავშვები თამაშს წყვეტენ მაშინვე,
ყველა ერთბაშად გაიტრუნება.
მართლაც ღიმილი გადაავიწყდა,
რაც წარბი შეჰკრა დიდი ხანია,
ხანს არ უწოდებს ოჯი-თავისთავს,
მაგრამ ოჯახში ჩინგისხანაა.
შინ თუ მკაცრია მისი იერი,
მოუწყებელი რაღაც სიავის,
სახეს ერთბაშად იცვლის ცბიერი;
კაბინეტშია ალერსიანი.
სულ თავს იკავებს—შევცდეო იქნებ,
ცბიერია და თანაც მშიშარა.
უფროსთა აზრებს ჯეროვნად იგებს
და არაფერზე არ იტყვის „არას“.
უფროსებს აქებს, რადგანაც მათგან
მოელის პატივს და შეწყალებას.
ის რაიონში რა გზით ამაღლდა,
ვერ ამჩნევს, ვისაც ეს ევალება.
მას მხოლოდ „დიდი კაცისთვის“
ცხელა,
„პატარა კაცთან“ რა ესაქმება.
ლექსივით იცის სიტყვები ყველა,
რაც საჭიროა პირში საქებრად.
პირში შეგასხამს ქება-დიდებას,
მაგრამ პირს უკან
მოგსვრის ტალახით.
თუ გიცნობს, მაინც დაგაკვირდება,
თითქოს პირველად ჰყავდე ნანახი.
ყველას უღიმის, და ფერადფერად
სიტყვებს სთავაზობს,
თვალის ამხვევი.
ამით ახერხებს ეს გაიძვერა,
ერქვას კეთილი კაცის სახელი.
ფანდებს იგონებს, სხვას რას
დაგიდევს
ფანდი მოქნილი თუ გამოვიდა;
ჯერ, ამხანაგებს ერთურთს
წაჰკიდებს,
შემდეგ, მათს ჭიდილს უმზერს
შორიდან.

* * *

ერთმა სიტყვებით გაიგნო ფონი,
სიტყვებზე ხარჯავს დროსა და უნარს,
სულ ლაპარაკობს იმგვარი ტონით,
თითქოს მის მხრებზე
სამყარო ბრუნავს.
ბევრს მიაჩნია შექების ღირსად,
როცა ისმენენ მის ლამაზ ფრაზებს.
„მან უზრუნველჰყო ზრდა
მოსავლისა“
„იზრუნა მთისკენ გზის გაყვანაზე“.
ის ხელმძღვანელობს რაიონს
დიდს და
თვლის წარმატებებს თავის ამაგად.
რომელ მუშაკსაც გადაეკიდა,
რისხვად დაატყდა, გააჩანაგა.
როცა მდინარის კალაპოტს ცვლიან,
როცა ურწყავზე არხები გაჰყავთ,
ის ამბობს: — შეხეთ რა შემიძლია!
რა გავაკეთე, მოდით და ნახავთ!
შფოთავს, უსაქმოდ თითქოს
ვერ იცდის,
საკუთარ ბილეთს იფიცებს ხშირად,
მაგრამ საკუთარ კარიერისთვის,
წარბს არ შეიხრის, ისე გაგწირავს.
არის მრისხანე და ბრაზიანი
მას მეგობრები აღარც კი ახსოვს.
მის შეგნებაში ადამიანი
თანამდებობის მიხედვით ფასობს.
არის თქმულება: „უიღბლო ბავშვი
თურმე აკვანში არ ჩაეტევა“...
არც ის ეტევა დღეს რაიონში,
კარიერისთვის იწყო შეტევა.
უმცროსებს ყველას ზურგი აქცია,
მაგრამ ამ ხერხით შორს ველარ წავა.
ვინც „მეს“ ამგვარად გაუტაცნია,
ის გარიყული დარჩება თავად.

* * *

ჩვენი ჭაღარა ლექტორი მახსოვს,
თაროზე გვეწყო წიგნები მისი,
როგორ იქნება არ დავაფასო
აღმზრდელი, მართლაც
მადლობის ღირსი.
მან მოგვცა ცოდნა ზუსტი და მყარი
და ჩვენს წინსვლაში დაიდო წილი.
თუმცა განთქმული აღმზრდელი არის,
ვერ აღუზრდია თავისი შვილი.
შვილი, თავნება, დაუდევარი,
შუაღამემდე შინ არ ბრუნდება.

# დრეზდენის შედევრები

ვახტანგ ბერიძე

მიმდინარე წლის მაის-აგვისტოს თვეებში მოსკოვს, პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმის დარბაზებში მოწყობილი იყო დრეზდენის გალერეის სურათების გამოფენა. გამოფენამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია: იგი ინახულა მრავალმა ათასმა ადამიანმა, არა მარტო მოსკოველებმა, არამედ საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან საგანგებოდ ჩასულებმაც. ამგვარი ინტერესი სავსებით გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ დრეზდენის გალერეაში თავმოყრილია მსოფლიო მნიშვნელობის შედევრები, რომელთაც მთელი დედამიწის ზურგზე ყველანი კარგად იცნობენ ურიცხვი რეპროდუქციით, შედევრები, რომელთა შესახებაც ყველას ბევრი რამ წაუკითხავს და სმენია. საკმარისია გავიხსენოთ რაფაელის „სიქსტეს მადონა“ — იტალიური რენესანსის ყველაზე პოპულარული სურათი ლეონარდოს „ჯოკონდასთან“ ერთად, ჯორჯონეს — „მძინარე ვენერა“, ტიციანის „კეისრის დინარი“, რემბრანდტის „ავტოპორტრეტი სასკიასთან ერთად“, ჰოლბაინის „მორეტის პორტრეტი“ და მრავალი სხვ.

დრეზდენის გალერეა რამდენიმე საუკუნის მანძილზე იქმნებოდა. იგი ჩაისახა XVI საუკუნეში, როცა საქსონიის კურფიურსტებმა თავის სასახლეში „კუნსტკამერა“ (სხვადასხვა იშვიათ საგანთა გამოფენა) გამართეს. მაგრამ გალერეის სწრაფი ზრდა დაიწყო XVIII საუკუნიდან, კურფიურსტის ავგუსტ II დროს. 1722 წ. ჩატარდა კოლექციის პირველი ინვენტარიზაცია და სურათები მოთავსდა საგანგებო შენობაში. კურფიურსტის ავგუსტ III დროს შეძენილ იქნა ჯერ ვალენშტეინის დიდი კოლექცია, შემდეგ კი მოდენის ჰერცოგის ფრანჩესკო III დ'ესტეს სახელგანთქმული კოლექციის ნაწილი, რომელიც, სხვათა შორის, შეიცავდა ტიციანის, კორეჯოს, ვერონეზეს, ჰოლბაინისა და ველასკესის სურათებს. 1753 წელს გალერეას შეემატა რაფაელის „სიქსტეს მადონა“, რომელიც შეძენილ იქნა 20000 დუკატად პიაჩენცის სან-სისტოს ეკლესიისაგან. 1744-1747 წლებში მუზეუმის ძველი შენობა გადაკეთდა და გაფართოვდა, 1855 წელს კი გალერეა გადატანილ იქნა ახალ შენობაში, რომელიც ცნობილმა ხუროთმოძღვარმა გოტფრიდ ზემპერმა ააგო. ეს შენობა შედიოდა შესანიშნავ ხუროთმოძღვრულ ანსამბლში, რომელსაც „ცვინჯერი“ ეწოდება.

XIX საუკუნეში, ხელოვნებათმეცნიერებისა და სამუზეუმო საქმის განვითარებასთან ერთად, დრეზდენის გალერეაშიაც შეუდგნენ კოლექციების მოწესრიგებასა და მეცნიერულ სისტემატიზაციას. ყურადღება მიექცა ცალკეული სკოლების შევსებას ისე, რომ ყოველი მათგანის განვითარება ასე თუ ისე სრულად ყოფილიყო წარმოდგენილი. XIX საუკუნის შუა წლებშივე ჩაეყარა საფუძველი თანამედროვე მხატვრობის განყოფილებას, რომელიც 1931 წლიდან ცალკე შენობაში მოთავსდა, დაიწყო გალერეის ფონდების დაწვრილებითი მეცნიერული აღწერა. 1887 წ. გამოქვეყნდა გალერეის პირველი მეცნიერული კატალოგი, შედგენილი გალერეის დირექტორის, „ხელოვნების ისტორიის“ ცნობილ კურსის ავტორის, კარლ ვერმანის მიერ.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში დრეზდენის გალერეის სურათების რიცხვმა უკვე ორ ათასს გადააჭარბა. გალერეა მსოფლიოს პირველ მუზეუმთა რიგში ჩადგა. „ცვინგერის“ ანსამბლი სხვა მდიდარ მუზეუმებსაც შეიცავდა, აქვე იყო დიდი პარკი მრავალრიცხოვანი სკულპტურებითა და შადრევნებით, საოპერო თეატრი და სხვ. დრეზდენს მისი შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლებისა და მხატვრულ სიმდიდრეთა გამო — უწოდებდნენ „ფლორენციას ელბაზე“.

1945 წლის 13-14 თებერვლის ღამეს ინგლის-ამერიკის ავიაციამ დაუზოგავად დაბომბა დრეზდენი, რომელსაც არავითარი სამხედრო მნიშვნელობა არ ჰქონდა. ერთი საათის განმავლობაში ულამაზესი ქალაქი ნანგრევებად იქცა. დაინგრა „ცვინგერიც“. დაიღუპა ხელოვნების მრავალი შესანიშნავი ძეგლი (სხვათა შორის XIX საუკუნის რეალისტური მხატვრობის ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებთაგანი, — კურბეს სურათი „ქვისმტვრეველნი“).

ჩვენს პრესაში გამოქვეყნებული იყო დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გადაარჩინა საბჭოთა არმიამ დრეზდენის გალერეის სურათები, რომლებიც უთავბოლოდ და უპატრონოდ იყო გადამალული. საბჭოთა სპეციალისტებმა გაწმინდეს, შეამაგრეს და აღადგინეს გალერეის მრავალი შესანიშნავი ექსპონატი, რომელთაც უამისოდ დაღუპვა არ ასცდებოდათ.

პუშკინის სახელობის მუზეუმში მოწყობილი გამოფენა შეიცავდა ხუთასზე მეტ ნაწარმოებს. XIX ს-ის მხატვრობას აქ სულ მცირე ადგილი ეჭირა (მენცელის სამი სურათი, მენიეს პასტელი „ლითონის ჩამომსხმელი“, დიაზ დე-ლა პენიას ერთი პატარა ეტიუდი, თითო სურათი ვან-გოგისა და გოგენისა, რამდენიმე იმპრესიონისტი), სხვა სულ XV-XVIII სს-თა სურათები იყო. თუმცა რაოდენობის მხრივ ეს დრეზდენის მთელი კოლექციის მეოთხედსაც არ შეადგენს, მაგრამ ხარისხის მხრივ — აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ექსპონატები იყო.

დრეზდენის ფონდებში ყველა სკოლა თანაბარი სისრულით არ არის წარმოდგენილი. განსაკუთრებით სრულადაა ნაჩვენები ჰოლანდიური და ფლანდრიული მხატვრობა და აგრეთვე იტალიური — XVI-XVII საუკუნეებისა. მაგრამ გერმანიის, ესპანეთისა და საფრანგეთის განყოფილებებშიაც ბევრია პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ნაწარმოები. ეს განყოფილებები საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ევროპის რეალისტური მხატვრობის განვითარების საფეხურებს, გავიცნოთ ამ განვითარების სხვადასხვა მხარე რენესანსის ეპოქასა და მის მომდევნო საუკუნეებში.

იტალიური მხატვრობის ყველაზე ადრინდელი ნიმუშები, გამოფენილი დრეზდენის გალერეაში — XV საუკუნისაა. XV საუკუნე, რომელსაც ჩვეულებრივ „კვატროჩენტოს“ უწოდებენ, რენესანსის პირველი ჩამოყალიბებული საფეხურია. ეს საუკუნე — დაუცხრომელი შემოქმედებითი ძიების ხანა იყო, ხანა, როდესაც ახალი ხელოვნება, მეცნიერებასთან მჭიდრო კავშირში, ეძებდა და პოულობდა ობიექტური სამყაროს რეალისტურად გადმოცემის ახალ მხატვრულ ხერხებს. კვატროჩენტო — რთული შინაგანი წინააღმდეგობით სავსე გარდამავალი ხანაა. იტალიის სხვადასხვა ცენტრებში ხელოვნების განვითარება განსხვავებული გზებითა და სისწრაფით მიმდინარეობდა. მიუხედავად ძირითადი მიზანდასახულობის ერთიანობისა, ცალკეული სკოლები ამ დროს მკაფიო ინდივიდუალობას ინარჩუნებს. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო (მართალია, თითო-ოროლა ნაწარმოებით) რამდენიმე სკოლა: ვენეციისა (ანტონელო და მესინას „წმ. სებასტიანე“, ჩიმა და კონელიანოს „ტაძრად მიყვანება“, რომელშიაც სახარების სიუჟეტი ცოცხლად გადმოცემული ჟანრული სცენის სახითაა წარმოდგენილი, და სხვ.), უმბრიისა (ბერნარდინო პინტურიკიოს მშვენიერი „ბიჭის პორტრეტი“), ფერარისა (ფრანჩესკო კოსას ცნობილი „ხარება“, კოზიმო ტურას „წმ. სებასტიანე“, ერკოლე დეი რობერტის სურათები და სხვ.). გამოჩენილი მხატვრის სანდრო ბოტიჩელის სურათები („ოთხი სცენა წმ. ზინობის ცხოვრებიდან“ და „მადონა“) კვატროჩენტოს მიწურულის ფლორენციული ხელოვნების დამახასიათებელი ნიმუშებია. ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს „წმ. ზინობის ცხოვრების სცენები“, რომლებიც ხაზგასმული ტრაგიკული ექსპრესითაა გამსჭვალული. დაძაბული დინამიკა, რთული კაპრიზული ხაზოვანი რიტმი, კაშკაშა წითელი ფერის უჩვეულო ელვარება (სურათი ტემპერითაა შესრულებული) განუმეორებელ თავისებურებას ანიჭებს ამ ნაწარმოებს, რომელშიაც ჯერ კიდევ უეჭველად საგრძნობია შუა საუკუნეთა გამოძახილი. კვატროჩენტოს სურათთაგან გამოფენაზე მაინც ყველაზე საყურადღებო იყო დიდი პადუელი მხატვრის ანდრეა მანტენიას „წმ. ოჯახი, წმ. ელისაბედითა და პატარა იოანე ნათლისმცემლით“. ამ მხატვარ-მოაზროვნის ვაჟკაცური ხელოვნება, უეჭველია, ადრინდელი რენესანსის ერთი უმაღლეს მწვერვალთაგანია. დრეზდენის სურათი განსაკუთრებით იზიდავს მნახველს სახეთა მხატვრული გახსნის სიღრმით, კომპოზიციისა და კოლორიტული გადაწყვეტის ლაკონიური მეტყველებით, რაღაც განსაკუთრებული, სიტყვიერად ძნელად გადმოსაცემი, სულიერი სიფაქიზითა და სიმკაცრით, რაც სრულიად არ უშლის მხატვარს ხელს იშვიათი სინაზით გადმოგვცეს თვით მადონასა და ყრმის სახეები.

დრეზდენის გალერეის ყველაზე სახელმოხვეჭილი სურათი — რაფაელის „სიქსტეს მადონა“ — უპირველეს ყოვლისა, გაკვირვებს თავისი უბრალოებით. უბრალოა მისი კოლორიტი, მხატვრის წინაშე არც რაიმე საგანგებო ფერწერული ამოცანები ყოფილა დასახული. ფორმულასავით მარტივი და დახვეწილია კომპოზიცია: ყველაფერი — ფიგურების განლაგება, განსაკუთრებით პაპი სიქსტე, რომელიც გულწრფელი სიხარულით უცქერის ყრმას, ფარდები, სურათის ქვემო ჩარჩოზე ჩამოყრდნობილი ორი პატარა ფრთოსანი ანგელოზი — მაყურებლის ყუ-

---

ხელდაკრეფილი ცოლი და ქმარი
ზოგჯერ დილამდე ლოდინს უნდება.
ის რესტორნების სტუმარი არის,
აი, შინ წასვლა რად ავიწყდება.
გრუზა ქოჩორი მიუგავს პარიკს,
პიჯაკი თითქმის მუხლამდე სწვდება.
მამის ხელფასით უყვარს ნადიმი,
ძმაბიჭებია მისი მხლებელი.
მისი ვახშამი, მისი სადილი,
სახლში ცივდება ხელუხლებელი.
სხვა რამ სადარდო არ გააჩნია,
დღეებს ალამებს ყანწის ტრიალში,
შებინდდება და რესტორანშია,
გათენდება და... მილიციაში.
ახლა ცოლ-ქმარი ერთურთს აბრალებს
შვილი ჭაობში რომ იძირება —
დედ-მამას ადრე გააჭალარებს,
რადგან ორივე ანებივრებდა.

* * *

აი ამ ნაწერს, ხვალ რედაქტორმა
იქნებ შეხედოს ეჭვის თვალებით,
მკითხოს: — ხელმძღვანელ მუშაკთა შორის
სად შეგხვედრიათ ამისთანები?!
ბრძოლას დაიწყებ? რედაქტორებმა
მოგერიება კარგად იციან:
მოგთხოვენ შეცვლას, გადასწორებას,
ველარ შეარყევ მათს პოზიციას.
სიტყვას ძალა აქვს რედაქტორისას,
ის ამ მომენტში მოსამართლეა,
თუ ცუდად იცი ხერხი ბრძოლისა,
მისი სიტყვები ფეხქვეშ გაგთელავს.
თუ ის საკუთარს გაჰყვა არჩევანს,
თავს მოგვახვია დასკვნა ულირსი,
თვით მოსამართლედ როდი დარჩება,
გასამართლება მოგვიწევს მისი!
ზოგს კი ყოყმანი როდი აქვს წესად,
როდი დარაჯობს თანამდებობას,
„დაბეჭდეთ“ აწერს სადავო ლექსსაც
რადგან თავისთავს მტკიცედ ენდობა.
და კრიტიკოსი, რომელსაც წესად
არა აქვს ნაკლი ეძებოს მარტო,
მიესალმება ნაწერებს შენსას
და მეგობრობას გაგიწევს ავტორს.
სხვა კრიტიკოსი, გვირგვინს რომ ელტვის
და თითქმის ყველას ჭკუას ასწავლის,
ერთ ნაკლს გიპოვნის, შემდეგ იმ წერტილს
ურტყამს და ურტყამს კოდალასავით.
ის კრიტიკოსი ჩემმა ნაწერმა,
ვეჭვობ აავსოს კმაყოფილებით,
რითმებს შეხედავს ერთს ალმაცერად,
შემდეგ დამიწყებს დაღრღნას კბილებით.
იტყვის: „ჟანრი ხომ გადამწყვეტია,
და აქ ესაა ჯერ მისაგნები,
რა ჟანრს ეკუთვნის? ლექსზე მეტია
და პოემაზე ცოტა ნაკლები.
„თუმც სათაურში პოემა ჰქვია,
პოემის ხაზიც ახლავს მცირედი,
მაგრამ მის ავტორს სად შეხვედრია
მუშაკთა შორის ამნაირები?
და კრიტიკოსმა (მათი კვიმატი
ენის ამბავი მოგეხსენებათ)
იქნებ დამწამოს ნამდვილი ფაქტის
გაყალბებული სახით ჩვენება.
ასეთ კრიტიკოსს ერთი წესი აქვს,
ზომიერებას მუდამ ღალატობს,
ერთს რომ არ აკლებს სიტყვებს გესლიანს,
აქებს მეორეს, სულ მის თანატოლს.
პაექრობს, იცის მან საამისოდ
თეორიები, ვით გაკვეთილი,
მაგრამ ცხოვრებას სულაც არ იცნობს,
არის ნაჭუჭში გამოკეტილი.
და იმეორებს ამ ერთ სიმართლეს;
„მწერალს სჭირდება გრძნობა ახლისა,
მწერალს ცხოვრების შესწავლა მართებს,
და მას ისწავლის მხოლოდ ხალხისგან!“.
ეს ყოველივე მასაც სჭირდება,
რომ ნახოს მწერლის ნაკლიც, ღირსებაც,
მაგრამ კაბინეტს არც კი სცილდება,
თითქოს ყველაფერს ხედავს ისედაც.
მე არ დავმალავ ნაკლს არასოდეს,
როგორც აქამდე არ დამიმალავს.
შენც, კრიტიკოსო, ერთი გახსოვდეს;
გამოცვლა უნდა ჟანგიან კალამს.
ნაკლს როცა ვხედავთ, ტკივილს განვიცდით,
წამსვე მღელვარე გვიპყრობს ფიქრები.
ქვეყნად ვინც ცხოვრობს მხოლოდ თავისთვის,
ვაქოთ? მართალნი ხომ არ ვიქნებით!
თუ ჭირი დიდხანს დარჩა ფარულად,
ძნელია კაცი იხსნას წამალმა
და ნურვინ ჩათვლის ძმურ სიყვარულად
კარგი მეგობრის ნაკლის დამალვას.
კაცს თუ კრიტიკა წამლად მიართვი,
(წამალი ტკბილი ხომ არ იქნება?)
იქნებ ეწყინოს, მაგრამ ძმად ჩაგთვლის,
ბოლოს, როდესაც ჩაუფიქრდება.
და მე მახვილით ვისაც მივმართე
მჯერა ის იტყვის ამ პოემაზე:
— ამ სტრიქონებში ვნახე სიმართლე
ვინ ჩაიხედა ჩემს გულში ასე?
ვამთავრებ წერას. ვინმე გავართო
არა მაქვს მიზნად. დე, მეკამათონ...
კრიტიკოსთაგან ნურავინ მიწყენს,
რომ მათი ნაკლიც არ დავივიწყე.
და კრიტიკოსებს ვუძღვნი ამ ბწკარებს.
ვინ იცის, მათთან მომიწევს დავა?
ნაწერის ყოველ ნაკლოვან მხარეს,
უნაკლოდ განსჯის მკითხველი თავად.

აფხაზურიდან თარგმნა
ᲨᲝᲗᲐ ᲐᲙᲝᲑᲘᲐᲛ

**რაფაელ სანტი.**
სიქსტეს მადონა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიელი მხატვარი რ ა ფ ა ე ლ  ს ა ნ ტ ი (1483-1520) რენესანსის ხელოვნების დიდი წარმომადგენელია. რაფაელისა და მის უფროს თანამედროვეთა — ლეონარდო და ვინჩის, მიქელ-ანჯელოს, ჯორჯონესა და ტიციანის—შემოქმედებაში ყველაზე უფრო სრული ხორცშესხმა ჰპოვა რენესანსის ე. წ. კლასიკური პერიოდის მაღალმა მხატვრულმა იდეალებმა. რაფაელის ხანმოკლე სიცოცხლე დაუღალავი შრომითაა აღსავსე, მან ურიცხვი ნაწარმოებები შექმნა: სურათები სალვთო წერილის თემებზე, პორტრეტები, „მადონების" მთელი სერია, რომელმაც მას განსაკუთრებული პოპულარობა მოუპოვა ფართო საზოგადოებაში. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც მისი ფრესკებია ვატიკანის სასახლესა და ე. წ. „ვილა ფარნეზინაში". ამოცანისადმი მიდგომის თვალსაზრისით, შინაარსის გადმოცემის საშუალებებით (კომპოზიცია, ნახატი, კოლორიტი, შუქ-ჩრდილი და სხვ.) ეს ფრესკები რენესანსის მონუმენტალური სტილის დასრულებულ ნიმუშებს წარმოადგენს.

რაფაელის შემოქმედება უმთავრესად რომთანაა დაკავშირებული. მაგრამ წარმოშობით იგი რომაელი არ ყოფილა. იგი დაიბადა შუა იტალიის ქალაქ ურბინოში, სწავლობდა უმბრიული სკოლის ცნობილ მხატვარ პიეტრო პერუჯინოსთან და მისი საგრძნობი გავლენაც განიცადა. 1504 წ. რაფაელმა მიაშურა ფლორენციას, რომელიც მთელი წინა საუკუნის მანძილზე სათავეში ედგა იტალიის ახალი, რეალისტური ხელოვნების განვითარებას. იმ ხანებში ფლორენციაში მუშაობდა აღორძინების ხანის ორი უდიდესი შემოქმედი — ლეონარდო და მიქელ-ანჯელო, რომელთაც ახალ, უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს იტალიის მხატვრობა. რაფაელმა ბევრი რამ ისწავლა მათგან სურათის კომპოზიციური აგების, ფორმის, მოძრაობის, სივრცის, ჰაერის გადმოცემის თვალსაზრისით. როცა 1508 წელს რაფაელი რომს გადავიდა პაპის იულიოს II-ის მოწვევით, იგი, მიუხედავად ახალგაზრდობისა, უკვე მომწიფებული ოსტატი იყო. 10-12 წლის მანძილზე მან შექმნა ვატიკანის „სტანცებისა" და „ლოჯიების" გრანდიოზული მოხატულობა, რომელმაც მას სამართლიანად მოუპოვა უდიდესი მონუმენტალისტის სახელი, შექმნა პაპების, არისტოკრატიისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა პორტრეტები და სახელგანთქმული „მადონები", რომელთა შორის ყველაზე პოპულარულია „სიქსტეს მადონა", შესრულებული 1515-1518 წლებს შორის. სურათი დაწერილია ზეთის საღებავებით, მისი ზომაა 2,65 მ.×1,96 მ. თავდაპირველად სურათი ინახებოდა ქ. პიაჩენცის სან-სისტოს მონასტერში, 1754 წ. კი შეძენილ იქნა დრეზდენის გალერეისათვის.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



**ჰანს ჰოლბაინ უმცროსი.**

შარლ დე სოლიე, სიერ დე მორეტის პორტრეტი.

ჰ ა ნ ს  ჰ ო ლ ბ ა ი ნ ი (1497-1543), რომელსაც მამისაგან განსასხვავებლად უმცროსს უწოდებდნენ, ალბრეჰტ დიურერთან ერთად გერმანული რენესანსის ხელოვნების უდიდესი წარმომადგენელია და ერთი ყველაზე დიდი პორტრეტისტთაგანი მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში. ჰოლბაინი დაიბადა ქ. აუგსბურგში — მდიდარ ქალაქში, რომელსაც გაცხოველებული ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა უცხო ქვეყნებთან, კერძოდ, იტალიასთან. სწავლობდა თავის მამასთან. 1515 წ. ჰოლბაინი გადასახლდა შვეიცარიაში, ქ. ბაზელს, რომელიც მის მეორე სამშობლოდ იქცა. ბაზელი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი იყო: აქ არსებობდა უნივერსიტეტი, დიდი საგამომცემლო კომბინატები, განვითარებული იყო პოლიგრაფიული წარმოება, მუშაობდნენ დახელოვნებული ოსტატები—მესტამბეები, გრავიორები, ილუსტრატორები. ქალაქში დემოკრატიული ტენდენციები და ჰუმანისტური ინტერესები მეფობდა. ჰოლბაინი უახლოვდება ქალაქის მმართველ ბურჟუაზიულ წრეებს, ინტელიგენციას, ეცნობა გამოჩენილ ჰუმანისტ ერაზმ როტერდამელს (ჰოლბაინმა დახატა ერაზმის რამდენიმე პორტრეტი და მისი სატირული ნაწარმოების „სისულელის ქების“ ილუსტრაციები). ახალგაზრდა ჰოლბაინი არაჩვეულებრივად ინტენსიურად მუშაობს: ასრულებს პორტრეტებს, რომლებშიაც უკვე ჩანს ჩამოყალიბებული ოსტატობა, რელიგიურ კომპოზიციებს (ცნობილი „მკვდარი ქრისტე“, „ბურგმაისტერ მაიერის მადონა“, რომელიც არსებითად, ჯგუფური პორტრეტია და სხვ.), ფრესკებით ამკობს შენობის ფასადს (ქ. ლიუცერნში) და დარბაზის კედლებს (ბაზელში), აკეთებს ესკიზებს ვიტრაჟებისათვის. დამახასიათებელია ფრესკების სიუჟეტები: თითქმის ყველა — ანტიკური ისტორიიდანაა და ყველას ერთი ძირითადი იდეა აკავშირებს: მოქალაქეობრივი ვალი, საზოგადოებისათვის თავგანწირვა (ჰოლბაინის ფრესკებს დღემდის არ მოუღწევია). დიდ ადგილს უთმობდა ჰოლბაინი გრაფიკასაც, მაგ., ნახატებს წიგნის სამკაულებისთვის. 1523-26 წლებში მან შეასრულა რამდენიმე გრაფიკული სერია — „ანბანები“, რომლებშიაც 24 ასოს გაფორმება საერთო სიუჟეტით იყო გაერთიანებული, და ცნობილი „სიკვდილის როკვა“, ანუ „სიკვდილის სახეები“ (58 გრავიურა 65×50 მმ. ზომისა, პირველად გამოიცა ლიონში 1538 წელს. ჰოლბაინი მხოლოდ ხატავდა, გრავიურას სხვები ჰკვეთდნენ). „სიკვდილის როკვა“ შუა საუკუნეებში გავრცელებული თემა იყო: იგი ჯერ კიდევ XIV ს-ში ჩაისახა, როგორც სარწმუნოებრივი დრამა, ხოლო XV ს-ში მხატვრობაშიც გაჩნდა. ჰოლბაინმა ახალი შინაარსით აავსო ეს ძველი თემა: მის ნახატებში თვალსაჩინოა გლეხთა დიდი ომების დროინდელი გერმანიის სოციალური ცხოვრების მოტივები.

ცხოვრების დიდი ნაწილი ჰოლბაინმა ინგლისში გაატარა: პირველად 1526-28 წლებში იყო იქ, მეორედ — 1532 წლიდან (ინგლისშივე გარდაიცვალა შავი ჭირისაგან). ინგლისს მაშინ საკუთარი სამხატვრო სკოლა არ გააჩნდა, ჰოლბაინს იქ იმ დროს ვერავინ ვერ გაუტოლდებოდა. ჰოლბაინმა ინგლისში პორტრეტების მთელი სერია შეასრულა. იგი ხატავდა ინგლისის ინტელიგენციის წარმომადგენლებს (თომას მორი და მისი ოჯახის წევრები), მეფე ჰენრი VIII-სა და მის კარისკაცებს, პოლიტიკურ მოღვაწეებს, ვაჭრებსა და სხვ. ეს იშვიათი მხატვრული და ისტორიული ღირებულების მქონე გალერეაა, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნებოდა XVI ს-ის პირველი ნახევრის ინგლისის ცხოვრების ცოცხლად წარმოდგენა. პორტრეტების ნაწილი საღებავებითაა შესრულებული, ბევრია ნახატიც (ფანქრით, ნახშირით, სანგინით). ყველა ეს პორტრეტი მხატვრის განსაცვიფრებელ ოსტატობას ამჟღავნებს: ძნელი წარმოსადგენია ამაზე უფრო ზუსტი და მეტყველი ნახატი, დახვეწილი კოლორიტი, ამაზე მახვილი ფსიქოლოგიური და სოციალური დახასიათება. ინგლისშივეა შესრულებული მორეტის პორტრეტი, რომელიც ამ გვერდზეა წარმოდგენილი. შარლ დე სოლიე, სიერ დე მორეტი 1534 წლის აპრილიდან 1535 წლის ივლისამდე საფრანგეთის მეფის ფრანსუა I-ის ელჩად იყო ინგლისის მეფის კარზე. თვითონ ჰოლბაინის პორტრეტი გვიჩვენებს, რომ მორეტი შესანიშნავი პიროვნება უნდა ყოფილიყო. მართლაც, მას არა ერთხელ გამოუჩენია თავი, როგორც მტკიცე ნებისყოფის მქონე, გამჭრიახ სამხედრო მოღვაწესა და დიპლომატს. მორეტის პორტრეტი შესრულებულია ხეზე ზეთის საღებავებით, მისი ზომაა 0,925 მ×0,754 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რემბრანდტ ვან-რეინი.**

ავტოპორტრეტი სასკიასთან ერთად.



**XVII** ს-ის ჰოლანდიელ მხატვართა ბრწყინვალე პლეადაში პირველი ადგილი უჭირავს **რ ე მ ბ რ ა ნ დ ტ ჰ ა რ მ ე ნ ს ვ ა ნ-რ ე ი ნ ს** (1606-1669). თემატიკური მრავალფეროვნებით, იდეური სიღრმით, ფსიქოლოგიური დახასიათების სიმახვილით იგი ყველა თავის თანამემამულეს სჭარბობს და მსოფლიოს უდიდეს შემოქმედთა პირველ რიგში დგას.

რემბრანდტი დაიბადა ქ. ლეიდენში მეწისქვილის ოჯახში. მშობლები შვილს მეცნიერული კარიერისთვის ამზადებდნენ (ლეიდენში არსებობდა უნივერსიტეტი, რომელიც უცხო ქვეყნებიდანაც კი იზიდავდა ჰუმანისტებს, არსებობდა ლათინური სკოლაც). მაგრამ რემბრანდტს იმთავითვე მხატვრობა იტაცებდა. ერთ ხანს იგი ცნობილ პიტერ ლასტმანთან სწავლობდა, მაგრამ ძირითადად მან თვითონვე, თავისი დაუცხრომელი შრომით, გაიკაფა გზა. 1631 წლიდან სიკვდილამდე რემბრანდტი ამსტერდამში ცხოვრობდა. მან აქ მალე მოიხვეჭა საუკეთესო პორტრეტისტის სახელი, ყოველწლიურად რამდენიმე ათეულ პორტრეტს ასრულებდა დაკვეთით და ნივთიერადაც სავსებით უზრუნველყოფილი იყო. რემბრანდტი ერთადერთი ჰოლანდიელი მხატვარია, რომელსაც ერთი რომელიმე ჟანრით არ შემოუზღუდავს თავი. სხვები ან მხოლოდ პორტრეტებს ხატავდნენ, ან პეიზაჟებს, ან საყოფაცხოვრებო სცენებს, ან ნატურ-მორტს. თვით ფრანს ჰალსისა და ვერმეერ ვან დელფტის შემოქმედებაც კი თემატიკურად საკმაოდ შემოფარგლულია. რემბრანდტმა, პირიქით, ყველა ჟანრში თქვა თავისი სიტყვა (თუ არ ჩავთვლით ნატურ-მორტსა და საყოფაცხოვრებო სცენებს). იგი არა მარტო ფერმწერი იყო, არამედ ოფორტის უდიდესი ოსტატიც; მისი ნახატები (მაგ. პეიზაჟები) დღემდის ინარჩუნებს თავის იშვიათ მომხიბვლელ ძალას. მაგრამ რა ტექნიკითაც არ უნდა ემუშავნა რემბრანდტს, მისი უმთავრესი თემა მაინც ერთი იყო: ადამიანი. ადამიანისადმი ულრმესი სიყვარული, მისი შინაგანი სამყაროსადმი ღრმა ინტერესი თავიდან ბოლომდის გასდევს რემბრანდტის შემოქმედებას ლეიდენის პერიოდიდან დაწყებული— ბოლო წლებამდის. ეს თვისებები თანაბრად მჟღავნდება მის განსაცვიფრებელ პორტრეტებში (გავიხსენოთ თუნდაც მოხუცებულთა პორტრეტები), ჯგუფურ პორტრეტებში (მაგ. „მემაუდეთა სინდიკებში“) და ბიბლიურ სცენებშიაც. ახალგაზრდა რემბრანდტი ამოცანის გადასაწყვეტად თავის სურათებში ხშირად მიმართავდა გარეგნულ ეფექტებს. მაგრამ შემდეგ, მომწიფების ხანაში, განსაკუთრებით ბოლო წლებში, მხატვარი ერიდება ისეთ სიუჟეტებს, რომლებშიც დრამატიზმი გარეგნულადაა გამოვლინებული, იგი იმგვარ თემებს ირჩევს, რომლებშიც ყველაზე მნიშვნელოვანია რთული, ზოგჯერ მძაფრი ტრაგიზმით გამსჭვალული, შინაგანი განწყობილება. სურათების კომპოზიციური აღნაგობა უაღრესად გამარტივებულია, მხატვარი მიზნად ისახავს სახის ღრმა ფსიქოლოგიურ გახსნას, ადამიანთა სულიერი ურთიერთდამოკიდებულების უფაქიზეს ნიუანსთა გადმოცემას. ამას ემსახურება და ექვემდებარება სურათის ყველა კომპონენტი — კომპოზიცია, შუქ-ჩრდილის განლაგება, რომელსაც რემბრანდტი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, სპეციფიკური—წითელ-ყავისფერ-ოქროსფერი—კოლორიტი. რემბრანდტი უაღრესად პრინციპული შემოქმედი იყო. **XVII** ს-ის მეორე ნახევარში არისტოკრატიზაციის გზაზე დამდგარი ჰოლანდიური ბურჟუაზიის გემოვნება სულ უფრო და უფრო იხრებოდა ცრუკლასიციზმის მაღალფარდოვანი, შელამაზებული, „გაკრიალებული“ ხელოვნებისადმი. მას აღარ აკმაყოფილებდა ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი, უბრალო და მართალი სურათები. აღარ აკმაყოფილებდა აღარც რემბრანდტის პირუთვნელი რეალიზმი, მისი ტრაგიკული სახეები, მისი ფერწერა. მაგრამ რემბრანდტს ბოლომდის არ დაუთმია თავისი პოზიციები. ეს იყო იმის მთავარი მიზეზი, რომ ცხოვრების ბოლო წლები მან განმარტოებით, დიდ სიღარიბეში გაატარა და ყველასგან მივიწყებული გარდაიცვალა.

რემბრანდტის უზარმაზარ მხატვრულ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭირავს მის ავტოპორტრეტებს. ამდენი ავტოპორტრეტი არც ერთ სხვა მხატვარს არ დაუხატავს (60-მდეა საღებავებით შესრულებული, 20-ზე მეტი ოფორტით, ათამდე — დახატული). ახალგაზრდობაში იგი თავის სახეს იყენებდა სხვადასხვა გამომეტყველების გამომსახველი ეტიუდებისათვის. შემდეგ იგი მთელი ცხოვრების მანძილზე, ხშირად უბრუნდებოდა თავის თავს და ისეთივე ობიექტურობით, ისეთივე შეუბრალებელი სიმართლით გადმოგვცემდა საკუთარ სახეს, როგორც სხვათა სახეებს. ამ პორტრეტებს, მხატვრული ღირებულების გარდა, ბიოგრაფიული მნიშვნელობაც აქვს, რადგანაც ისინი წარმოგვიდგენენ დიდ მხატვარს ცხოვრების ყოველ საფეხურზე. სურათი, რომელიც ამ გვერდზეა დაბეჭდილი, გვიჩვენებს რემბრანდტს თავის მეუღლე სასკია ვან ეილენბურგთან ერთად. ეს ცნობილი ავტოპორტრეტი შესრულებულია ახალგაზრდობის წლებში (სასკია, რომელიც წარჩინებული ოჯახიდან იყო გამოსული, რემბრანდტმა 1633 წელს შეირთო). რემბრანდტი იმ დროს მდიდრად და უზრუნველად ცხოვრობდა, მისი სახლი და სახელოსნო, სადაც მასთან ერთად მისი მოწაფეები და თანაშემწეები მუშაობდნენ, ნამდვილ მუზეუმად იყო გადაქცეული. სურათი უშუალოდ და ნათლად გადმოგვცემს ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, მხატვრის იმდროინდელ განწყობილებას. სურათი შესრულებულია ზეთის საღებავებით ტილოზე. მისი ზომაა 1,61 მ. × 1,81 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიეგო ველასკესი.
მოხუცი კაცი სანტ-იაგოს ორდენით.

დიეგო როდრიგეს დე სილვა-ი-ველასკესი (1599-1660) მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში შევიდა, როგორც ერთი ყველაზე დიდი რეალისტთაგანი, როგორც ფერწერის შეუდარებელი ოსტატი და უფაქიზესი კოლორისტი. ველასკესი დაიბადა სევილიაში, იქვე მიიღო სამხატვრო განათლება, იქვე ცხოვრობდა 1623 წლამდის. პირველსავე სურათებში, რომლებიც უბრალო საყოფაცხოვრებო სცენებს გვიხატავს, გარკვევით ჩანს ველასკესის ინტერესი რეალური ცხოვრების შეულამაზებელი გადმოცემისადმი. მაშინაც კი, როცა იგი თავისი სურათისთვის მითოლოგიურ სიუჟეტებს ირჩევს, ველასკესი არ ღალატობს ცხოვრების სიმართლეს. მის სახელგანთქმულ სურათებში— „ვულკანის სამჭედლოში", „ლოთებში" პერსონაჟები უბრალო გლეხები არიან, თუმცა ორივეში ანტიკური ღვთაებანი — ვულკანი, აპოლონი და ბაქუსიც — მონაწილეობენ. ერთი მკვლევარის სიტყვით, ველასკესი თავის თავს ნებას არ აძლევდა გაჰყოლოდა მითს გამოგონილ სამყაროში; პირიქით, მითის „დაძლევით" იგი რეალურ სამყაროს უბრუნდებოდა.

ველასკესმა თითქმის მთელი თავისი ცხოვრება მადრიდში გაატარა, ესპანეთის მეფის ფილიპე IV-ის კარზე. მისი უმთავრესი ობიექტი — მეფის ოჯახი იყო. წლიდან წლამდის ხატავდა იგი თვით ფილიპე ჰაბსბურგის დეგენერატულ სახეს, ხატავდა დედოფალს, პრინცებს, ქედმაღალ ესპანელ არისტოკრატებს; იგი ძალაუნებურად ცხოვრობდა მეფის კარის ინტერესებით, ემორჩილებოდა სასახლის მკაცრ, გამოზომილ, მაღალფარდოვან ეტიკეტს, ხელმძღვანელობდა სხვადასხვა ცერემონიებს, მონაწილეობდა მეფის ნადირობაში და სხვ.

მაგრამ ამ გამომფიტავმა, მომაკვდინებელმა ატმოსფერომ ვერ დათრგუნა, ვერ დაიმორჩილა ველასკესის ნიჭი. მაშინ, როცა კარის მხატვართა უმეტესობა ადიდებდა, ამაღლებდა, და ალამაზებდა გამოხატულ პირებს, ველასკესს არც ერთხელ არ უღალატნია თავისი მკაცრი რეალიზმისათვის. სამეფო გვარეულობის პორტრეტებში მხატვარს, რა თქმა უნდა, ბოჭავდა ეტიკეტი: ყველანი — თვით ფილიპე IV, მისი მეუღლე, ძმები, შვილები — მშვიდი, გარინდებული პოზით არიან წარმოდგენილნი. ყველას, თვით პატარა პრინცსაც კი, გოროზი გამომეტყველება აქვს. ერთგვაროვანია მათი საზეიმო, თითქმის ყოველთვის შავი, სამოსელიც. მაგრამ ამ გარეგნული შეზღუდულობის მიუხედავად, მხატვარი მაინც ახერხებდა ადამიანის სიღრმეში ჩაწვდომას, ამ მედიდურ სახეებში იგი შეუბრალებლად ამჟღავნებდა სულიერ სიღატაკეს, სიცარიელეს. პირფერობა, იდეალიზაცია მისთვის უცხო იყო.

ველასკესის მხატვრულ მემკვიდრეობაში თავისებური ადგილი უჭირავს სასახლის მასხარათა, ჯუჯებისა და მახინჯთა პორტრეტებს. ბედისაგან დაჩაგრულ, შეურაცხყოფილ ადამიანთა გადმოცემისას ველასკესი კი არ დასცინოდა მათ, არამედ განსაკუთრებულ ადამიანურ სითბოს ამჟღავნებდა მათდამი. ზოგჯერ მათ სახეებში ბევრად მეტი შინაგანი ღირსება იგრძნობა, ვიდრე გვირგვინოსანთა მონუმენტალურ ფიგურებში.

პორტრეტების გარდა, ველასკესი მრავალფიგურიან, სიუჟეტიან სურათებსაც ხატავდა. ზემოთ მოხსენებულთა გარდა, ყველაზე მნიშვნელოვანი სურათებია: „ქ. ბრედას ჩაბარება", „ფეიქარი ქალები" და „მენინები" (მხატვრის სახელოსნოში ნაჩვენები არიან მეფის ასული და მისი გამდელები — „მენინები").

ველასკესმა ორჯერ იმოგზაურა იტალიაში. მეორედ მგზავრობის დროსაა შესრულებული პაპის ინოკენტი X-ის პორტრეტი, ერთი ყველაზე ბრწყინვალე პორტრეტთაგანი ევროპული მხატვრობის ისტორიაში.

წლების მანძილზე ველასკესის ოსტატობამ, ფერწერის ხერხებმა საგრძნობი ევოლუცია განვლო. ახალგაზრდობაში ველასკესი დიდი იტალიელი რეალისტის კარავაჯოს გავლენას განიცდიდა. შემდეგ მან სრულიად თავისებური, განსაცვიფრებლად ფაქიზი, მკაცრი კოლორიტი შეიმუშავა და ფერწერის ტექნიკასაც ვირტუოზულად დაეუფლა. მისი სურათების აღნაგობა ყოველთვის ძალიან მარტივი და ნათელია. დიდ კომპოზიციებშიც და პორტრეტებშიაც ველასკესი მხატვრული განზოგადების დიდ უნარს იჩენს. არავითარი „მრავალსიტყვაობა", არაფერი ზედმეტი; ძირითადი ყოველთვის ნათლად ჩანს, ხასიათი საოცარი სიმახვილითა და სიღრმითაა გადმოცემული, მხატვრის ენა მაქსიმალურად ლაკონიური, დახვეწილი და ზუსტია.

ესპანური ხელოვნების ისტორიაში ველასკესმა უდიდესი როლი შეასრულა. მან პირველმა მოწყვიტა ესპანური მხატვრობა სარწმუნოებრივ წანამძღვრებს, რომელთაც ესპანეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ, მის სურათებში კათოლიკური მისტიციზმის კვალიც აღარ დარჩენილა. ველასკესის გავლენა დიდი და ხანგრძლივი იყო მისი სამშობლოს გარეთაც. იგი საგრძნობია XIX ს-ის ევროპულ მხატვრობაშიაც.

დრეზდენის გალერეაში ველასკესის სამი პორტრეტია. ამ გვერდზე წარმოდგენილი პორტრეტი (უცნობი პირისა) შესრულებულია ზეთის საღებავებით ტილოზე. მისი ზომაა 0,655×0,56 მ.

რადღებას ღვთისმშობლისა და ქრისტესკენ მიმართავს. კლასიკურად უბრალოა და სწორედ ამიტომ განსაკუთრებით მიმზიდველი თვით მარიამი, მისი ლამაზი ბავშვური სახე, შემკრთალი ღიმილი, დიდი შეშფოთებული თვალები, მთელი მისი ფიგურა, თითქოს ქარისაგან აფრიალებული სამოსელით. მარიამი, რომელსაც ბავშვი უპყრია ხელთ, ღრუბლებზე დგას. ამის გამო მის მოძრაობას (იგი თითქოს წინისკენ, მაყურებლისკენ მოემართება) საკვირველი სიმსუბუქე ენიჭება. მარიამი ხორცშესხმულია, ცოცხალია და, იმავე დროს, თითქოს ჩვენებაა, რომელიც ზეციდან დედამიწაზე, ხალხთან ჩამოდის. აღორძინების ხანის დიდი მხატვრისათვის ღვთისმშობელი იდეალური, სულიერი და ფიზიკური სილამაზის განსახიერებაა და ეს სილამაზე სავსებით ადამიანურია, მიწიერი, თუმც — განსაკუთრებით სპეტაკი და მაღალი. დაუვიწყარია თვით ქრისტეს სახეც, ფართოდ გახელილი გონიერი თვალებით, რომლებიც თითქოს მაყურებელს აშტერდება: აქ ბავშვური უმანკოებაცაა და არაბავშვური სიბრძნეც.

გამოფენაზე დიდი ადგილი ეჭირა XVI საუკუნის ვენეციურ მხატვრობას. ვენეციამ ყველაზე დიდხანს შეინარჩუნა ე. წ. მაღალი რენესანსის მხატვრული ტრადიციები. მაშინ, როცა სასტიკი ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური კრიზისით შეპყრობილი იტალიის სხვა ცენტრებში აღორძინების დიდი ხელოვნება ადგილს უთმობდა მანიერისტების გამოფიტულ, ფორმალისტურ ხელოვნებას, ვენეციაში ჯერ კიდევ მოღვაწეობდნენ სახელგანთქმული ტიციანი, დეკორატიულ-მონუმენტური მხატვრობის ბრწყინვალე ოსტატი პაოლო ვერონეზე, მშფოთვარე ტინტორეტო და სხვანი. ორი უკანასკნელის დიდ ტილოებს თითქმის მთელი დარბაზი ეჭირათ. ორივე ვირტუოზი იყო — დიდი, რთული კომპოზიციების შედგენის მხრივაც, ძალიან თავისებური, არაჩვეულებრივად ფაქიზი კოლორიტის თვალსაზრისითაც. თუმცა „გარეგნულ" მხარეს (ერთთან — ხაზგასმით სადღესასწაულო დეკორატიულ გარემოცვას, მეორესთან — შეუკავებელ დინამიკას, პერსპექტივის, რაკურსისა და შუქ-ჩრდილის ეფექტებს) მათს სურათებში უკვე არამცირე ადგილი უჭირავს, ადამიანი, „მაღალი რენესანსის" იდეალური ადამიანი ჯერ კიდევ ორივესთან ინარჩუნებს თავის ადგილსა და მნიშვნელობას. მაინც რამდენად უფრო მშვიდი, გაწონასწორებული და ღრმაა მათთან შედარებით ჯორჯონე — მაღალი რენესანსის ვენეციური ხელოვნების პირველი მხატვარი, რომელიც სულ ახალგაზრდა გარდაიცვალა 1510 წელს! მისი „მძინარე ვენერა", რომლის პოპულარობა თითქმის „სიქსტეს მადონასას" უსწორდება, უეჭველია, იტალიური რენესანსის ერთი ყველაზე პოეტური ნაწარმოებთაგანია. რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმის აღწერა, თუ როგორი ოსტატობითაა მოდელირებული ქალის განსაცვიფრებლად ლამაზი სხეული, როგორაა გადმოცემული მისი სითბო, პულსაცია, რა ბუნებრივია სხეულის ფერი, რა ლამაზია მისი ტონის შეფარდება მუქწითელ მოსასხამთან, კიდევ უფრო ძნელია სურათის საერთო განწყობილების (სწორედ განწყობილების — ეს ცნება სავსებით შეეფერება ჯორჯონეს) გადმოცემა.

ჯორჯონეს ტოლი და ამხანაგი, ფართო საზოგადოებისათვის მასზე უფრო კარგად ცნობილი, ტიციანი ისეთი ლირიკული გრძნობის მხატვარი არ ყოფილა, როგორისაც ჯორჯონე იყო. მაგრამ ისიც დიდი ძალით, თითქოს უსაზღვრო სიხარულით ხატავდა ადამიანს, მისი სახის უსასრულო მრავალფეროვნებას, მის ფიზიკურ სილამაზეს. ტიციანის გამოფენილ სურათთაგან გამოირჩეოდა ახალგაზრდობის დროინდელი ნაწარმოები „მადონა ოთხი წმინდანით" და განსაკუთრებით — ცნობილი „კეისრის დინარი", რომელშიაც ქრისტესა და ფარისევლის მძაფრი ფსიქოლოგიური დაპირისპირებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს არაჩვეულებრივად დაძაბულ კოლორისტულ შეხამებას (ქრისტეს ნაზი სახე და თითქმის ქალური ხელი — ფარისევლის უხეში, გარუჯული სახისა და ხელის გვერდით; მათი სამოსელის წითელი, ლურჯი და ყვითელი ტონების მძლავრი ფერადოვანი ლაქები).

გამოფენაზე კარგად შეიძლებოდა ტიციანისა და ჯორჯონეს თანამედროვის — ვენეციელ პალმა ვეკიოს, აგრეთვე, ცნობილი პარმელი მხატვრის კორეჯოს შემოქმედების გაცნობა, გარკვეული წარმოდგენის მიღება იტალიური მანიერიზმის შესახებ (პარმიჯანინო, ბედოლო). ბევრი იყო XVII საუკუნის ნაწარმოებიც (აქ უნდა მოვიხსენიოთ მშვენიერი კოლორისტი დომენიკო ფეტი, რომლის ზოგიერთ სურათშიაც იგრძნობა XVI-XVII ს-თა მიჯნის დიდი რეალისტის კარავაჯოს გავლენა). წარმოდგენილი იყო XVIII საუკუნის თითქმის ყველა უმთავრესი მხატვარიც: ვირტუოზი დეკორატორი ტიეპოლო, „ვედუტას" (ქალაქის ხედების) ოსტატები კანალეტო, გუარდი და ბელოტო, ცნობილი მხატვარი ქალი, პასტელით შესრულებული მშვენიერი პორტრეტების ავტორი, როზალბა კარიერა, ძალიან საინტერესო ფერმწერი პიაცეტა და სხვ. არ შეიძლება არ დაგმახსოვრებოდათ ბოლონიელი მხატვრის ჯუზეპე-მარია კრესპის თითქმის მონოქრომული სურათები, რომლებშიაც მთელი ეფექტი, თვით შინაარსის გახსნა — შუქისა და ჩრდილის მძლავრ კონტრასტებზეა დამყარებული. დრეზდენის „ტიეპოლოები", თუმც კი გვიჩვენებს მხატვრის სპეციფიკურ კოლორიტულ გამას (ცისფერ-მარგალიტისფერი ტონები, გაცოცხლებული სინგურისა და ყვითელი ფერის მკაფიო აქცენტებით), მაგრამ, ცხადია, ვერ შეედრება მის შედევრებს, რომლებიც მოსკოვის მახლობლად, არხანგელსკოეს იუსუპოვებისეულ სასახლეში, ინახება.

ძველი ნიდერლანდური ხელოვნების განყოფილებაში ძვირფასი თვალივით გამოირჩეოდა ჩრდილოური რენესანსის ფუძემდებლის იან-ვან-ეიკის (1390-1441) განსაცვიფრებელი ტრიპტიქონი (სამკარედი) „ღვთისმშობელი მიქელ მთავარანგელოზითა და წმ. ეკატერინეთი". აქ ჯერ კიდევ იგრძნობა XV საუკუნის მინიატიურული მხატვრობის კვალი. ტრიპტიქონი სულ პატარაა (შუა ნაწილის ზომაა 27,5 × 21,5 სმ.). მით უფრო აკვირვებს ადამიანს ხუროთმოძღვრების, სამოსელის, ნივთებისა და სახეების იუველირული სიზუსტით დამუშავება. მაგრამ ყოველი დეტალი მაინც საერთო კონცეფციას ექვემდებარება, სურათი მთლიანია თავისი განწყობილებით, მთლიანია კომპოზიცია და იშვიათი სილამაზის კოლორიტიც (ჩალისფერი-მოყავისფრო საერთო გამა, მარიამისა და ეკატერინეს სამოსელის მუქი შინდისფერი და ლურჯი; მზის შუქით განათებული სარკმლები). მიუხედავად გუთურ ტრადიციებთან კავშირისა და ღრმა სარწმუნოებრივი გრძნობისა, აქ უკვე სავსებით თვალსაჩინოა რეალური, „მიწიერი" სამყაროს აღქმისა და გადმოცემის საოცარი ძალა, რომელიც ამ გენიალურ მხატვარს შესწევდა.

XVII საუკუნის ფლანდრიული მხატვრობის განყოფილებაში წარმოდგენილი იყო ამ სკოლის ყველა უმთავრესი მხატვრის შემოქმედება. დრეზდენის გალერეას ეკუთვნის რუბენსის რამდენიმე სახელგანთქმული შედევრი, მაგ. „ბერსაბე", „დიანას დაბრუნება ნადირობიდან", „ტახებზე ნადირობა", „წმ. იერონიმე", „პარისის მსჯავრი", „მერკური და არგუსი". ყველა ამ სურათში თანაბარი ძალით გადმოჩქეფს მხატვრის ულევი ტემპერამენტი, მისი დაუშრეტელი ენერგია და ოპტიმიზმი. ყველა მისი პერსონაჟი უდრეკი ძალითაა დაჯილდოებული, შიშველი სხეულები — კუნთოვანი და სისხლჭარბია, მოძრაობა — ბობოქარი, კოლორიტი — მოელვარე და თვალისმომჭრელი (განსაკუთრებით დამახასიათებელია სხეულის ფერის დაპირისპირება — კაშკაშა წითელთან და მოყავისფერო-ფოლადისფერ ტონებთან. ქალის შიშველი სხეული, რომლის გადმოცემაც განსაკუთრებით უყვარდა რუბენსს, სხივოსანია, ატლასივით კრიალა, თითქოს ოქროში ნაფერი). იმავე დარბაზში იყო გამოფენილი ვან-დეიკის შესანიშნავი პორტრეტები, იორდანსის ჟანრული კომპოზიციები, ბრაუვერის, სნაიდერსისა და ტენირსის სურათები.

განსაკუთრებით მდიდარია დრეზდენის გალერეაში XVII საუკუნის ჰოლანდიური მხატვრობის განყოფილება. აქ მნახველი ეცნობა ყველა უმთავრეს ჟანრს, რომელთა დიფერენციაცია პირველად სწორედ ჰოლანდიაში მოხდა. სახელგანთქმულ პეიზაჟისტების ჰობემასა და ი. ვან რეისდალის გვერდით (უკანასკნელის დიდი გრძნობით გამთბარი სურათები დროთა განმავლობაში საგრძნობლად გაშავებულა), გამოფენილი იყვნენ ე. წ. „მცირე ჰოლანდიელები", რომლებიც თავის სამშობლოს, თავის თანამემამულეთა ყოველდღიურ ცხოვრებაში ეძებდნენ პატარა სურათების მარტივ, უპრეტენზიო სიუჟეტებს. ბურჟუაზიული ჰოლანდიისათვის უცხო იყო ბაროკოს პომპეზური, თეატრალური ხელოვნება. ჰოლანდიის პროტესტანტულმა ეკლესიამ უარყო კათოლიკური ეკლესიების მონუმენტური, მაღალფარდოვანი და ეგზალტირებული მხატვრობა, ჰოლანდიელ მხატვრებს არ აინტერესებდათ არც მითოლოგიური და ისტორიული სიუჟეტები, რომელთაც წამყვანი ადგილი დაიმკვიდრეს XVII საუკუნის ფრანგულ მხატვრობაში. ტერბორხი, გაბრიელ მეტსიუ, გერარდ დოუ, ადრიან ვან ოსტადე შეულამაზებლად გადმოგვცემენ უბრალო საყოფაცხოვრებო სცენებს, რომელთაც კლასიციზმის ოსტატები „ხელოვნების ტაძარში" შეშვების ღირსადაც არ მიიჩნევდნენ, მაგრამ სწორედ ამ პროზაში პოულობდნენ ისინი ნამდვილ პოეზიას. რა სიყვარულითაა შესრულებული მეტსიუს — „ფრინველების გამყიდველი", ტერბორხის „ოფიცერი, რომელიც წერილს კითხულობს", ან ადრიან ვან ოსტადეს „მხატვარი სახელოსნოში". რამდენი სითბოა ამ სცენებში ჩაქსოვილი, რა ვირტუოზული ტექნიკითაა გადმოცემული საგანთა ფაქტურა! იმავე დროს, ყველა ჰოლანდიელი — კოლორიტის დახვეწილი გრძნობით იყო დაჯილდოებული. ეს თანაბრად ჩანს როგორც ჩამოთვლილ ოსტატების სურათებში, ისევე იან დავიდს დე ჰეემისა და ვილემ კლას ჰედას საკვირველ ნატურმორტებში.

ამ განყოფილებაში უმთავრეს ყურადღებას იპყრობდა მაინც რემბრანდტისა და იან ვერმეერ ვან დელფტის სურათები. დრეზდენის რემბრანდტისეული სურათები უმეტესად მხატვრის შემოქმედების ადრინდელსა და შუა ხანებს მიეკუთვნება. მაგრამ არის რამდენიმე გვიანდელი პორტრეტიც, რაც გარკვეულ შედარებათა საშუალებას იძლევა. სწორედ ამ, ბოლოდროინდელ პორტრეტებში, რომლებიც გათავისუფლებულია ყოველგვარ გარეშე აქსესუარებისაგან, იჩენს რემბრანდტი ადამიანის სულიერ სიღრმეში ჩაწვდომის გენიალურ უნარს. წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ამ მხრივ „მოხუცი კაცი ჯოხით" და „მოხუცი შავი ბერეტით". მათი ძუნწი, მაგრამ იმავე დროს, ნიუანსებით მდიდარი, ინტენსიური კოლორიტი განსაკუთრებით უწყობს ხელს ხასიათის გახსნას, ყურადღების კონცენტრაციას უმთავრეს იდეაზე. მაგრამ არა ნაკლებ მომხიბვლელია რემბრანდტის უფრო ადრინდელი პორტრეტებიც — „ავტოპორტრეტი სასკიასთან ერთად", „სასკია წითელი ყვავილით", „სასკია ქუდით" — მათი უღრმესი ადამიანური სითბო, მათი უშუალობა, სიხალისე, მათი კოლორისტული სიმდიდრე.

იან ვერმეერ ვან დელფტი (1632-1675) რემბრანდტივით ღრმა ფსიქოლოგი არ ყოფილა. მას არ აწვალებდა ადამიანის არსებობის ფილოსოფიური პრობლემები. მაგრამ ბევრი არ ყოფილა მხატვარი, რომ სამყაროს ასეთი უბრალო, მაჟორული აღქმა ჰქონოდეს, რომ ასე ეგრძნოს ბუნების ფერადოვანი სიმდიდრე და სილამაზე, რომ შეძლებოდეს უმარტივეს, შეუმჩნეველ სიუჟეტთა ასეთი პოეტური გრძნობით ავსება. ვერმეერი, როგორც ოსტატი, მსოფლიოს ყველაზე დიდ მხატვრებს უსწორდება, ხოლო როგორც კოლორისტს — მას ძნელად თუ მოეძებნება ბადალი. დრეზდენის გალერეას მისი ორი სურათი აქვს: „მაჭანკალთან" და „ქალიშვილი, რომელიც წერილს კითხულობს". დაუვიწყარია ამ უკანასკნელში მზის სხივებით ერთიანად „გაჟღენთილი" ოთახი, შავის, წითლისა და ლიმონის ქერქის ფერ ყვითელის მჟღერი შეფარდებანი, საგანთა მატერიალურობა და ჰაეროვანი სივრცის ეფექტი. სქელი, კორპუსული მონასმებისა და ფერწერის გლუვი ზედაპირის დაპირისპირებით მხატვარი აღწევს შუქის გრადაციის იშვიათ ილუზიას.

ესპანური სკოლის სურათები დრეზდენის გალერეაში შედარებით მცირერიცხოვანია. ესპანურ მხატვრობაში სარწმუნოებრივ თემატიკასა და იდეებს ფრიად დიდი ადგილი ეჭირათ. კათოლიკურ ეკლესიას ესპანეთში განსაკუთრებული ძალა ჰქონდა. კათოლიკური ეკლესია უმთავრესი „შემკვეთი" იყო ხელოვნების დარგში. როცა სხვადასხვა „წამებათა", „ლოცვათა", „ჩვენებათა", ზეცისკენ აპყრობილი თვალებისა და აწვდილი ხელების შემდეგ შეხედავ ველასკესის პორტრეტებს, განსაკუთრებით ნათლად წარმოგიდგება ამ გენიალური მხატვრის ისტორიული მნიშვნელობა ესპანური ხელოვნებისათვის. ველასკესის პორტრეტები (ხუან მატეოსი, მინისტრი ოლივარესი, მოხუცი კაცი სანტ-იაგოს ორდენით) ისეთი უბრალოა, როგორიც შეიძლება იყოს მხოლოდ ხელოვნების უდიდესი, ჭეშმარიტად კლასიკური ნაწარმოები. ფორმას თავისთავად აქ სრულიად ველარ გრძნობ. არავითარი „გარეგნული" ხერხები — არც შუქ-ჩრდილის საგანგებო ეფექტი, არც გრძნობის საგანგებო დრამატიზება, არავითარი აფექტაცია. კოლორისტული გამაც თითქოს სულ სამი-ოთხი ტონისაგან შედგება: შავი — აქა-იქ ოქროსფერი სამკაულით გაბრწყინვებული, სახის ნაზი ვარდისფერი, ზოგან — ფერფლისფერი, მოყავისფრო და მუქი-მომწვანო ფერები. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია ამაზე უფრო ცოცხალი სახეები და ამაზე უფრო მკაცრი და ლამაზი კოლორიტი. და, რა თქმა უნდა, არსად აღარავითარი კვალი აღარაა სარწმუნოებრივი გრძნობისა, რომელიც XVII საუკუნის კათოლიკურ ხელოვნებაში განსაკუთრებით მჟღავრლა, ცრუპათეტიკურ გამოხატულებას პოულობდა.

ესპანურ განყოფილებაში მეორე დიდი რეალისტის ხოსე დე რიბერას სურათებიც იპყრობდა ყურადღებას (განსაკუთრებით „წმ. ინესა" და „დიოგენი"), ფრანგულ განყოფილებაში — კლასიციზმის დიდი ოსტატების პუსენისა და კლოდ ლორენის რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები, XVIII საუკუნის გამოჩენილი მხატვრის ანტუან ვატოს ორი დამახასიათებელი სურათი, მორის კანტენ დე ლა ტურის პასტელით შესრულებული მახვილი პორტრეტები და ლიოტარის საქვეყნოდ ცნობილი პასტელი „ლამაზი მეშოკოლადე".

გერმანული მხატვრობის განყოფილებაში გამოფენილი იყო კრანახის რამდენიმე პირველხარისხოვანი ნაწარმოები, დიურერის ერთი პორტრეტი, XVIII საუკუნის მხატვრის რაფაელ მენგსის ვირტუოზულად შესრულებული პასტელის პორტრეტები და სხვ. მაგრამ ყურადღების ცენტრში იყო მაინც ჰანს ჰოლბაინ უმცროსის „მორეტის პორტრეტი" — ერთი უძვირფასეს განძთაგანი დრეზდენის გალერეისა. აქ ყველაფერი აოცებს ადამიანს: რენესანსის ეპოქის ტიპური ადამიანის უმახვილესი დახასიათებაც, მხატვრის თავბრუდამხვევი ტექნიკაც, რომლისთვისაც აღარავითარი სიძნელე არ არსებობს, უაღრესად ლაკონიური, კეთილშობილი კოლორიტიც (შავი — მუქი მწვანე — თეთრი — მოყავისფრო და აქა-იქ — ოქრო), აბსოლუტურად უზადო ნახატიც. რა თქმა უნდა, ეს ერთი უძლიერესი შთაბეჭდილებათაგანი იყო ამ გამოფენაზე.

მოკლე წერილში შეუძლებელია დრეზდენის გალერეის მთელი სიმდიდრის აღნუსხვაც კი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წარსულის შემოქმედების ამ ბრწყინვალე ნიმუშების გაცნობა ახალ ბიძგს მისცემს ჩვენი ახალგაზრდა მხატვრების შემოქმედებასაც.

**დრეზდენის შედევრები**

# კასპერ ბლოჯეტის საიდუმლო

ალენ მაქსი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ალ. ბანძელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეექვსე ავენიუზე ერთ პატარა ლუდხანაში ვისხედით. სუნთქვა ჭირდა. ჩემს გვერდით მჯდომმა, წითურმა, ჭაღარაშერთულმა მამაკაცმა, რომელიც ზედიზედ ყლაპავდა სოდიან ვისკის, შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

— რა აუტანელი სიცხეა! — შემომჩივლა მან.

— მერედა რატომ არ გაიძრობთ პალტოს? — ვკითხე მე.

მას გრძელი საზამთრო პალტო ეცვა.

— არა, პალტოს არასოდეს არ ვიხდი!

— ამას რას ამბობთ? მაინც რატომ?

— კასპერ ბლოჯეტის გამო, — იდუმალი ჩურჩულით მიპასუხა უცნობმა.

კასპერ ბლოჯეტის სახელი ძალიან კარგად ვიცოდი. ასიოდე სხვა გაზეთის რეპორტიორის მსგავსად მეც ამ სახელის გაგონებაზე ბევრი უსიამოვნო ამბავი მახსენდებოდა.

— პირადად იცნობდით კასპერ ბლოჯეტს? — ვკითხე უცნობს.

— როგორ არა, ძალიან ახლობელი მეგობრებიც ვიყავით, — მიპასუხა მან და, მტკიცე მეგობრობის გამოსახატავად, თითები ერთიმეორეზე გადააჭდო.

— მაშ ბლოჯეტის საიდუმლოც იცით?

ამ შეკითხვაზე მან თავი დამიქნია.

მე ძლივს-ღა ვმალავდი მღელვარებას, როგორ გამიღიმა ბედმა-მეთქი! მართალია, ორი წელიწადი იყო გასული მას შემდეგ, რაც ბლოჯეტმა თავი მოიკლა, მაგრამ საგაზეთო წერილი მისი სიკვდილის ვითარების შესახებ ჯერ კიდევ გამოიწვევდა სენსაციას. თუმცა, მგონი, ურიგო არ იქნება, თუ ზოგიერთ მკითხველს მოვაგონებთ, ვინ იყო ბლოჯეტი.

ეს იდუმალებით მოცული ადამიანი ექვსი წლის განმავლობაში მეთაურობდა მონოპოლისტურ კონცერნს, რომელსაც „ჯენერალ პაუერზი" ეწოდება. არავინ იცოდა, საიდან გაჩნდა ბლოჯეტი და რაღა მაინცდამაინც მას დარჩა მემკვიდრეობით კონცერნი სემ გრეიბორნის სიკვდილის შემდეგ? საკვირველი კი იყო, მაგრამ ბლოჯეტი არასოდეს თვალით არავის ენახა და ამიტომაც არც არავის შეეძლო მისი გარეგნობის აღწერა. მისი პიროვნება ჭეშმარიტად საიდუმლოების ბურუსში იყო გახვეული. ეს იყო და უცებ, ერთ მშვენიერ დღეს, გაზეთებმა გამოაცხადეს, ბლოჯეტმა თავი მოიკლაო. იგი საიდუმლოდ, ხალხის დაუსწრებლად დაასაფლავეს და „ჯენერალ პაუერზის" კონცერნი კი გადავიდა სემ გრეიბორნის ძმებისა და დის ხელში, რომლებიც დღესაც მისი მფლობელნი არიან.

— ბლოჯეტის სიკვდილის ვითარება თუ იცით? — ვკითხე უცნობს.

მან ფრთხილად მიმოიხედა და ჩამჩურჩულა:

— დიახ, ვიცი!

უფრო ახლოს მივუჯექი, მებუფეტეს თითო ვისკი კიდევ დავუკვეთე და მოუთმენლად დავაყარე შეკითხვები უცნობს.

— რას წარმოადგენდა კასპერ ბლოჯეტი? როგორი გარეგნობა ჰქონდა? წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო?

— ბლოჯეტი კაცი როდი გახლდათ!

— მაშ? ნუთუ ქალი იყო? — გავიოცე მე.

— არც ქალი ყოფილა, ლომთევზა გახლდათ!

ჭიქა დახლზე დავდგი. „ერიჰა, როგორ გამომთვრალა-მეთქი", გავიფიქრე. ის კი, ვითომც და აქ არაფერიო, თავისას განაგრძობდა.

— ჩემს სიცოცხლეში ბევრი ლომთევზა მინახავს, მაგრამ ბლოჯეტი მაინც განსაკუთრებული რამ იყო!..

კასპერ ბლოჯეტის საიდუმლოს ამოცნობაში უკვე იმდენჯერ ვიყავი გაწბილებული, რომ კიდევ ერთი მარცხი მაინცდამაინც ველარ წარმიკვეთავდა სასოს.

„რა ვუყოთ! — გავიფიქრე გუნებაში, — ყოველ შემთხვევაში, ეს ანეგდოტი ლომთევზას შესახებ ახალი რაღაც ჩანს და რედაქციაში მოსაყოლი ამბავი მაინც მექნება, მეგობრებს გავაცინებ-მეთქი".

— მიამბეთ, გეთაყვა, რაც იცით! — მივმართე თანაგრძნობის კილოთი.

უცნობმაც დაიწყო თავისი ამბავი:

— სერ გრეიბორნმა დააარსა მონოპოლია „ჯენერალ პაუერზი", რომელშიც გაერთიანებული იყო ავტომობილების, ფოლადის, ქიმიური პროდუქციისა და ქსოვილების წარმოება. იგი რკინიგზებსაც ფლობდა. კასპერ ბლოჯეტი მან ჩამოიყვანა ალასკიდან, სადაც ოქროს რამდენიმე საბადოს შესასყიდად იყო წამოსული. მაშინ კასპერი შვიდიოდე წლისა იყო და დაახლოებით ოთხასორმოცდაათ გირვანქას იწონიდა; სიგრძე ექვსი ფუტი ჰქონდა, ტყავი — მუქი ყავისფერი, ულვაშები — მოყვითალო, ჭაღარაშერთული. ლომთევზა დააბინავეს გრეიბორნის მამულში, ზღვისპირა პროსპექტზე, მისთვის სპეციალურად მოწყობილ აუზში, მაღალი ღობის გადაღმა.

იმ დროს ზოოპარკში ვმუშაობდი. ერთხელ, როდესაც ლომთევზებს ვაჭმევდი, ჩემთან მოვიდა ვიღაც კაცი, გამეცნო, სემ გრეიბორნი ვარო და მკითხა, ხომ არ გადავიდოდი მასთან სამუშაოდ, მისი ახალი ლომთევზას მომვლელად. კვირეულ გასამრჯელოდ შემომთავაზა რამდენიმე დოლარით მეტი, ვიდრე ზოოპარკში მაძლევდნენ. რადგან ავადმყოფ მამასაც ვეხმარებოდი და ფული მიჭირდა, მაგნატის წინადადება ძალიან მესიამოვნა და კიდეც გადავსახლდი მის მამულში.

მალე გრეიბორნს გული დაუავადმყოფდა.

მისი ოთახი მუდამ სავსე იყო ნათესავებით, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ მის სიკვდილს. ყველაზე უფრო მოწადინებული იყვნენ სემის ძმა ჰუბერტი — კურორტ პალმ-ბიჩის ჩემპიონი ბრიჯის თამაშში, მეორე ძმა — მორჰაუზი, რომელიც სწორედ იმ ხანებში მეხუთედ აწარმოებდა განქორწინების პროცესს თავის მეხუთე მდივან ქალთან, რომელიც შემთხვევით, დაუფიქრებლივ შეერთო, და რუსი თავადიშვილის ქვრივი და ჯულია.

ძალიან კი ცდილობდნენ დაეფარათ თავიანთი სულსწრაფობა ძმის სიკვდილის მიმართ, მაგრამ იმდენად აშკარად ჩადიოდნენ ამას, რომ გრეიბორნი ადვილად მიუხვდა გულის წადილს. განრისხებულმა გადაწყვიტა, სიკვდილის შემდეგ სამაგიერო გადაეხადა ნათესავებისათვის. სხვა ვინმე ეგებ საქველმოქმედო დაწესებულებებს უანდერძებდა თავის ქონებას, მაგრამ ჩემს პატრონს ქველმოქმედებისა არა სწამდა რა. მან უფრო ეშმაკური რამ მოიგონა: აიღო და მთელი ქონება თავის ლომთევზას დაუტოვა.

მართალია, ანდერძის ერთ-ერთი მუხლის მიხედვით ბლოჯეტის სიკვდილის შემდეგ ნაანდერძევი მილიონები ისევ სემ გრეიბორნის ნათესავების ხელში უნდა გადასულიყო, მაგრამ პატრონის ვარაუდით, იმ დროისთვის კასპერ ბლოჯეტი მოასწრებდა ქონების განიავებას და ნათესავებს უკვე აღარაფერი დარჩებოდათ.

უცნობი ისე აზრიანად ლაპარაკობდა, რომ მე უკვე მჯეროდა მისი. მართალი მოგახსენოთ, მანამდე არსად გამეგონა, რომ ლომთევზებისათვის ინდუსტრიული კონცერნები ეანდერძებინათ, მაგრამ ხომ ცნობილია შემთხვევები, როდესაც მდიდრები მთელ თავის ქონებას საყვარელ ძაღლებს უტოვებენ ხოლმე? რატომ არ შეიძლებოდა იმ კაცის ნაამბობში ჭეშმარიტების ნატამალიც ყოფილიყო?

— როგორ შეხვდნენ ნათესავები სემ გრეიბორნის ანდერძს?

— ჯულიას ნერვები აეშალა, ჰუბერტმა ცხრა დღეს ბრიჯი ვეღარ ითამაშა, მორჰაუზი კი ისე დაიბნა, რომ კინაღამ თავისი მეექვსე და მეშვიდე მდივანი ქალები ერთდროულად არ შეირთო ცოლად. მაგრამ მათ ვერაფერი გააწყვეს. ანდერძი ეშმაკურად იყო შედგენილი. მის სპეციალურ მუხლში აღნიშნული იყო, რომ ნათესავებს მიცვალებულის სურვილის გაპროტესტების უფლება არა აქვთ, რომ მათ საიდუმლოდ უნდა შეინახონ კასპერ ბლოჯეტის პიროვნება და — როგორც დიდი მონოპოლიის მფლობელს შეეფერება — ღირსეული პატივი სცენ მას. ანდერძის აღმასრულებლად გრეიბორნმა დანიშნა თავისი მდივანი ჰეველოკ ჯედი, რომელმაც ყოველი ღონე იხმარა, რათა ანდერძის თვითეული მუხლი დაუყოვნებლივ ასრულებულიყო.

—ნუთუ გრეიბორნს არ ეშინოდა, რომ ნათესავები კასპერს საიქიოს გაისტუმრებდნენ?

— რა თქმა უნდა, ეშინოდა და აკი წინდახედულადაც მოიქცა! ანდერძის მიხედვით მე, როგორც დარაჯს, დამინიშნეს დიდი პენსია, რომელიც მომეცემოდა მანამ, სანამ კასპერ ბლოჯეტი ჩემთან იქნებოდა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ დღე და ღამე მას ვყარაულობდი და არავის ვაჭაჭანებდი აუზის სიახლოვეს.

— კი, მაგრამ ფაქტიურად ვინ განაგებდა, „ჯენერალ პაუერზის" კონცერნს?

— როგორ თუ ვინ? კასპერ ბლოჯეტი!

მეგონა, თანამოსაუბრემ ჩემი შეკითხვა ვერ გაიგო-მეთქი და გავუმეორე.

— აკი მოგახსენებთ: ყველა ძირითადი გადაწყვეტილება კასპერ ბლოჯეტისაგან მომდინარეობდა! — დინჯად დამიდასტურა მან. — ვიცი, რასაც ვამბობ! მე, როგორც ლომთევზას ყარაული — ანუ, როგორც მაშინ მეძახდნენ, მისტერ ბლოჯეტის პირისფარეში, ვესწრებოდი „ჯენერალ პაუერზის" გამგეობის ყველა თათბირს.

— ესე იგი თქვენ გინდათ დამარწმუნოთ, რომ ლომთევზა თათბირებს ესწრებოდა ხოლმე? — ხელახლა ვკითხე მე.

— რასაკვირველია, ის ხომ „ჯენერალ პაუერზის" გამგეობის თავმჯდომარე იყო და როგორ შეიძლებოდა უიმისოდ თათბირი? — მიპასუხა ლომთევზას პირისფარეშმა. — ყოველთვის კრება აუზის პირას ტარდებოდა. ჩემს მოვალეობას შეადგენდა, კამათის დამთავრებამდე გამეჩერებინა ლომთევზა ზედაპირზე, რომ მას წყალში არ ეყვინთა ხოლმე. ამისთვის მე მას განუწყვეტლივ ვუყრიდი თევზებს.

აქ მან ჩემი იჭვნეული შეხედვა იგრძნო და აიმრიზა;

— ეტყობა, გგონიათ, რომ კასპერი მხოლოდ თევზსა სანსლავდა და საქმეს კი სხვები განაგებდნენ?

მე გამოვუტყდი რომ ასეთმა აზრმა მართლაც გამიელვა თავში.

— თუ აგრეა, სასტიკად შემცდარხართ! — რიხიანად გამომიცხადა მან. — სწორედ, პირიქით ხდებოდა ხოლმე!

— ესე იგი, გამოდის, რომ საქმეს ბლოჯეტი განაგებდა და უმ თევზს კი გამგეობის წევრები ყლაპავდნენ?

— საოხუნჯო არაფერია! ლომთევზა საკითხებსაც წყვეტდა და თევზსაც გიახლებოდათ.

— მაშ როგორ მოხდა, რომ „ჯენერალ პაუერზი" არ გაკოტრდა კასპერ ბლოჯეტის ხელში? — ცოტა არ იყოს, მზაკვრულად ვკითხე მე, — და, პირიქით, ფირმა იმ ხანებში მდიდრდებოდა კიდევაც?

— ეს იმიტომ მოხდა, რომ კასპერ ბლოჯეტი თავისებურად გენიალური იყო. საქმეც ამაშია! სემ გრეიბორნს აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ლომთევზა მასზე ჭკვიანი გამოდგებოდა. მახსენდება გამგეობის ერთი დიდად მნიშვნელოვანი სხდომა. კასპერ ბლოჯეტი ჩვეულებისამებრ გაწოლილიყო თავის საყვარელ ქვაზე და მზეს ეფიცხებოდა. აუზის პირას დადგმულ სავარძელში ისხდნენ ჰუბერტი, მორჰაუზი, ჯულია და ჰეველოკ ჯედი. ჩვეულებისამებრ, ის კრებაც „თავაზიანი შეკითხვებით" დაიწყო.

— მისტერ ბლოჯეტ, რა აზრისა ბრძანდებით ბირჟის ფასების შესახებ?

— მისტერ ბლოჯეტ, რას ფიქრობთ ევროპის მდგომარეობის შესახებ?

ამის შემდეგ ჰეველოკ ჯედმა, როგორც კასპერ ბლოჯეტის რწმუნებულმა, ანგარიში წარუდგინა სხდომას.

— წლევანდელი პირველი კვარტალის ფინანსიური მაჩვენებლები საავტომობილო წარმოებაში, — განაცხადა ჯედმა, — მოწმობს მოგების 87%-ით ზრდას შარშანდელ პირველ კვარტალთან შედარებით. ახლა ისმის საკითხი: დათანხმდება თუ არა მისტერ ბლოჯეტი განაგრძოს საავტომობილო წარმოება, როდესაც მოგება 87%-ს არ აღემატება? მართალია, შესაძლოა მეორე კვარტალში მოგების საგრძნობლად გაზრდა, მაგრამ აქ აუცილებელია ერთი სერიოზული პრობლემის გადაწყვეტა. როგორაა ჩვენს საავტომობილო ქარხნებში კონვეიერთა დაჩქარების საქმე? კონვეიერის წარმადობა საათში სამი მანქანით უნდა გავზარდოთ თუ ხუთით? გვიბრძანეთ მისტერ ბლოჯეტ, სამი თუ ხუთი?

ამასობაში კასპერ ბლოჯეტი არხეინად იწვა და ნებივრობდა მზეზე. იგი ფიქრობდა. ავილე და ვესროლე თევზი, რომელსაც მან ჰაერშივე მარჯვედ სტაცა პირი. ჯედმა გაუმეორა შეკითხვა: „მისტერ ბლოჯეტ, ველით თქვენ განკარგულებას: სამი თუ ხუთი?" ეს იყო და კასპერ ბლოჯეტიც აყეფდა. ალბათ გაგიგონიათ, თუ როგორ ყეფენ ლომთევზები: ჩახრინწული ხმით, გაბმით... გამგეობის წევრებმა დაიწყეს თითებით თვლა, თუ რამდენჯერ დაყეფდა ბლოჯეტი: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი (ჩვენ გაოცებით გადავხედეთ ერთიმეორეს), შვიდი, რვა, ცხრა, ათი, თერთმეტი.

— მე თერთმეტი დავთვალე, — ხელების ფშვნეტით წამოიძახა ჯედმა. — თქვენც თერთმეტი გამოგივიდათ?

— დიახ! — ერთხმად შესძახა ყველამ.

— აი, გადაწყვეტილებაც ასეთი უნდა! თვითეულ კონვეიერს საათში თერთმეტი მანქანით მეტი უნდა გამოეშვა! — მთხრობელმა აღტაცებით დაიქნია თავი. — ამან გადატრიალება გამოიწვია ამერიკულ მრეწველობაში. იმ წელს კასპერ ბლოჯეტმა ორმოცდაათი ათასი ავტომანქანით მეტი გამოუშვა, ვიდრე წინა წელს. კონცერნის მოგება სულ მატულობდა და მატულობდა. ხომ გახსოვთ?

— დიახაც მახსოვს. იმ ხანებში მე თვითონ დავწერე წერილი „იდუმალი ბლოჯეტი სასწაულებს ახდენს საავტომობილო წარმოებაში და ახალ ეკონომიურ ერას გვპირდება".

— ცოტა ხნის შემდეგ, — განაგრძო ჩემმა ახალმა ნაცნობმა, — კრონშოუს უნივერსიტეტმა კასპერ ბლოჯეტს კომერციულ მეცნიერებათა დოქტორის საპატიო ხარისხი მიანიჭა. ესეც გახსოვთ?

ესეც მახსოვდა. მაშინ ჩემმა გაზეთმა დამავალა კასპერ ბლოჯეტისათვის სადოქტორო დიპლომის დაუსწრებლად გადაცემის საზეიმო ცერემონიის აღწერა იგი არც ჰარვარდის, იელის, კოლუმბიისა და პრინსტონის უნივერსიტეტებში ჩატარებულ ცერემონიებზე გამოჩენილა.

— მგონი, იმ დროს მითქმა-მოთქმაც კი დაიწყო კასპერ ბლოჯეტის კანდიდატურის სენატში წამოყენების შესახებ, რესპუბლიკური პარტიის სახელით, არა? — შევესიტყვე თანამოსაუბრეს.

— მართალია! — დამემოწმა იგი და მის ხმაში მწუხარება გაისმა. — იგი მართლაც საუცხოო სენატორი დადგებოდა!

— მისი თვითმკვლელობის შესახებ რაღა იცით — ვკითხე მე.

— აი, სწორედ ეგ მინდა, გიამბოთ... კარგა ხანს ყველაფერი ჩინებულად მიდიოდა. „ჯენერალ პაუერზის" გამგეობის ერთ-ერთ სხდომაზე ბლოჯეტმა ტონა ფოლადის ფასს ცხრა დოლარი წაუმატა, ესე იგი ცხრაჯერ დაიყეფა, მეორე სხდომაზე მუშების კვირეულ ხელფასს თითო დოლარი მიუმატა, ესე იგი ერთხელ დაიყეფა. ყველანი სამი დოლარის მომატებას ელოდნენ, მაგრამ რა გაეწყობოდა, მუშები იძულებული გახდნენ, დათანხმებულიყვნენ. კასპერ ბლოჯეტის ხელში მისი ინდუსტრიული იმპერია ერთისამად გამდიდრდა. მერე კი მოხდა სწორედ ის ამბავი...

— მაინც რა მოხდა?

— სულ პროფკავშირების ბრალი იყო. „ჯენერალ პაუერზის" საავტომობილო და ფოლადჩამომსხმელ ქარხანათა მუშებმა ორგანიზაციულად დარაზმვა დაიწყეს. კასპერ ბლოჯეტი კი ვერ ურიგდებოდა ახალ წესებს. იგი მიჩვეული იყო თავის ნებაზე მოქმედებას: რასაც გადაწყვეტდა, ყველა უნდა დათანხმებულიყო. მუშები კვირაში ხუთ დოლარს მოითხოვდნენ და მან კი მხოლოდ დოლარნახევარი მოუმატა: ერთი გრძლად დაყეფა და ერთიც მოკლედ. ხომ გახსოვთ, ფოლადჩამომსხმელ ქარხნებში რომ გაფიცვა დაიწყო? მაგრამ კასპერ ბლოჯეტს არ ესმოდა, რომ ძველებურად ჰარპაში აღარ შეიძლებოდა.

ჰეველოკ ჯედმა ბარე ასჯერ აუხსნა საქმის ვითარება კასპერ ბლოჯეტს, მაგრამ ის მაინც თავისას გაიძახოდა, დოლარნახევარი და დოლარნახევარიო.

გაფიცვა რამდენსამე თვეს გაჭიანურდა და კასპერ ბლოჯეტს კვირაში რამდენიმე მილიონი დოლარი ზარალი მოსდიოდა.

მან სცადა კიდევ უფრო აეჩქარებინა კონვეიერების მუშაობა თავის საავტომობილო ქარხნებში, მაგრამ იქაურმა მუშებმა გამოაცხადეს, „ეგ ოინი აღარ გაგივათო", და ისინიც გაიფიცნენ. აბა რაღა თქმა უნდა, — ამოიოხრა ჩემმა თანამოსაუბრემ, — კასპერ ბლოჯეტი არ ეკუთვნოდა იმ ლომთევზების კატეგორიას, რომელნიც შეიძლებდნენ პროფესიულ კავშირებთან შეთანხმებას.

— მერე რა მოხდა? — ამომხდა მე.

— ერთ დილას, — განაგრძო მან და თვალებში ცრემლი ჩაუდგა, — კასპერ ბლოჯეტი აუზში მკვდარი ნახეს. ოჯახმა, — მისმა კი არა, გრეიბორნის ოჯახმა გამოაქვეყნა ცნობა ბლოჯეტის თვითმკვლელობის შესახებ.

— მერედა განა ტყუილი იყო?

— რაც არ უნდა გაუჭირდეს ლომთევზას, თავს ჯერ მოიკლავს, — აიჩეჩა მხრები მთხრობელმა. — აუზის წყალი მოწამლული იყო და სხვა არაფერი!

— კი, მაგრამ აკი წეღან მითხარით, რომ დღე და ღამე ყარაულობდით მას?

— რასაკვირველია! და სწორედ მაგიტომ იყო ადვილი იმის ჩადენა. მე თვითონ მოვწამლე იგი. — მას ხმა აუთრთოლდა. — გესმით? ვეღარ ავიტანე ბლოჯეტის ასეთი დაქვეითება ისეთი შესანიშნავი აღმავლობის შემდეგ. ვიცოდი მისი ხასიათი და დავასკვენი, რომ იგი საიქიოში უფრო ბედნიერი იქნებოდა ვიდრე... — აქ მან წამოისლუკუნა და ცრემლები მოიწმინდა — ...ვიდრე აქ, თუ მას პროფკავშირებთან ექნებოდა საქმე. ეჰ, ბარემ ბევრჯერ დავაპირე დანაშაულში გამოტეხა, მაგრამ ვიცი, რომ არ არსებობს კანონი, რომელიც ლომთევზას სიკვდილისათვის სჯიდეს ვისმე, თუკი ლომთევზა ზოოპარკს არ ეკუთვნის.

— კი, მაგრამ კასპერ ბლოჯეტის მოკვლა ხომ პენსიას დაგაკარგვინებდათ?

— ნურას უკაცრავად! — გამოცოცხლდა ჩემი თანამოსაუბრე. — ანდერძში წერია, რომ მე პენსიას მივიღებ მანამ, სანამ კასპერ ბლოჯეტი ჩემთან იქნება, ის კი გამუდმებით ჩემთან იმყოფება! — ამ სიტყვებზე ჩემმა ახალმა ნაცნობმა პალტო გადაიხსნა და დამანახვა შიგნიდან ამოკრული ლომთევზას ყავისფერი ბეწვი, რომელიც საკმაოდ რიგიანად გამოიყურებოდა.

— სანამ ამ პალტოს ვატარებ, პენსიას ვერავინ წამართმევს! — ესა თქვა, მძიმედ ამოიხვნეშა, პალტო შეიკრა, ადგა და არეული ნაბიჯებით გაემართა გასასვლელისაკენ. ვისკის საფასურის გადახდა მე დამაკისრა.

თარგმანი **ნინო ლოლობერიძისა**





# ლამისყანაში



**შალვა გოგოლაური**

სახელოვანი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის დროს ლამისყანა პატარა სოფელი ყოფილა. ბანიანი სახლებით მოფენილ ამ სოფელში მხოლოდ თავად ერისთავებისა და ორბელიანების სასახლეები ბრწყინავდნენ. უილაჯო ცხოვრებით დაბეჩავებულ „მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა" ქოხმახებში კი ისე, როგორც სხვა სოფლების გლეხთა მიწურებში, მწუხარება და კაეშანი სუფევდა.

ახლა სულ სხვაა...

მდინარე ქსნის მარჯვენა ნაპირის ამაღლებულ ბექობზე მდებარე ლამისყანაში მოჩანს ჭერმისფერ კრამიტით გადახურული ლამაზი ორსართულიანი სახლები. ეს კოლმეურნეთა ბინებია, სადაც ახალი მჩქეფარე ბედნიერი ცხოვრებაა დამკვიდრებული.

გაიზარდა სოფელიც. თუ დავით გურამიშვილის ეპოქაში, როცა „ქართლის ჭირსა ვერვინ მოთვლიდა", ლამისყანაში მხოლოდ ასი კომლი ითვლებოდა, — ახლა ამ ბედნიერ საკოლმეურნეო სოფელში 400-ზე მეტი კომლი ცხოვრობს.

მარტო მოსახლეობის რიცხვით კი არ შეიცვალა სოფელი... არამედ თავისი კულტურითაც ამაღლდა. მოხუცი კოლმეურნეები ნაღვლიანად იგონებენ იმ დროს, როდესაც ლამისყანაში არც ერთი სკოლა, ბიბლიოთეკა და საავადმყოფო არ იყო.

— ორი ეკლესია გვქონდა, სკოლა კი არა,—მოგვითხრობენ ლამისყანელები.

ახლა სოფელში საშუალო სკოლა, საექიმო პუნქტი, საავადმყოფო, ბიბლიოთეკა, კავშირგაბმულობის განყოფილება, მაღაზია და მრავალი სხვა დაწესებულებაა.

ლამისყანა სამშობლოს წინაშე ვალმოუხდელი როდია. დიდ სამამულო ომში 130-ზე მეტი ლამისყანელი ვაჟკაცი მონაწილეობდა... მრავალმა მათგანმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი...

მოხუცმა კოლმეურნემ დავით გარაყანიძემ ფრონტზე მყოფ შვილს ვალერიან გარაყანიძეს თავისი დანაზოგით ტანკი უყიდა. პატრიოტი მამის მიერ შეძენილი ტანკით ლამისყანელი ტანკისტი ვალერიან გარაყანიძე მუხანათ მტრებს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოდა...

მოხუცი მამა დავით გარაყანიძე სოფელში ღრმა პატივისცემით სარგებლობს. ასეთი პატრიოტი ერთი და ორი კი არა ჰყავს ლამისყანას. მრავალი სახელოვანი შვილით ამაყობს ქართლის ეს სოფელი...

ლამისყანა ოდითგანვე განთქმული იყო თავის ვენახებით... აქაური ღვინო მთელ ქართლშია ცნობილი. მარტო კოლმეურნეობას კი არ აქვს უხვმოსავლიანი ზვრები. აქ თითქმის ყველა კოლმეურნეს სანაქებო ვენახი გაუშენებია. ოცი-ოცდაათი კოკა ღვინო ახლაც მრავალ კოლმეურნეს უდგას მარანში. ეს მათი შეძლებულობის ერთ ერთი დამხმარე წყაროა.

პური და ღვინო გამოულეველი აქვთ ლამისყანელებს. წარსულში ღატაკი მშრომელები, საკოლმეურნეო წყობილების დროს ბედნიერად და საამურად ცხოვრობენ.

მევენახეობის გარდა ლამისყანის კოლმეურნეობის ეკონომიკაში დიდ როლს ასრულებს მეჭარხლეობაც. ამ ტექნიკური კულტურის მოვლა-პატრონობას კარგად არიან დაუფლებული კოლმეურნეები.

ლამისყანელი ილიკო მაჭარაშვილი, ზაქარია ბეგიაშვილი, ანტონ ვანიშვილი, ვახტანგ ბეინაშვილი, პაატა ღვინიაშვილი და სხვები მთელ საქართველოში სახელგანთქმული მეჭარხლეები არიან. ილიკო მაჭარაშვილი და ზაქარია ბეგიაშვილი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობდნენ, როგორც შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის ოსტატები. მათ მკერდს ახლაც ამშვენებს საგამოფენო კომიტეტის ჯილდოები: ვერცხლის დიდი მედლები.

გასულ წელს მერგოლეურმა ილიკო მაჭარაშვილმა სამნახევარი ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე 550 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანა, რითაც მან კვლავ მოიპოვა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის უფლება. წელს კიდევ უფრო ბეჯითად მუშაობენ ილიკოს რგოლის კოლმეურნეები. ისინი იბრძვიან ჰექტარზე 700-800 ცენტნერი მოსავლის მოსაყვანად.

ვიდრე სოფელ ლამისყანაში შეხვალთ „შვინდავაკის" გზით, „ნინოწმინდის" მოჩუხჩუხე წყაროს დაყოლებით მწვანე ხავერდივით მოჩანს შაქრის ჭარხლის პლანტაცია. ეს ილიკოს რგოლის კოლმეურნეთა ნაამაგარია. ჭარხლის ბრტყლად გადაშლილ ფოთლებს დაუფარავს ველი. ნოყიერ ნიადაგში კი მსხვილდება ამ ტექნიკური კულტურის შაქროვანი ბოლქვები.

ლამისყანის კოლმეურნეობას ყოველწლიურად 32 ჰექტარზე მოჰყავს შაქრის ჭარხალი. მარტო მეჭარხლეობამ გასულ წელს ათეული ათასი მანეთი და 15 ცენტნერი შაქარი მისცა.

ლამისყანაში წელს 200 ჰექტარზე მეტი „თეთრი დოლის" ყანა მოიმკეს კოლმეურნეებმა, მაგრამ მათ სიმინდის ყანებიც კარგი აქვთ. შარშან 60 ჰექტარზე ეთესათ სიმინდი, წელს კი 80 ჰექტარზე უთესიათ. კოლმეურნეები იმედს გამოთქვამენ, რომ ჰექტარზე 30-40 ცენტნერ სიმინდს აიღებენ.

— თეზი-ოკამის სარწყავი არხი, რომელიც ჩვენი მინდვრების თავზე გადის, დიდი მონაპოვარია მთელი ამ მხარის კოლმეურნეობებისათვის, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე არჩილ ღუდუშაური, — მაგრამ მისი მნიშვნელობა უფრო დიდია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ არხის წყლის ბაზაზე აშენდა იგოეთჰესი, რომელიც გააჩირაღდნებს შვიდ-რვა სოფელს, მათ შორის ლამისყანასაც.

არჩილ ღუდუშაურმა ელექტროხაზისაკენ გაიშვირა ხელი: — აი უკვე მზადაა ქსელი... ქსნის წყალი არხიდან გადაეშვება იგოეთის ფლატეზე და მოძრაობაში მოიყვანს ტურბინებს... ელექტროვარსკვლავებით აკიაფდებიან ოკამის, ლამისყანის, თეზის, ქვემოჭალის და სხვა სოფლების მცხოვრებთა ბინები.

ლამისყანის კოლმეურნეობამ წელს დაამთავრა მეფრინველეობის ფერმის ახალი ბინის აგება. ახლა საძირკველი ჩაუყარეს მეძროხეობის ტიპიური ბოსლის მშენებლობას, რომელიც 100 ძროხისთვისაა განკუთვნილი.

ლამისყანის თითქმის ყველა უბანში მოჩქეფენ ანკარა წყაროები. ეს კოლმეურნეობის ინიციატივით გაკეთდა. ხვითის მიწების ბოლოდან გამოიყვანეს განთქმული წყაროს წყალი, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს სოფელს.

ორბელიანების ყოფილ სასახლეშია მოთავსებული ლამისყანის საავადმყოფო. ამ საავადმყოფოს ექიმი მარგალიტა კაკაბაძე უკვე თვრამეტი წელიწადია, რაც აქ მუშაობს. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე იგი სოფელში გაეშურა სამუშაოდ. ლამისყანაში მან მალე სახელი გაითქვა, როგორც გულისხმიერმა და კეთილშობილმა ექიმმა. „სოფელს დიდი თვალი და ყური აქვსო", — ამბობს ხალხი. აკი არც გამოჰპარვია მას ექიმ-მარგალიტას კარგი-ქალობა.

— ჩვენი ექიმის ბადალი არავინაა, — ამბობს მოხუცი კოლმეურნე ფრიდონ ბურნაშვილი, — მან დამიბრუნა სიცოცხლე. იმის წყალობითაა, რომ ცოცხალი ვარ.

და განა მარტო ფრიდონია მისი მადლიერი?...

ექიმ ქალს, პირად ბლოკნოტში ჩანიშნული აქვს მრავალი გვარი და სახელი, რომელთაც მძიმე, უიმედო ავადმყოფობაში უშველა. ტრაქტორისტი გიორგი მაჭარაშვილი ახლაც იგონებს, თუ როგორ დააბრუნა მკურნალმა მარგალიტა კაკაბაძემ „საიქიოდან".

კოლმეურნე ივანე იაშვილი შვიდჯერ იყო ავად ფილტვების ანთებით, შვიდჯერვე მარგალიტამ გადაარჩინა.

სოფელმაც ღირსეულად დააფასა ექიმი მარგალიტა კაკაბაძე. მისცა საკარმიდამო ადგილი. დაეხმარა ორსართულიანი სახლის აშენებაში. ამ თვრამეტი წლის წინათ ახლად კურსდამთავრებული ექიმი მარგალიტა კაკაბაძე ლამისყანაში ოჯახს მოეკიდა. ახლა ის ორი შვილის დედაა და დიდად კმაყოფილია სოფლად მუშაობით.

სოფელ ლამისყანასთან მჭიდროდაა დაკავშირებული დიდი ქართველი მწერლის დავით გურამიშვილის სახელი. როგორც ცნობილია, პოეტი ლამისყანაში ცხოვრობდა. აკი თვითონაც ამბობს:

„მო ყური მიგდე, მოგითხრობ
ტყვედ ჩემსა წამოყვანასა;
ქვეყნის წახდენის მიზეზით
ვცხოვრობდი სხვის ქვეყანასა,
სადაც უხმობენ სახელად
ქსნის ხევზე ლამისყანასა,
მუნ მოყვრის მუშას თავს ვადექ,
მკას უპირებდით ყანასა".

ქართველ მწერალთა ჯგუფმა 1946 წელს ლამისყანის ჭალებში აღმოაჩინა ის წყარო, საიდანაც ლეკებმა მოიტაცეს და ტყვედ წაიყვანეს პოეტი. დავით გურამიშვილი ნიშანდობლივ მიგვითითებს ამ წყაროზე.

„მუნ ახლო წყარო დიოდა,
მასთან ტყე იყო ხშირადო,
იქ მოგვეპარნენ, დაგვისხდნენ
თხუთმეტი კაცი მზირადო,
ავიხსნ თოფი და ხმალი,
მივყუდე მუხის ძირადო,
იმ წყალზე პირის საბანად
მე მიველ თავის ჭირადო".

ახლა ამ წყაროსთან იმ საუკუნოვანი მუხის ნაფესვარზე ახალი ყლორტებია ამოყრილი. დავით გურამიშვილის წყაროსთან ხშირად ჩამოდიან ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის მწერლები. არა ერთხელ მოუყვანიათ ლამისყანაში სტუმრად რუსი, უკრაინელი და სხვა მოძმე ხალხების მწერლები. აქ იყვნენ წელს სტუმრად ჩამოსული ადიღეელი, ავარელი და ლეკი პოეტები. ახლა ისინი მოყვრულად მოვიდნენ იმ წყაროსთან, საიდანაც მათმა წინაპრებმა მტრულად მოიტაცეს დავით გურამიშვილი.

ლამისყანელი კოლმეურნეები მთვარიან ღამეში ხშირად ისვენებენ დავით გურამიშვილის წყაროსთან და იხსენებენ საქართველოს ამაგდარი პოეტის ტანჯულ ცხოვრებას.

დავით გურამიშვილის საიუბილეო თარიღის მოახლოებასთან დაკავშირებით საქართველოს კულტურის სამინისტრო დავით გურამიშვილის წყაროსთან აკეთებს მემორიალურ დაფას.



**ლამისყანის საერთო ხედი.**

ფოტო შ. ჩხეტიანისა

# ექიმთა ბრიგადა კოლმეურნეობაში

მკათათვე იდგა. მთელი სოფელი საკოლმეურნეო მინდვრებზე გამოსულიყო, რომ დროზე და უდანაკარგოდ აელოთ პურის წლევანდელი მოსავალი. ქალი თუ კაცი შრომის ფერხულში ჩაბმულიყო, ყველა თავდადებით მუშაობდა მთელი წლის ნაამაგარის მოსაწევად.

და ამ ფერხულს, ამ შრომის დღესასწაულს შორიდან შესცქეროდნენ თავიანთი სახლის აივნებზე მოფუსფუსე დიასახლისები, ის ქალები, რომელთაც ჩვილი ბავშვები ჰყავდათ და მიუხედავად დიდი სურვილისა, არ შეეძლოთ დახმარებოდნენ კოლმეურნეობას. აბა, რა გული გაუძლებდა შრომისმოყვარე ქალებს, მაგრამ ვისთვის დაეტოვებინათ მოსავლელად ცეროდენა ბავშვები? არა და, სოფელს მუშახელი აკლდა, რამდენი რამ იყო გასაკეთებელი. კოლმეურნეობას ათ დღეში უნდა აელო მოსავალი და თუ ამ საქმეში დიასახლისები არ ჩაებმებოდნენ საეჭვო ხდებოდა დავალების დროულად შესრულება.

შარშან, მოსავლის აღების დღეებში, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბავშვთა რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოს კარგი თაოსნობა გამოუჩენია: საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობა „განთიადში" გაუხსნია სანიმუშოდ მოწყობილი საბავშვო ბაგა-ბაღი, რომლის მეოხებით ჩვილბავშვიან დედებს საშუალება მიეცათ ნაყოფიერად ემუშავნათ კოლმეურნეობაში. ბაგა-ბაღში ხშირად ჩამოდიოდა ექიმთა ბრიგადა თბილისიდან, ამოწმებდა ბავშვთა ჯანმრთელობას, ადგილზე ატარებდა მკურნალობას. იმ შემთხვევაში კი, როცა სტაციონარული მკურნალობა იყო საჭირო, ბავშვები თავიანთი ტრანსპორტით მიჰყავდათ თბილისში სამკურნალოდ.

კოლმეურნე მარო მღვდელაძეს შარშან მძიმე ავად ჰყავდა პატარა დოდო. შეწუხებულმა დედამ არ იცოდა რა ექნა. სწორედ ამ დროს ექიმთა ბრიგადაც ჩამოვიდა ოლღა კვირკველიას მეთაურობით. მისმა გულისხმიერმა მზრუნველობამ პატარა დოდო მალე წამოაყენა ფეხზე.

განთიადელ კოლმეურნეებს მოსავლის აღების ამ დაძაბულ დღეებში კვლავ გაახსენდათ თავიანთი ძველი შეფები. ისევ დიასახლისებმა ითავეს, დელეგაცია გაგზავნეს თბილისში. სხვებმა კი ბაგა-ბაღისთვის განკუთვნილი ოთახების დალაგებასა და დასუფთავებას მიჰყვეს ხელი. შეფებმა პასუხი არ დააყოვნეს.

დიდი სამხრობის ჟამი იყო, როცა ექიმ ოლღა კვირკველიას ბრიგადა კოლმეურნეობა „განთიადში" მოვიდა. გულთბილი მისალმება და ამბის გამოკითხვა დიდხანს გაგრძელდა. ოლღამ ყველა დიასახლისის სახელი იცოდა, მაგრამ პირველ რიგში კოლმეურნე მარო მღვდელაძე და მისი პატარა დოდო მოიგონა.

— როგორ არის ჩემი ენატიკტიკა გოგონა! — ალერსით იკითხა მან.

საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა. შეფები პირდაპირ საქმეს შეუდგნენ.

დაიწყო საპატიო მოვალეობის შესრულება, კოლმეურნეობა „განთიადში" ჩამოსული ექიმთა ბრიგადა ბაგა-ბაღის სუფთა ოთახებში სინჯავდა ჩვილ ბავშვებს. მათი დედები კი სხვა კოლმეურნეებთან ერთად მინდვრად გასულიყვნენ და უხვსა და მდიდარ მოსავალს იღებდნენ ბეღლებში დასაბინავებლად.

ზ. ჯამასპიშვილი,

ვ. შავგულიძე

# ფურცლები წარსულიდან

ვლადიმერ ზამბახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იყო სწორედ ერთი საუკუნის წინათ. 1855 წლის გაზაფხულზე, თბილისში გამოვიდა რუსულ ენაზე შედგენილი პირველი ლიტერატურული ალმანახი, რომელსაც ასეთი გამოცემისათვის ოდნავ უცნაური სახელი — „ზურნა" — ეწოდებოდა. მისი რედაქტორი, იმ დროს ცნობილი ლიტერატორი ე. ვერდერევსკი, კრებულის წინასიტყვაობაში მოკრძალებით იუწყებოდა: ასეთი სახელი ჩვენს პირმშოს იმიტომ შევარქვით, რომ ლიტერატურულად იგი ისევე უსრულოა, როგორც მუსიკალურად ზურნა, და ვიმედოვნებთ, მკითხველიც ამიტომ ზოგიერთ ნაკლს გვაპატიებსო.

„ზურნა" ამიერკავკასიის ალმანახი იყო, თუმც მასში მოთავსებული მასალის უმეტესი ნაწილი საქართველოსა და თბილისს შეეხებოდა ან მათთან იყო ასე თუ ისე დაკავშირებული. ალმანახის თანამშრომლების დიდ ნაწილს ქართველი მწერლები და მოღვაწენი შეადგენდნენ (რაფ. ერისთავი, ნ. ბერძნიშვილი, ი. ცისკარიშვილი, მელანია ბადრიძე და სხვ.). მათთან ერთად ამ კრებულში მონაწილეობდნენ იმ დროს კარგად ცნობილი და, აგრეთვე, ლიტერატურულ ასპარეზზე ახლადგამოსული რუსი, აზერბაიჯანელი და სხვ. მწერლები (ვლ. სოლოგუბი, მირზა ფატალი-ახუნდოვი, პ. შიშკოვი, ფ. ბობილევი, დუნკელ-ველინგი, მხატვარი გაგარინი და სხვ.).

საქართველოს და ქართველი ხალხისადმი, ჩვენი ქვეყნის ლამაზი ბუნებისადმი სიყვარულის გრძნობითაა გამთბარი ამ კრებულში მოთავსებული თვითეული მოთხრობა, ნარკვევი, ლექსი და პიესა. დიდი სიფაქიზისა და ტაქტის დაღი აზის ამ ნაწარმოებში გამოთქმულ ყოველ აზრს, რომელიც ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ ყოფა-ცხოვრებას ან მის ისტორიულ წარსულს და ზნე-ჩვეულებებს ეხება. ცალკეულ ნაწარმოებებში წარმტაცადაა დახატული საქართველოს ბედნიერი მომავლის სურათებიც.

ამასთან ერთად კრებულს თითქმის თავიდან ბოლომდე გასდევს სოციალური უკუღმართობისა და ამორალობის წინააღმდეგ ბრძოლის ნათელი აზრი, რის გამო მან თავის დროზე დაიმსახურა როგორც საქართველოს, ისე რუსეთის მოწინავე ლიტერატურული წრეების ყურადღება.

ეს მოტივი უდევს საფუძვლად ალმანახში მოთავსებულ პირველსავე ნაწარმოებს — პიესა „თბილისის მუშას", რომელშიაც პატიოსანი მშრომელი, მეკურტნე ზურაბი ებრძვის ბოროტმოქმედ, ავსა და გაიძვერა პოლოსას და ამარცხებს მას. ეს ნაწარმოები მკითხველის ყურადღებას იქცევს არა მარტო თავისი იდეით, არამედ კომპოზიციითაც. პიესის ავტორს მოქმედ პირთა ხასიათის გასახსნელად მოხდენილად აქვს გამოყენებული გრ. ორბელიანისა და ალ. ჭავჭავაძის სატრფიალო ლექსები, რომელთა ქართული ტექსტი რუსული ასოებითაა დაბეჭდილი კრებულში, ხოლო შინაარსის რუსული თარგმანი სქოლიოშია ჩამოტანილი.

ალმანახში მოთავსებულია რუსი პოეტების — ვ. სოლოგუბის, ფ. ბობილევის (გაზეთ—„კავკაზის" რედაქტორის. — ვ. ზ.), ე. ვერდერევსკის („ზურნის" რედაქტორის — ვ. ზ.), შიშკოვისა და სხვ. ლექსები. აქვეა გამოქვეყნებული ჩვენში კარგად ცნობილი მხატვრის, გაგარინის მოგონება ცნობილ რუს მხატვარ ბრიულოვზე. ავტორი აქ ორიოდე შტრიხით იძლევა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების დახასიათებასაც. მწერალ დუნკელ-ველინგის მიერ ლამაზადაა დამუშავებული სამშობლოსა და ხალხისათვის თავდადებულ გმირზე, რევაზ გოდაბრელიძეზე თქმული იმერული ლეგენდა. ქართველი ხალხისადმი სიყვარულითაა გამსჭვალული დიდი აზერბაიჯანელი პოეტისა და ფილოსოფოსის, მირზა ფატალი-ახუნდოვის ლექსი „მზეთუნახავის იდეალი აღმოსავლური გაგებით", რომელშიაც ასეთ იდეალად დახატულია იმერელი ქალი. ცნობილი ეთნოგრაფის ი. ცისკაროვის (ი. ცისკარიშვილის) „სიყვარულის ვაზი" წარმოადგენს ლიტერატურულად დამუშავებულ ქისტურ ლეგენდას ჭაბუკ ომარ-ალისა და ქალწულ გაზელოს უბედურ სიყვარულზე. ამავე თემას ეხება ცნობილი ისტორიკოსის ნ. ბერძენოვის (ნ. ბერძნიშვილის) მიერ დამუშავებული ლეგენდა „ოსეთის სათო". გრ. სტენბიუკის ნარკვევში — „ალა მაჰომედ შაჰი შუშაში" აწერილია სისხლიანი ტირანის მოკვლის ამბავი.

ალმანახის ნამდვილი მშვენებაა რაფ. ერისთავის მოთხრობა „ბეჩავი", რომელშიაც ავტორი სასტიკად გმობს მთაში შემორჩენილ სისხლის აღების მავნე ჩვეულებას. ამ მოთხრობის ქართული თარგმანი (მთარგმნელი ირ. ქავჟარაძე — ვ. ზ.) პირველად 1955 წელს, ე. ი. გამოქვეყნებიდან ასი წლის შემდეგ, დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში" (№ 5). აღსანიშნავია, რომ ქართველი პოეტის ამ ლამაზმა ქმნილებამ იმდროინდელი მკითხველებისა და ლიტერატურული საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია. ეს პატარა ნაწარმოები დიდი ინტერესითა და გატაცებით იკითხება ამჟამადაც.

მელანია ბადრიძე გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე და გამოჩენისთანავე მკითხველთა ყურადღება დაიმსახურა. გაზეთი „კავკაზი" აღტაცებით წერდა ბადრიძის, როგორც პირველი ქართველი მწერალი ქალის შესახებ. ეს, ცხადია, გაზეთის შეცდომა იყო, რადგან, როგორც ვიცით, ქართულ მწერლობაში მელანია ბადრიძეზე ადრე ბევრი სხვა ქართველი ქალი მოღვაწეობდა. მელანია ბადრიძის ღვაწლის შეფასებაში იმ დროს უფრო სწორი აზრი გამოთქვა ე. ვერდერევსკიმ, რომელიც „ზურნისადმი" წამძღვარებულ წინასიტყვაობაში შენიშნავდა, რომ ეს იყო პირველი ქართველი მწერალი ქალი, რომელმაც თავისი ნაწარმოები რუსულად დაწერა, თუმცა თავდაპირველად იგი რუსულ სიტყვებს ქართული ასოებით გამოხატავდაო.

მელანია ბადრიძემ (მისი ფსევდონიმია „მომავალი ქართველი მწერალი ქალი") ალმანახ „ზურნაში" გამოაქვეყნა რუსულად დაწერილი მოთხრობა „კატო და ანა", რომელიც შეეხება რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში დაწყებულ ძველი, პატრიარქალური ყოფა-ცხოვრებისა და ჩვეულებების მსხვრევას.

ქართველი ხალხისა და მისი შემოქმედებითი ენერგიისადმი დიდი რწმენითაა გამსჭვალული იმ დროს ცნობილი რუსი მწერლის, ვლ. სოლოგუბის ორმოქმედებიანი ხუმრობა „ქორწილის წინაღამით ანუ საქართველო 1000 წლის შემდეგ", რომელშიაც ავტორს შესანიშნავად აქვს გადმოცემული პოეტური ფანტაზიით დახატული ჩვენი ქვეყნის მეურნეობის, მისი კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების დიდი, საოცნებო მომავალი.

აღსანიშნავია, რომ ვ. სოლოგუბის ამ პიესამ მაშინ ჩერნიშევსკის მოწონება დაიმსახურა. დიდი კრიტიკოსი წერდა, რომ ეს ნაწარმოები „ალმანახის ერთი საუკეთესო სამკაულთაგანია" და იგი „თავისუფლად შეგვიძლია დავაყენოთ ისეთი ქმნილების გვერდით, როგორიცაა შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი".

ამას ამბობდა ჩერნიშევსკი ალმანახ „ზურნას" შესახებ დაწერილ იმ რეცენზიაში, რომელიც 1855 წლის ივლისში დაიბეჭდა ჟურნალ „სოვრემენნიკში".

ხსენებულ სტატიაში დიდი რუსი რევოლუციონერი განსაკუთრებულ პატივისცემასა და სიყვარულს ამჟღავნებს საქართველოსა და ქართველი მწერლების, კერძოდ, ახალგაზრდა ქართველი მწერალი ქალის, მელანია ბადრიძის შემოქმედების მიმართ. ამ სიყვარულით შთაგონებული იგი წერდა: „ჩვენ გვიხარია, რომ თბილისის მკვიდრთა შორის გამოჩნდნენ ლიტერატურულ შრომას ესოდენ დაწაფებული ადამიანები... გაივლის კიდევ რამდენიმე წელი და ზოგი მათგანი (ე. ი. „ზურნის" თანამშრომელთაგანი — ვ. ზ.) მართლაც ბრწყინვალე მწერალი დადგება. ამ თვალსაზრისით ჩვენ გვახარებს გამოჩენა ქართველი რომანისტი ქალისა (იგულისხმება მელ. ბადრიძე. — ვ. ზ.), რომელიც მართლაც კარგი ენით წერს... ვემშვიდობებით რა „ზურნას", ვიმედოვნებთ, რომ თბილისი უახლოეს დროში მოგვცემს სხვა ახალ კრებულებსა და ნაწარმოებებს, რომლებიც ღირსეულად გაუძლებენ ლიტერატურულ განხილვას".

ეს იყო დიდი რუსი მწერლისა და მოაზროვნის ერთგვარი წინასწარმეტყველება იმ ახალ აღმავლობაზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაში დაიწყო გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან.

ალმანახ „ზურნას" გარეკანი და ტიტული.



# მიწისძვრები

მიწისძვრა! ამ სიტყვასთან დაკავშირებულია ქალაქებისა და სოფლების ნგრევა, ვეებერთელა ნაპრალების გაჩენა, ადამიანთა მსხვერპლი. ზოგჯერ მიწისძვრას ადარებენ ზღვის ღელვას, რაც საფუძველს როდია მოკლებული. ხომ საშინელია და მრისხანე მღელვარე ზღვა თავისი ვეებერთელა ზვირთებით, მაგრამ გაცილებით უფრო საშინელია, როცა ტორტმანებს არა წყლის დაუოკებელი ზვირთები, არამედ უფრო მყარი მასა — ხმელეთი. ადამიანს მიწის „ღელვა", ე. ი. მიწისძვრა, გაცილებით უფრო აძრწუნებს ვიდრე ზღვის ღელვა.

მიწისძვრას — ბუნების ამ მრისხანე მოვლენას, ადამიანი ძველთაგანვე იცნობდა. არა ერთი და ორი ადამიანი, არა ერთი და ორი ქალაქი თუ სოფელი გამხდარა მისი მსხვერპლი.

ცხადია, რომ პრიმიტიულად მოაზროვნე ადამიანს არ შეეძლო ეპოვა ამ კატასტროფის ნამდვილი მიზეზი. ის მიწისძვრას ხსნიდა ამქვეყნიური ცოდვებით დამძიმებულ ადამიანთათვის ზებუნებრივი ძალების, ღმერთის მიერ მოვლინებულ სასჯელად.

დროთა განმავლობაში ადამიანს თანდათან უგროვდებოდა ჭეშმარიტი ცოდნა ამ მოვლენის შესახებ და მისი გონება თანდათან თავისუფლდებოდა ფანტასტიკური წარმოდგენებისაგან. მიწისძვრის შესახებ შეიქნა მეცნიერების ცალკე დარგიც კი, რომელიც სპეციალურად სწავლობს ამ მოვლენას: ამ მეცნიერებას სეისმოლოგია ეწოდება (ბერძნულად სეისმო— რყევა).

მაგრამ ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს თანამედროვე ადამიანი სავსებით დაზღვეული იყოს ცრურწმენისაგან და ფანტასტიკური შეხედულებებისაგან მიწისძვრის შესახებ. ზოგიერთ ქვეყანაში ადამიანებს ჯერ კიდევ ღრმად სჯერათ, მიწისძვრას რაღაც ზებუნებრივი ძალები იწვევენ. მიწისძვრების კლასიკურ ქვეყანაში — იაპონიაში, დღემდე შემორჩენილა თქმულება, თითქოს ტოკიოს ახლოს, უზარმაზარი კლდის ქვემოდ ცხოვრობდეს ობობა-გიგანტი, მისი ყოველგვარი მოძრაობისაგან კი მიწა იძვრის და სხვ. ასეთსავე ფანტასტიკურ გულუბრყვილო თქმულებებს შევხვდებით ინდოელებში, მალაელებში და სხვა ხალხთა შორის.

იბადება კითხვა: რა იწვევს იმ მყარი მასის შეშფოთებას, რყევას, რომელსაც მიწა ეწოდება? ამ კითხვაზე მეცნიერებას დღეს გარკვეული პასუხი მოეპოვება.

ჩვენ, ადამიანები, ყოველდღიური დაკვირვებების შედეგად მივეჩვიეთ მიწის ქერქის მშვიდ მდგომარეობას. სინამდვილეში ეს ასე როდია: მიწის ქერქი არ არის მშვიდი, მყარი მასა. დედამიწის სიღრმეში წარმოიქმნებიან ერთგვარი ძალები, რომლებიც დრეკადი ძვრების სახით გადაეცემიან მიწის ქერქს და იწვევენ მის შერყევას, ბიძგებს. მიწის სიღრმეში არსებული გამლვალი მასა, რომელსაც მაგმა (ბერძნულად მაგმა — ცომს ნიშნავს) ეწოდება, დროდადრო დიდი წნევის შედეგად დედამიწის ზედაპირზე ამოხეთქავს.

ეს არის ვულკანური ამოხეთქვა, რომელსაც თან ახლავს ქერქის შერყევა, მიწისძვრა. მაგრამ მიწისძვრა ყოველთვის როდია დაკავშირებული ვულკანურ მოქმედებასთან. ზოგჯერ მიწისძვრას სხვაგვარი ხასიათი აქვს. იგი შეიძლება იყოს ჩაქცევითი ხასიათისაც. ცნობილია, რომ წარმოიშობა უზარმაზარი გამოქვაბულები, რომელსაც ქვემოდან აკრავს ქერქის არამყარი მასა. ზოგჯერ ეს გამოქვაბულები ჩაიქცევა, რასაც თან სდევს მიწის შერყევა, მიწისძვრა. მართალია, ამ სახის მიწისძვრა დიდ ფართობზე არ ვრცელდება, მაგრამ სამაგიეროდ ის გამოირჩევა დამანგრეველი ხასიათით.

არსებობს მიწისძვრის მესამე სახეც, ე. წ. ტექტონიკური მიწისძვრები. ნიადაგის რყევა, რომელიც წარმოიშობა ქანების ტექტონიკური გადაადგილების შედეგად, მიწის ქერქში ქმნის ე. წ. ტექტონიკურ მიწისძვრებს.

დამტკიცებულია, რომ დედამიწის ქერქის ზოგიერთი ნაწილი ვერტიკალურად ეშვება ძირს, ხოლო ზოგიერთი ნელნელა იწევს ზევით. ასეთი მოძრაობანი იწვევენ ქერქის შემადგენელ მთავარ ფენათა გაღუნვას და ფორმის შეცვლას. ხშირად ფენები სწრაფად გადაადგილდება ურთიერთის მიმართ, რითაც ირღვევა მათი მთლიანობა. ამას თან სდევს მიწისძვრა; ტექტონიკური მიწისძვრები დიდ ფართობზე ვრცელდება, ეს მიწისძვრები ყველაზე მრისხანე და დამანგრეველია და შეადგენს ყველა დიდ მიწისძვრათა 90 პროცენტს.

ყოველი მიწისძვრა ერთნაირი როდია თავისი ძალით და მოქმედების რადიუსით. დიდი ძალის მიწისძვრების წარმოშობის ცენტრი (ანუ კერა) არ მდებარეობს ღრმად მიწის სიღრმეში და, პირიქით, მცირე ძალის მიწისძვრების კერა უფრო ღრმად მდებარეობს. ასეთი მიწისძვრა უფრო დიდ ფართობზე ხდება, ვიდრე ძლიერი მიწისძვრის გავრცელება.

მიწისძვრას თან ახლავს დარტყმები ან ბიძგები, რომლებიც გარკვეულ ადგილებში წარმოიქმნებიან. მიწისძვრის წარმოქმნის ადგილს, კერას, ჰიპოცენტრი ეწოდება, ხოლო იმ ადგილს, რომელიც პირდაპირ ჰიპოცენტრის ზემოთ ძევს მიწის ზედაპირზე — ეპიცენტრი. ამა თუ იმ მიწისძვრის ჰიპოცენტრის თუ ეპიცენტრის განსაზღვრა შეიძლება სპეციალური ხელსაწყოების საშუალებით. ახლა დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ მიწისძვრების უმრავლესობათა სიღრმე არ აღემატება 50-60 კილომეტრს. ჩვეულებრივად მიწისძვრების ძალას ან უკეთ, იმ ბიძგების ძალას, რომლებიც სიღრმეში წარმოიშობა, ბალებით ზომავენ. 1-ბალიან მიწისძვრებს მხოლოდ მგრძნობიარე აპარატები შეიგრძნობენ, 5-ბალიანი მიწისძვრის დროს მძინარე ადამიანებს ეღვიძებათ, დაკიდებული საგნები ქანაობენ, ქანქარიანი საათები ჩერდება, 10-ბალიანი მიწისძვრის დროს ჩნდება ნაპრალები მიწის ქერქში, ხოლო 12-ბალიანი მიწისძვრა კატასტროფულია: ინგრევა შენობები, მთებში ჩნდება ხრამები, გადაადგილდება მიწის ქერქის დიდი უბნები და ა. შ.

12-ბალიანი მიწისძვრების შედეგად წარმოშობილი ნაპრალები ფართოა და ღრმა. ამ ნაპრალებში იქცევა სახლები და იჩეხებიან ადამიანები. 1884 წლის 22 დეკემბერს ანდალუზიაში (ესპანეთი) მომხდარი მიწისძვრის შედეგად წარმოიშვა ნაპრალები, რომელთაგან ზოგის სიგრძე 3 კილომეტრს უდრიდა, სიგანე 4 მეტრს და სიღრმე 10 მეტრამდე აღწევდა. 1868 წლის 21 ოქტომბერს სანფრანცისკოს მიწისძვრის დროს წარმოშობილი ნაპრალების სიგანე 12-დან 15 მეტრს აღწევდა.

სხვადასხვაგვარია მიწისძვრის გავრცელების ფართობი. ლისაბონის (პორტუგალია) მიწისძვრამ 1755 წ. მთლიანად გაანადგურა თითქმის მთელი პორტუგალია და დააზიანა მთელი ესპანეთი. ეს მიწისძვრა ძალზე დიდ ფართობზე გავრცელდა; კერძოდ, იგი გავრცელდა მთელი დედამიწის თითქმის $^1/_{13}$ ნაწილ ფართობზე, რაც ოთხჯერ აღემატება მთელი ევროპის ფართობს. ჩარლსტონში (ჩრდ. ამერიკა) მომხდარი მიწისძვრა (1886 წ.) გავრცელდა 4,5-5 მილიონ კვ. კმ. ფართობზე. აღნიშნავენ, რომ წითელი ზღვის რაიონში მომხდარი მიწისძვრა (1870 წ. 24 ივნისს) გავრცელდა არაბეთზე, ეგვიპტეზე, იტალიაზე, საბერძნეთზე, მცირე აზიასა და სარიაზე.

ზოგიერთი მეცნიერის გამოთვლით დედამიწაზე საშუალოდ ყოველ საათში ხდება ერთი მიწისძვრა, რაც ადასტურებს, რომ მიწის ქერქი განუწყვეტლივ რყევის პროცესშია. არასრული მონაცემებით, ყოველწლიურად, დედამიწაზე 10.000-მდე მიწისძვრა ხდება; მაგრამ მათგან მხოლოდ 100-150 არის დამანგრეველი, 5.000 სუსტი, 115 ძლიერი და დანარჩენები შეიძლება შევიგრძნოთ მხოლოდ ზუსტი აპარატურით — სეისმოგრაფებით.

იაპონიაში ყოველდღე 4 მიწისძვრა ხდება. აქ დამანგრეველი მიწისძვრები მეორდება დაახლოებით ყოველ 8-10 წელიწადში.

მიწისძვრის ხანგრძლივობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. ზოგჯერ ესა თუ ის მიწისძვრა რამდენიმე წამს გრძელდება მხოლოდ, ზოგჯერ კი რამდენიმე წუთს. არის აღწერილი მიწისძვრები, რომლებიც დიდი შუალედებით რამდენიმე თვეს და წელსაც კი გაგრძელებულა. ლისაბონის ცნობილი მიწისძვრა, რომელმაც რამდენიმე ათასი ადამიანი შეიწირა, გრძელდებოდა წყვეტილებით 5-6 წუთს, ხოლო კალაბრიაში მიწისძვრის შედეგად მიწა საბოლოოდ მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ „დაწყნარდა".

მიწისძვრა უფრო ხშირია იქ, სადაც ბევრი მთებია. მიწისძვრა უფრო მეტად ზამთრობით ხდება, ვიდრე ზაფხულობით, უფრო ხშირად—ღამით, ვიდრე დღისით.

მრავალი ცხოველი წინასწარ „შეიგრძნობს" ნიადაგის რყევას. დიდი მიწისძვრები ერთბაშად არ ხდება. ზოგჯერ მათ წინ უსწრებს ნაკლებ ძლიერი ბიძგები. ზოგიერთი მეცნიერის მტკიცებით ასეთი მიწისძვრების წინ ვირთაგვები, თაგვები, თხუნელები, ხვლიკები და გველები გამოძვრებიან თავიანთი სოროებიდან და შეშფოთებული აწყდებიან აქეთ-იქით. მიწისძვრას წინასწარ „გრძნობენ" შინაური ცხოველები და ფრინველები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იმ მსხვერპლის შესახებ, რომელიც მოაქვს დამანგრეველ მიწისძვრებს. ჩინეთში 1556 წლის მიწისძვრის დროს დაიღუპა 800.000 კაცი, 1765 წ. ტოკიოს რაიონში მომხდარმა მიწისძვრამ იმსხვერპლა 200.000 კაცი, კალაბრიის ცნობილმა მიწისძვრამ 100.000 კაცი, 1923 წ. იაპონიაში მიწისძვრამ თითქმის მთლიანად დაანგრია ქ. ტოკიო და დაიღუპა 174.000 კაცი, 1939 წელს ჩილის მიწისძვრის დროს, რომელიც 3 წუთს გრძელდებოდა, მოკლულ იქნა 25.000 კაცი და დაიჭრა— 30.000.

დედამიწის ქერქული ძვრის გარდა არსებობს კიდევ ე. წ. ზღვისძვრა. იგი ჩვეულებრივად წყალქვეშ ხდება. მეზღვაურები ზოგჯერ გრძნობენ ზღვისძვრას. მათი გადმოცემით ამ დროს გემი რყევას იწყებს, თითქოს წყალქვეშა კლდეს დაეჯახაო; გემში მყოფი ადამიანები, ზემოთ ვარდებიან, საგნები ცვივა; მართალია, წყალქვეშა ბიძგები რამდენიმე წამს გრძელდება (იშვიათად რამდენიმე წუთსაც), მაგრამ მათ საკმაოდ მძლავრი ეფექტის გამოწვევა შეუძლიათ. ამ დროს წარმოიქმნებიან წყლის ვეებერთელა ტალღები, რომლებიც ანგრევენ და წალეკავენ ზღვის სანაპირო უბნებს. 1896 წლის 15 ივნისს ამ გზით წარმოშობილმა 30 მეტრის სიმაღლის ტალღებმა იმსხვერპლა 27.000 კაცი და დაანგრია 10.000 სახლი.

მიახლოებითი და არასრული მონაცემების მიხედვით ყველა, დღემდე აღრიცხული მიწისძვრისაგან დაღუპულია 13 მილიონი კაცი.

მიწისძვრების დროს თავისუფლდება კოლოსალური ენერგია, რომლის სიდიდეც დამოკიდებულია მიწისძვრის ინტენსივობაზე. გამოანგარიშებულია, რომ კატასტროფული მიწისძვრის დროს კერაში გამოიყოფა $10^{25}$ ერგამდე ენერგია, რომელიც ერთ ტრილიონ ცხენის ძალას უდრის. ასე, მაგალითად 1911 წელს ვერნის მიწისძვრის დროს 1 წამის განმავლობაში მიწის ქერქში განთავისუფლდა იმდენი ენერგია, რაც საკმარისი იქნებოდა 325 წლის განმავლობაში დნეპრჰესის განუწყვეტლივ ასამუშავებლად.

თანამედროვე ტექნიკამ არ იცის ენერგიის ამ უზარმაზარი მარაგის გამოყენების გზები, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მეცნიერება მომავალში იპოვის საშუალებას, რათა ადამიანის ნებას დაუმორჩილოს ეს ენერგია.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ძლიერი მიწისძვრის ზონებია ამიერკავკასია, შუა აზია, ალტაის მხარე, იმიერბაიკალი და კამჩატკა.

განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ 1948 წ. 6 ოქტომბერს აშხაბადში მომხდარი მიწისძვრა, რომლის დროსაც დაინგრა ამ ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი.

კავკასიაში მომხდარ მიწისძვრათაგან ყურადღებას იქცევს 1902 წელს შემახაში (აზერბაიჯანი) მომხდარი მიწისძვრა, ახალქალაქის (1899 წ. 19 დეკემბერი), ლენინაკანის, ზანგეზურის (1931 წ.) მიწისძვრები და სხვ.

საქართველოს ისტორიულ წყაროებში არა ერთი და ორი ცნობაა დაცული მიწისძვრების შესახებ. ამ მიწისძვრებს ცოტა მსხვერპლი როდი მოჰყოლია.

ანგარიშობენ, რომ უკანასკნელ 50 წლის მანძილზე საქართველოში 1200-მდე მიწისძვრა მოხდა. მათგან ზოგიერთი დამანგრეველი ხასიათისა იყო. 1088 წელს კატასტროფული მიწისძვრა მომხდარა ჯავახეთში, რომლის შედეგად დაინგრა ქალაქი თმოგვი და მრავალი სოფელი. საინტერესოა ამ მიწისძვრის აღწერა მემატიანის მიერ: „უფალმან... შეძრა ქვეყანა საფუძვლითურთ ესოდენ სასტიკად, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტუერისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნენ, სახლნი დაითქუნეს და დაირღუნეს და იქმნეს საფლავ მას შინა მკვდართა, რომელთა თანა თმოგვიცა დაიქცა და დაიპყრა ქუეშე კახაბერი ძე ნიანიასი ცოლითურთ" (ივ. ჯავახიშვილი— „ქართველი ერის ისტორია", წიგნი II, 1948 წ. გვ. 162).

უფრო გვიანი პერიოდის მიწისძვრათაგან აღვნიშნავთ 1283 წ. მცხეთაში მომხდარ კატასტროფულ მიწისძვრას, რომელიც განმეორდა 1319 წ.; ალავერდში მომხდარ გამანადგურებელ მიწისძვრას 1510 წ.; გორის 1920 წ. მიწისძვრას და სხვ.

ამჟამად მეცნიერები აწარმოებენ დიდ მუშაობას მიწისძვრათა მექანიზმის შესასწავლად, აგრეთვე— მიწისძვრების დროისა და ადგილის წინასწარ განსაზღვრისათვის. ჯერჯერობით მეცნიერებას მოეპოვება საშუალება წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი მიწისძვრის ადგილი. რაც შეეხება დროს, მისი განსაზღვრა ჯერჯერობით არ ხერხდება; იმედია, მიწისძვრების კომპლექსური შესწავლა შემდგომში საშუალებას მოგვცემს წინასწარ გავიგოთ მიწისძვრის მოახლოების დრო და მივიღოთ ღონისძიებანი ამ მნიშვნელოვანი კატასტროფისაგან მოსალოდნელი შედეგების ასაცილებლად.

მიხეილ იოსელიანი
გეოლოგია-მინერალოგიურ
მეცნიერებათა კანდიდატი.



# ლიმონარია

ექსკურსანტთა ჯგუფები ინტერესით ათვალიერებენ პეტრას ციხე-ქალაქის ნანგრევებს. ეს ნანგრევები მეხსიერებაში წუთით აღადგენს რომაელთა ბატონობის მწარე წარსულს. ახლა ამ ძველი ციხე-ქალაქის ფერდობებს საბჭოთა ადამიანების ხელით ნაგები ძვირფასი ნაგებობა — ლიმონარია ამშვენებს; გასულ წელს აიგო მინის ეს ვეებერთელა შენობა — ლიმონარია, რომელშიც ახლა ძვირფასი მცენარეები ხარობს.

ციხისძირის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა, აგრონომმა დავით გირკელიძემ აგვიხსნა, რომ ლიმონის კულტურა ჩვენს პირობებში მოსალოდნელი ყინვებისაგან დაცვით, ხელოვნური გათბობით და კარგი მოვლით ხარობს. ასეთ პირობებში ჩაყენებით იგი სამეურნეო თვალსაზრისითაც ამართლებს თავის დანიშნულებას: უხვმსხმოიარეა, და ზამთარ-ზაფხულ ნაყოფს გვაძლევსო.

ლიმონარიაში შეხვდებით სხვადასხვა ჯიშის მცენარეთა საინტერესო ექსპონატებს. ზოგი ყვავილობს, ხოლო ზოგს ოქროსფერი ნაყოფის სიმძიმისაგან ტოტები ძირს დაუხრია. მცენარეების დასარგავად აქ ნიადაგის მომზადება მეტად რთული საქმე იყო. ამ ამოცანის გადასაწყვეტად მეურნეობის კოლექტივს სერიოზული მუშაობა მოუხდა. გაუმტარი ნიადაგის ფენაზე ოც სანტიმეტრზე დაყარეს წვრილი და მსხვილი ქვიშის ნარევი, რომელსაც მოაყარეს 1100 კუბური მეტრი მაღალნაყოფიერი ნიადაგი და იგი ორანჟერეის მთელ ფართობზე ერთი მეტრის სიღრმეზე გაასწორეს. მოაწყეს დრენაჟი, გაიყვანეს მილები ხელოვნური წვიმისათვის. დარგეს 4-5-წლიანი ქართული და სხვა ჯიშის 300 ძირი მსხმოიარე ლიმონი და 50 ცალი ჭიპიანი ფორთოხალი, ყოველი მცენარის ძირში შეიტანეს 40-50 კილოგრამი ორგანული და მინერალური სასუქი, გამოიყვანეს და კვლავაც გამოჰყავთ ნორჩი ლიმონები. მებაღე პართენ ლომია შვილივით უვლის და თავს დასტრიალებს ლიმონისა და ფორთოხლის ნარგავებს. იგი მეოთხედი საუკუნეა მუშაობს ციხისძირის საბჭოთა მეურნეობაში და პატიოსანი შრომით თავისი წვლილი შეაქვს ციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომ განვითარებაში.

გასული ზამთრის განმავლობაში საჭირო აღარ იყო ხელოვნური სითბოს გამოყენება, იყენებდნენ ბუნებრივ სითბოს, რამაც ხელი შეუწყო ლიმონის ნორმალურ ზრდა-განვითარებას.

შეხვალთ თუ არა ლიმონარიის ფართო და ნათელ შენობაში, თქვენს ყურადღებას მიიპყრობს პატარა, საშუალო სიმსხოსი და ზრდადასრულებული ლიმონები. მათი უმრავლესობა ამ ახალ ლიმონარიაშია გამოყვანილი. მცენარეები დაზღვეულია სტიქიის ყოველგვარი მოსალოდნელობისაგან. ისინი ჰყვავიან წელიწადის ყოველ დროში, იძლევიან ძვირფას ნაყოფს, რომლითაც ლიმონარიას ენიჭება დიდი სამეურნეო მნიშვნელობა. მაგრამ, გარდა ამისა, ლიმონარიის ნარგავები შეიძლება გამოყენებულ იქნან გასამრავლებლადაც, რაც ხელს უწყობს მეციტრუსეობის შემდგომ აღმავლობას.

ჩვენს პირობებში ლიმონარიის არსებობა ახალი, მაგრამ უაღრესად პროგრესული და სასარგებლო საქმეა. ეს მან დაადასტურა უხვმსხმოიარობით, მაღალხარისხოვანი ნაყოფის მოცემით.

ციხისძირელ მეციტრუსეთა სახელისა და ღირსების საქმეა, ზამთარ-ზაფხულ, წელიწადის ყოველ დროში მოიყვანონ ლიმონისა და ფორთოხლის უხვი მოსავალი.

**პ. სახეჩიძე**

ფოტოზე: ქობულეთის რაიონის ციხისძირის საბჭოთა მეურნეობის ლიმონარიის საერთო ხედი.

ფოტო ნ. ანასტასიევისა

---

# ზუგდიდის ნაკრძალი

ორასი წლის ისტორია აქვს ზუგდიდის პარკს. იგი ამჟამად თბილისის ბოტანიკური ბაღის ფილიალად ითვლება და ნაკრძალად არის აღიარებული. მე-18 საუკუნის მიწურულში პოეტი-მეფე არჩილი „გაბაასებაში" იხსენიებს ზუგდიდის გარშემო მდებარე ირმებით სავსე ტყეებს. გამოჩენილი ქართველი გეოგრაფის ვახუშტის ცნობით, ეს მიდამო „მთითბარამდე ფრიად ტყიანი" იყო. სამეგრელოს მთავრის ლევან მე-5-ის (1792 — 1846) ერთ სიმღერაში ნათქვამია იმაზე, რომ ზუგდიდის ახლო, „დინამოდირის ტყეში" ასასი ირემი უხოცია, როცა ის „პატარა ბიჭი" ყოფილა.

ამ ნადირ-ფრინველიანი ულრანის დიდი ნაწილი, რომელიც სამთავრო სახლს ეკრა ჩრდილოეთით, მე-19 საუკუნის დამდეგიდანვე ქცეულა ხელუხლებელ ადგილად. კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტებში (ტ. 7) მოთხრობილია: ამ ბაღში, მთავრის ოჯახის წევრებს გარდა, სხვას ეკრძალებოდა შესვლა და ნადირობა.

1840 წელს ამ ულრანიდან გამოყოფილ იქნა გარკვეული რაოდენობის ფართობი. ამ ვრცელ ნაკვეთზე მოეწყო პარკი, რომლის სილამაზე, მცენარეთა სიუხვე, დახვეწილობა და გემოვნება, გამოჩენილ მოგზაურებს, მეცნიერებსა და მწერლებს ანცვიფრებდა და ხიბლავდა.

ეს პარკი თავდაპირველად მხოლოდ აბორიგენთა უწესრიგო ჯგუფი ყოფილა. საჭირო იყო მისი სტილიზაცია, დეკორაციული მცენარეებით შევსება და გამდიდრება უცხოური ჯიშების აკლიმატიზებით. ეს განზრახვა აღასრულეს მაშინდელმა მთავარმა დავით დადიანმა და მისმა მეუღლემ ეკატერინე ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულმა. ეკატერინემ მამისეული წინანდლის ბაღის მსგავსად ზუგდიდშიც მოისურვა მდიდარი პარკის გაშენება. ამისთვის მოუწვევიათ სპეციალისტი —ტრიესტელი სლოვენი — ჟოზეფ ბაბინი, რომლის გეგმით გაშენდა და გაიმართა ვრცელი პარკი.

ეს პარკი სხვადასხვა დროს აღწერილი აქვთ: ცნობილ ქართველოლოგ მარი ბროსეს, მოგზაურ ა. მურავიოვს, კ. ბოროზდინს და გამოჩენილ ქართველ პოეტს რაფიელ ერისთავს. მათი გადმოცემით ზუგდიდის პარკი თავისი ორანჟერეებით, ხეივნებით, დეკორაციულ მცენარეთა სიუხვით და მრავალფეროვნებით, მეტად მომჯადოებელი ყოფილა. მათივე აზრით, ამ ბაღს იშვიათ მცენარეთა სიმდიდრით და უცხო ჯიშების აკლიმატიზებით ბადალი არ ჰყოლია, არათუ კავკასიაში, თითქმის იმპერიაშიც.

ასეთ დიდებულ ნაკრძალს მალე უბედურებაც ეწია. 1854 წლის ყირიმის ომთან დაკავშირებით, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე გადმოსხმულმა თურქეთის საოკუპაციო ჯარის ერთმა განაყოფმა 1855 წელს ზუგდიდი დაიკავა. დამარცხების დროს უკან დახეულმა ასკერებმა ისკანდერ ფაშის ბრძანებით ზუგდიდი გადაწვეს და მთელი ბაღი გაჩეხეს.

გატიალებულ ბაღზე ზრუნვა კვლავ ეკატერინემ დაიწყო. 1860 წელს მან იტალიიდან გამოიწერა სპეციალისტები — ძმები გაეტანო და ჯიოვანო ზამბერლეტები, რომელნიც სამუდამოდ აქ დარჩნენ და მათი შთამომავლობაც პირწმინდად გაქართველდა. ეკატერინეს მეცადინეობით არათუ მხოლოდ პირვანდელი სახით იქნა აღდგენილი ეს ბაღი, არამედ ორკეცად გაფართოებული, გამდიდრებული, შევსებული, და რეკონსტრუირებული ყველა მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით. გამშვენიერებულმა პარკმა ჩვენს დრომდე მოაღწია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს ბაღი როგორც მშრომელთა საკუთრება, სახელმწიფოს გადაეცა და პარტიისა და მთავრობის ზრუნვის საგანი გახდა.

პარკში სულ 35 უცხო და 19 აბორიგენია მოშენებული. უცხო ჯიშის დიდი ხეებია. 187 ეგზ. ადგილობრივისა—600-მდე აღწევს.

ბაღში შექმნილია ყველა პირობა ეგზოტური მცენარეების აკლიმატიზაციისა და გავრცელებისათვის. 1928 წელს მოეწყო სანერგე ხუთჰექტარიან ნაკვეთზე.

მწყაზარი ხეივნები — ზაფხულობით რომ მზე ვერ ატანს, დეკორირებული გაზონები, მწვანით დაფენილი სკვერები, მოწანწკარე არხები და ანკარა წყლით სავსე ხელოვნური ტბა თავისი კუნძულით, ნახევარკუნძულით, უბითა და ყელით, ადამიანს ესთეტიკურ კმაყოფილებასთან ერთად, სიამოვნებასა და სულიერ სიმშვიდესა ჰგვრის. ზუგდიდის მცხოვრებთათვის მეტად საყვარელი ადგილია ეს ნაკრძალი.

ლამაზი ბაღი ბუნების მგოსნებსაც იზიდავს. მათი მრავალგვარი გალობა, სტვენა და ჭიკჭიკი ამ მომხიბლავ პეიზაჟზე ბუნების ზეიმსა ჰგავს, რომლის მონაწილეც ხდება უნებურად აქ შემოსული ადამიანი.

სამწუხაროა, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ასეთ დიდებულ ნაკრძალისადმი ზრუნვა საგრძნობად შესუსტებულია. „გაკლენიან პირებს" როგორღაც მოუპოვებიათ „უფლება" პარკში საქონლის ძოვებისა ან „უბრალო" ხიდან თითო-ოროლა ტოტის ჩამოჭრისა. ტლანქად ეპყრობიან აგრეთვე დეკორაციულ ნარგავებს და რაც ყველაზე უფრო დანაშაულია, ნაკრძალის განაპირა ფართობზე რამდენიმე ნაგებობაც დაუდგამთ, რასაც ფართობის შემცირება და ძვირფასი მცენარეების აჭრაც კი გამოუწვევია. ყველაფერი ეს თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექციის უყურადღებობით ხდება. საჭირო კია, მეტი ყურადღება ამგვარი ძვირფასი ნაკრძალის დასაცავად.

**სოლომონ ცაიშვილი**

# ვახტანგ VI და თეიმურაზ II დროინდელი ასტრახანი

ასტრახანი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი დიდი ქალაქია. მიმდინარე წელს მას 400 წელი უსრულდება დაარსებიდან. უფრო ძველი, ეგრეთ წოდებული „აზიური“ ასტრახანი ამჟამად აღარ არსებობს. ის გაჰქრა მონღოლთა ბატონობასთან ერთად.

რუსეთის ასტრახანი აშენებულ იქნა არა ნაქალაქარზე, არამედ ახალ ადგილზე, ვოლგის გამოღმა.

ქალაქის ცენტრში, მაღლობზე, დასაბამიდანვე იყო აგებული ციხე-დარბაზი (კრემლი), რომელსაც გარს არტყია გალავანი. ციხე-დარბაზში არის საცხოვრებელი და სანოვაგის სათავსი შენობები. ამ ნაგებობებმა ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ გადაკეთებული სახით. იმ დროს მდ. ვოლგა, რომლის ნაპირზეც დგას ასტრახანი, თითქმის გალავნის კედლამდე მიდიოდა.

გარდა იმ ძეგლებისა, რომლებიც კრემლში იმყოფება, არქიტექტურის უძველეს ძეგლებს მიეკუთვნება, აგრეთვე, ფერისცვალების მონასტრის კუთხის კოშკი, რომელიც დღემდე დაცულია. კარვისებრი სახურავისა და რვაწახნაგოვანი აღნაგობის მიხედვით. ის XVI საუკუნეს მიეკუთვნება, კოშკის მეორე სართულის სარკმელთა ჩარჩოების მოყვანილობა კი მოწმობს, რომ კოშკი გადაკეთებული ყოფილა XVIII საუკუნეში.




ქალაქის ისტორიის თავდაპირველ პერიოდს მიეკუთვნება, აგრეთვე, კრემლის ნიკოლოზის ალაყაფის კარები ეკლესიითურთ. ამ ძეგლის კამარები, თაღები, სარკმელთა ჩარჩოებისა და სახურავის სტილი მოწმობენ, რომ ის აგებულია XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის დასაწყისში.

კრემლის მთავარი შესასვლელის პირდაპირ დაცულია პეტრესდროინდელი ეკლესია. ქალაქის ცენტრში, კრემლის ახლომახლო, განლაგებულია ქარვასლები. აქ ინახებოდა ქვეყნიერების ყველა კუთხიდან შემოზიდული საქონელი. ქარვასლები ეკუთვნოდათ ირანელ, სომეხ და ინდოელ ვაჭრებსა და სავაჭრო გაერთიანებებს, რომლებიც დიდხანს ეწეოდნენ აღებ-მიცემობას ასტრახანში. ასე მაგალითად, ინდოელი ვაჭრების ქარვასლებმა აქ ორას წელზე მეტ ხანს იარსებეს.

ასტრახანის საშუალებით, რომელიც მსხვილ სავაჭრო ცენტრად იქცა, ხორციელდებოდა რუსეთის მჭიდრო ეკონომიური კავშირურთიერთობა ამიერკავკასიის ხალხებთან და სხვა სახელმწიფოებთან.

საქართველოდან ასტრახანით მიემგზავრებოდა მოსკოვს საქართველოს მეფეებისა და სამღვდელოების მიერ წარგზავნილი ელჩები, ამავე გზით მოგზაურობდნენ ქართველი პოეტები, მეცნიერები. XVI საუკუნიდან მოყოლებული ეს ერთადერთი გზა იყო მოსკოვისკენ. მარშრუტი ასეთი იყო: ასტრახანი, შემდეგ ვოლგით ცარიცინამდე, აქედან ცხენებით მოსკოვამდე. ამ გზით იმოგზაურეს დავით გურამიშვილმა, სულხან-საბა ორბელიანმა თავის ძმებთან — ნიკოლოზ, დიმიტრი და ზოსიმესთან ერთად, თომა ბარათაშვილმა და სხვებმა.

აქედან დაიწყო თავისი ლაშქრობა ირანზე პეტრე I-მა 1722 წელს. ამ ლაშქრობაში, პეტრე I-თან შეთანხმებით, მონაწილეობა უნდა მიეღო ქართველ ჯარს ვახტანგ VI-ის მეთაურობით, მაგრამ ამ ხანებში ჩრდილოეთში შექმნილმა რთულმა ვითარებამ ხელი შეუშალა დასახული გეგმების განხორციელებას და საქართველოს მეფე მრავალრიცხოვანი ამალით იძულებული შეიქნა მოსკოვს გახიზნულიყო.

მოსკოვიდან ვახტანგ VI ასტრახანს გადმოვიდა საცხოვრებლად და აქ გატარა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები.

დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი, რომელსაც მხურვალედ უყვარდა მეცენატი მეფე და რომელთანაც ასტრახანს ყოფილა, თავის უკვდავ „დავითიანში“ „მეფის ვახტანგის ამიერ სოფლით მიცვლას“ ასე დასტირის:

„ვაი რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო,
ლხინი, შვება და სიამე სულ ჭირად გადაგვექცაო“...

ვახტანგ VI დიდის პატივით დაკრძალულ იქნა ასტრახანის კრემლის მიძინების ტაძარში. აკლდამის ქვის, ამჟამად დაკარგულ სპილენძის ფირფიტაზე რუსულად ეწერა:

**От корени Иесеевова и ветви Давидова, колена Соломонова родился в мире в 1675 году сентября 15-го дня грузинского государства**



ასტრახანის კრემლი.

**шестой царь Вахтанг вселился в сей гроб в 1737 году марта 26-го дня за престол и за венец ныне се зрится...**

ეს წარწერა მოყვანილია ასტრახანის საკათედრო მიძინების ტაძრის 1881 წ. აღწერილობაში.

აქვე მარცხენა წინა სვეტთან დაკრძალულია მეფე თეიმურაზ II, ავტორი ირანის წინააღმდეგ რუსეთ-საქართველოს ლაშქრობის გეგმისა, რომლითაც იგი პეტერბურგს ჩავიდა.

ასტრახანის საკათედრო მიძინების ტაძრის 1881 წლის აღწერილობაში შეტანილი ზემოდასახელებული ტექსტებისა და ასევე სხვა დოკუმენტების საფუძველზე საშუალება მომეცა ზუსტად დამედგინა საქართველოს ამ ორი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის დაკრძალვის ადგილი.

საძიებო გათხრებმა დაადასტურეს ჩემი ვარაუდი.

ვახტანგ VI-სა და თეიმურაზ II-ის დაკრძალვის ადგილზე, რესტავრაციის შემდეგ, მოეწყობა გამოფენა. გამოფენის მასალები ასახავენ რუსეთისა და საქართველოს საუკუნეობრივ მეგობრობას. ჯერხნობით კი ასტრახანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განყოფილებები შეივსო ჩემს მიერ მოსკოვიდან ჩამოტანილი მასალებით, რომლებიც ეხება ქართველების ასტრახანში ყოფნის პერიოდს.

საძიებო გათხრების დროს დახმარებას მიწევდა მხატვარი ნ. ნ. სკოკოვი, რომელიც გათხრილი ობიექტების დოკუმენტურ ჩახატვებს აწარმოებდა.

მხატვარი ნ. ნ. სკოკოვი ასტრახანელია, ამ ქალაქის ისტორიული წარსულის კარგი მცოდნე.

ნ. ნ. სკოკოვის ნამუშევრების ღირსება ისაა, რომ ისინი ზუსტად და ამავე დროს პოეტურად გადმოგვცემენ ძველი ასტრახანის კოლორიტს.

ასტრახანის კრემლის მიძინების ტაძრის პირველი სართული, სადაც დაკრძალული არიან ვახტანგ VI და თეიმურაზ II.



დ. არსენიშვილი

ანდრია რუბლიოვის სახელობის მოსკოვის ძველრუსული ხელოვნების მუზეუმის დირექტორი.

# ლუჟიცელი სერბები




გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მდინარე შპრეეს ორივე ნაპირის გასწვრივ, ძველთაგანვე ცხოვრობს სლავი ხალხი, რომელიც ცნობილია ლუჟიცელი სერბების, ან ლუჟიცელების სახელწოდებით.

ლუჟიცელი სერბები, გერმანულად — სორბები, ანუ ვენდები არიან იმ მრავალრიცხოვანი მკვიდრი სლავური ტომების ნაშთები, რომლებიც წინათ ელბასა და ოდერს შორის ბინადრობდნენ.

იმ მხარეს, სადაც ლუჟიცელი სერბები ცხოვრობენ, ძველთაგანვე ლუჟიცას უწოდებენ. ლუჟიცა იყოფა ორ ნაწილად — ზემო და ქვემო ლუჟიცად. ეს ორი მხარე გეოგრაფიულად მდ. შპრეეს ზემო და ქვემო წელზე მდებარეობს.

ლუჟიცელი სერბების საერთო რაოდენობა 150 ათას კაცს უდრის.

ლუჟიცის მთელ ტერიტორიაზე ლუჟიცელი სერბები ძალზე შერეული არიან გერმანულ მოსახლეობაში.

ლუჟიცელი სერბები ლაპარაკობენ ორ დიალექტზე, რომლებიც მიეკუთვნებიან დასავლეთ სლავურ შტოს.

ზემო ლუჟიცელების დიალექტი ახლოს დგას ჩეხურ ენასთან, ხოლო ქვემო ლუჟიცელებისა უახლოვდება პოლონურ ენას.

გარდა ენისა, ზემო და ქვემო ლუჟიცა ერთმანეთისაგან დასახლების ფორმითაც განსხვავდება.

ასე, მაგალითად, ზემო ლუჟიცის დასახლებულ პუნქტებში სახლები ერთმანეთზეა მიჯრილი. ქვემო ლუჟიცაში კი სახლები მდინარის პირზეა გაშენებული ზედ წყალთან. მდინარე აქ ასრულებს ქუჩის როლს, მიმოსვლა ხდება ბრტყელძირიანი ნავების საშუალებით. მრავალრიცხოვანი არხები სერავენ მთელ ქვემო ლუჟიცას; ლუჟიცელები მათი საშუალებით მიდიან მინდვრის სამუშაოებზე, საძოვრებზე, გადააქვთ ტვირთები და სხვ.

ადგილობრივი მცხოვრებნი კარგად არიან დაუფლებულნი ნაოსნობას, ისინი ოსტატურად მართავენ ნავებს გრძელი ჭოკების საშუალებით.

ამ ადგილს ხშირად „გერმანულ ვენეციასაც“ კი უწოდებენ.

გერმანელმა რაინდებმა ლუჟიცა XII-XIII საუკუნეებში ჩაიგდეს ხელში. ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეებში ლუჟიცელები უთანასწორო ბრძოლას აწარმოებდნენ ფრანკთა და საქსონელთა წინააღმდეგ. 936 წელს ქვემო ლუჟიცა გერმანიის მხედართმთავარმა ჰაინრიხმა დაიპყრო, ზემო ლუჟიცა კი მეისინის მარკგრაფმა დაიმორჩილა.

გერმანელმა დამპყრობლებმა ლუჟიცელ სერბებს წაართვეს საუკეთესო მიწები და მკვიდრნი იძულებული გახდნენ ჭაობებისა და ტყეებისათვის მიემართათ. ლუჟიცელებს სასტიკ ექსპლოატაციას უწევდნენ გერმანელი ფეოდალები და რაინდები.

ასეული წლების განმავლობაში ცდილობდნენ დამპყრობნი ლუჟიცის სლავური მოსახლეობის გაგერმანელებას. შუა საუკუნეებში ლუჟიცელი მკვიდრნი საზოგადოებრივ ადგილებში მშობლიურ ენაზე ლაპარაკისათვის სიკვდილით ისჯებოდნენ

1814-1815 წლებში ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით ლუჟიცა განაწილებული იქნა პრუსიისა და საქსონიის მიერ, რის შედეგადაც ქვემო ლუჟიცა იზოლირებულ იქნა ზემო ლუჟიცისაგან.

XIX საუკუნის 50-იანი წლების რევოლუციურმა მოძრაობამ გერმანიაში ლუჟიცაშიაც ჰპოვა გამოხმაურება. ლუჟიცელები ამ დროს მოითხოვენ მოქალაქეობრივ უფლებებში გერმანელებთან გათანასწორებას.

1847 წელს ლუჟიცაში დაარსებულ იქნა პირველი ლუჟიცური მეცნიერულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „მატიცა სერბსკა“, რომელმაც ჟურნალ-გაზეთების გამოცემა დაიწყო მშობლიურ ენაზე.

XIX საუკუნის ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში ლუჟიცაში ჩაისახა და მოღვაწეობა დაიწყო მეცნიერებისა და მწერლების ნიჭიერმა თაობამ, რომელთაგან ბევრ მოღვაწეს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა რუს მეცნიერებთან და მწერლებთან

პირველი მსოფლიო ომისა და ვაიმარის რესპუბლიკის დროს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ლუჟიცაში კვლავ გამოცოცხლდა.

ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ლუჟიცაში ამ დროს სათავეში კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია „დომოვინა“ („სამშობლო“) ჩაუდგა, რომელიც 1912 წელს შეიქმნა.

ყველაზე შავბნელ პერიოდად ლუჟიცელი სერბების ისტორიაში ითვლება გერმანიაში ფაშისტური დიქტატურის ხანა. გერმანელ ფაშისტებს, რომლებმაც მიზნად დაისახეს ევროპის ხალხების მოსპობა, აცოფებდათ ის, რომ შიგ გერმანიაში, ბერლინიდან სულ ახლოს, სლავი ხალხი ლაპარაკობს თავის მშობლიურ ენაზე. ფაშისტი ჯალათები იკვეხნიდნენ: „ათი წლის შემდეგ გერმანიაში აღარც ერთი სერბი არ დარჩებაო“.

ფაშისტების დიქტატურის დროს, ლუჟიცელი სერბების გაგერმანელების საკითხმა ძალზე მწვავე ხასიათი მიიღო. 1937 წელს ფაშისტების ბრძანებით დახურულ იქნა ლუჟიცელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია „დომოვინა“, სხვა ორგანიზაციები და სკოლები; ჰიტლერელებმა ლუჟიცელებს აუკრძალეს მშობლიურ ენაზე საუბარი და ნაციონალური ტანისამოსის ტარება. ფაშისტებმა ლუჟიცის აქტიური მოღვაწეებისა და ინტელიგენციის დიდი ნაწილი გადაასახლეს გერმანიის სხვადასხვა რაიონებში ან შერეკეს საკონცენტრაციო ბანაკებში. ლუჟიცურ ენაზე გამოსული წიგნები იმ შავბნელ პერიოდში კოცონზე იწვოდა. ჰიტლერელებმა მოსპეს ამ დროს ბაუცენის მდიდარი ბიბლიოთეკა, სადაც 20 ათასზე მეტი წიგნი და უნიკალური ხელთნაწერი ინახებოდა.

ახალი ცხოვრება ლუჟიცელი სერბებისათვის მას შემდეგ დაიწყო, როდესაც ლუჟიცა საბჭოთა არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს ფაშისტებისაგან და ეს პატარა სლავი ხალხი იხსნეს მრავალსაუკუნოვანი ჩაგვრისაგან.

ახალმა დემოკრატიულმა წყობილებამ, რომელიც დამყარდა აღმოსავლეთ გერმანიაში, ლუჟიცელ სერბებს თავისუფალი ეკონომიური და კულტურული განვითარების შესაძლებლობა მისცა.

ჯერ კიდევ 1948 წელს საქსონიის ლანდტაგმა გამოსცა დეკრეტი ლუჟიცელების თანასწორუფლებიანობის, მათი ენისა და კულტურის თავისუფალი განვითარების, მათი ბავშვების მშობლიურ ენაზე სწავლების შესახებ და სხვ.

დღეს ლუჟიცელთა უფლებები განმტკიცებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციითა და სპეციალური კანონით, რომელიც მიღებული იქნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლანდტაგის მიერ.

აღმოსავლეთ გერმანიაში დემოკრატიული წყობილების დამყარების შემდეგ ლუჟიცამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მშვიდობიანი ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლების საქმეში.

ლუჟიცის მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩაბმულია სოფლის მეურნეობაში, რომლის წამყვან დარგსაც მიწათმოქმედება წარმოადგენს. მდ. შპრეეს ჭალებსა და ნაყოფიერ მიწებზე მოჰყავთ ჭვავი, კარტოფილი, ხორბალი, ქერი და სხვ. მოსახლეობის ნაწილი მეცხოველეობას მისდევს.

ძალზე შეიცვალა ლუჟიცელთა სოფელი, თუ წინათ მთელი მიწები ნაცისტებსა და მსხვილ მემამულეებს — იუნკრებს ეკუთვნოდათ და ლუჟიცელი სერბები იძულებული იყვნენ ემსახურნათ მოჯამაგირეებად მათ მამულებზე მეტად მძიმე პირობებში, ომის შემდეგ მთელი მიწები უმიწაწყლო გლეხებს გადაეცათ.

დღეს ლუჟიცელთა სოფლებში შექმნილია სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივები. გლეხები მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დახმარებით ამუშავებენ მიწებს და მოსავლიანობას ზრდიან.

ლუჟიცის სახალხო მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მრეწველობასაც. მრეწველობის დარგებიდან აღსანიშნავია მანქანათმშენებლობა, ლითონდამუშავება, საფეიქრო და კვების მრეწველობა.

მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ლუჟიცამ კულტურულ ფრონტზედაც. დღეს ლუჟიცის მრავალსაუკუნოვანი კულტურა აყვავების გზაზე დგას. ლუჟიცელ სერბებს აქვთ თავიანთი მუსიკა, ლიტერატურა, მხატვრობა.

ლუჟიცურ ენაზე თარგმნილია რუსული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწარმოები. ლუჟიცელი ხალხის მხატვრულ ლიტერატურაზე დიდი გავლენა მოახდინა რუსულმა ბილინებმა, ა. პუშკინის, ნ. გოგოლის, ი. ტურგენევის, მ. გორკისა და სხვათა ნაწარმოებებმა.

რუსული კლასიკური ლიტერატურისადმი სიყვარული ნათლად მოწმობს ლუჟიცელი ხალხის ძმურ სიყვარულს დიდი რუსი ხალხისადმი.

1947 წლიდან ლუჟიცურ ენაზე გამოდის გაზეთი „ნოვა დობა“ („ახალი დროება“) და სხვა ჟურნალ-გაზეთები.

ლუჟიცის მთავარი ქალაქია ბაუცენი (42 ათასი მცხოვრები).

დღეს ეს პატარა სლავი ხალხი დემოკრატიული გერმანიის მშრომელებთან მჭიდრო კავშირში აშენებს ახალ ცხოვრებას, იბრძვის სოციალიზმის მშენებლობისათვის.

**ნოდარ ნაჭყებია**

გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

# სპორტული ჰუმორი

## სიდინჯის მიზეზი



ალგზნებული, მყვირალა მაყურებლები და სპორტსმენები ფეხბურთის საუკეთესო მსაჯსაც კი შეურყევენ სულიერ წონასწორობას.

პერუში ტარდებოდა დაძაბული მატჩი. მაყურებლები ხმამაღალი წამოძახილებით გამოხატავდნენ თავიანთ უკმაყოფილებასა თუ სიხარულს. ფეხბურთელები თითქმის ყოველ წუთში მირბოდნენ მსაჯთან, ყვიროდნენ, წყევლიდნენ ისე, როგორც ეს შეუძლიათ ტემპერამენტიან სამხრეთელებს. მსაჯი გასაოცარი სიმშვიდით აგრძელებდა თავის საქმეს; ნერვიულობის პატარა ნიშანწყალსაც არ ამჟღავნებდა. მისმა უჩვეულო სიდინჯემ ბოლოსდაბოლოს დამამშვიდებლად იმოქმედა ფეხბურთელებზე და მაყურებლებზედაც. შეხვედრა მშვიდობიან ატმოსფეროში დამთავრდა.

მსაჯს ალმერთებდნენ. ბოლოს გამოირკვა, რომ ის... ყრუ-მუნჯი იყო.

## ახალგაზრდობა თავისას აკეთებს

ერთხელ, ნეაპოლის ახლოს ჩატარდა უჩვეულო შეჯიბრება სპორტულ სიარულში — 25 კმ-ს მანძილზე. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო სამოცდაათწელს გადაცილებულმა ექვსმა მოხუცმა. ამ ღონისძიების ინიციატორები იყვნენ 78 წლის ვინჩენცო მორენო და 77 წლის სავერინო იორიო. მსაჯის ნიშნისთანავე მოხუცმა სპორტსმენებმა მხნე ნაბიჯებით გასწიეს წინ. ინიციატორებმა — მორენომ და იორიომ უკვე პირველივე კილომეტრზე დაჰყარეს ფარხმალი, დანარჩენმა მონაწილეებმა კი ბოლომდე განვლეს დისტანცია. გაიმარჯვა ფრანჩესკო კარუზომ, რომელიც „მხოლოდ“ 73 წლისაა. აქ არაფერია გასაკვირი; ახალგაზრდობა თავისას აკეთებს.



## ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული



ხომ მართლაც წარმოუდგენელია, რომ მოკრივემ არც ერთი შეხვედრა არ ჩაატაროს და ისე გახდეს ქალაქის, ოლქის ან რაიონის ჩემპიონი? რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია, მაგრამ თურმე მაინც მომხდარა ასეთი რამ. ჯეკ უერვიკი ესეკსის საგრაფოს (ინგლისი) ჩემპიონი გახდა საშუალო წონაში ისე, რომ რინგზე არც ასულა. მისმა პირველმა მოწინააღმდეგემ შეხვედრის წინ ფეხი მოიტეხა, მეორე მოწინააღმდეგე ავად გახდა შეჯიბრების დღეს. მესამეს მოულოდნელი უბედურება დაატყდა თავს. მეოთხე სპარინგისთვის ემზადებოდა, მაგრამ ჟანგიანი ლურსმანი შეერჭო და საავადმყოფოში წაიყვანეს (სისხლის მოწამვლა). მეხუთე — ფინალის მონაწილე — ავტომობილის კატასტროფაში მოხვდა. აი, რას ნიშნავს ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადება.

(ჟურნ. „ფიზკულტურა ი სპორტ“).



გარეკანის პირველ გვერდზე: პირველი სექტემბერი. ფოტოეტიუდი გ. ვახტანგაძისა და ი. ზევინის.

მეოთხე გვერდზე: გორკი, ვოლგის სანაპირო. ფოტო ლ. რასკინისა.

# კროსვორდი



### ვერტიკალურად:

1. ციხე-დარბაზი ძველ რუსეთში, 2. საბჭოთა ფსიქოლოგი, 3. სახალხო წარმომადგენელი, ხალხის რჩეული, 4. გეომეტრიული ფიგურა, 5. ინდოეთის სახელმწიფო მოღვაწე და ფილოსოფოსი, 6. სპორტის ერთ-ერთი სახე, 7. რაიმე ღონისძიების ჩაშლა, დამარცხება, 14. ქალაქი ევროპაში, 15. უნგრელი მხატვარი, 16. გოეთეს ნაწარმოების გმირი ქალი, 19. ინდური კინოფილმი, 20. ცნობილი ფინელი მძლეოსანი, 22. საწვავი მასალა, 23. საცხედრე, 28. ძალის ერთეული, 29. მდინარე საფრანგეთში, 30. მადნეული, 32. წოდება სამხედრო საზღვაოსნო სამსახურში, 33. ქიმიური ნივთიერება, 36. ესპანელი რევოლუციონერი პოეტი, 38. დიდი იტალიელი მეცნიერი, 39. ქალაქი შვეიცარიაში, 41. მდინარე ევროპაში, 43. ცნობილი კინორეჟისორი.

### ჰორიზონტალურად:

8. ტროპიკული მცენარე, 9. მდინარე ევროპაში, 10. ლიტერატურული ნაწარმოების დარგი, 11. მუსიკალური ინსტრუმენტი, 12. ინგლისელი პოეტი, 13. ქალაქი იაპონიაში, 16. მზისა და მთვარის გარეკიდე, 17. სპორტული იარაღი, 18. ცნობილი მოგზაური, 21. მედიცინის დარგი, 24. გერმანელი კომპოზიტორი, 25. მდინარე რსფსრ-ში, 26. კუნძული, 27. საბჭოთა გაზეთი, 31. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში, 33. ეგვიპტელ ფარაონთა სამარხი, 34. სახელმწიფო ევროპაში, 35. ცნობილი ფიზიკოსი, 37. რაიონული ცენტრი საქართველოში, 39. მუსიკალური ნაწარმოები, 40. ცნობილი რევოლუციონერი, 42. სახელმწიფო აზიაში, 44. ფრანგი მწერალი, 45. ტბა სსრკ-ში.

## ჟურნ. „დროშის“ № 8-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი.

### ჰორიზონტალურად:

4. გორდა. 8. კათეტი. 9. ფაბულა. 11. შპილი. 13. ნაკაშიძე. 14. ქალამანი. 16. მალტა. 17. სიცილია. 18 ანაპა. 21. ფიწალი. 23. მირბო. 25. ამიმია. 28. ნული. 29. ლიონი. 30. ტაიგა. 31. ტუტე. 33. ალიონი. 36. ურალი. 37. რცხილა. 40. ტრეკი. 41. მატიანე. 44. ედემი. 47. აკუსტიკა. 48. ჟანგბადი. 49. რამპა. 51. კრემლი. 52. როსინი. 53. აორტა.

### ვერტიკალურად:

1. ორბი. 2. გარანტია. 3. კენია. 4. გიშერი. 5. აფიქსი. 6. აბელი. 7. ელემენტი. 10. რადარი. 12. დნეპრი. 15. ფიორი. 19. ფინიკია. 20. სამგორი. 21. ფაუნა. 22. წვივი. 23. მენიუ. 24. ოვალი. 26. მატჩი. 27. ასტრა. 32. გალია. 34. ლირიკა. 35. ორკესტრი. 38. ხოდაბუნი. 39. ლამბდა. 42. ავარია. 43. ნიაგარა. 45. რიტმი. 46. ონისე. 50. გორი.



ნახატი-ხუმრობა დ. დონისა

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. საკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა ზ. ლეჟავამ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. № 91.
ტელეფონები: რედაქტორის—3-52-69, პ/მგ. მდივნის—3-95-38.

ფასი 3 მან.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/IX-55 წ. გამომც. № 109. ქაღ. ზომა 70×108 1/8. ნაბეჭდი ფურც. 3 1/2. ტირაჟი — 15.000. შეკვეთის № 477. უე 03291

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5



კურორტი საირმე.

ფოტო შ. ფურცხვანიძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6.24/115



ეროვნული
ბიბლიოთეკა